ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი

შემდგენლები: ზაზა შულაია (ჯგუფის ხელმძღვანელი)
გულისა გეგეშიძე
ნინო ყეინაშვილი
ნანა ლომაია

=ა=

აბადონი
ბიბლიური წარმოშობის ტერმინია. პირდაპირი მნიშვნელობით სიცოცხლის გაქრობას ნიშნავდა. ცნება აბადონი მწერლობაშიც გამოიყენებულია გამოსახვის მეტაფორულ საშუალებად, როგორც უბედურების სიმბოლური მინიშნება. ჩვენშიც აბადონი, როგორც „უფსკრულების ანგელოზი“, გამოყენებულია აქვს კ. გამსახურდიას „დიონისეს ღიმილში“ .

აბეცედარიები
სამგლოვიარო ხასიათის სიმღერები, რომლის სალექსო ტაეპები გაწყობილია ანბანის რიგზე. სახელწოდებაც ლათინური ანბანის სამი საწყისი ასოს სახელწოდებიდან არის მიღებული და ფორმით ენათესავება ჩვენებურ ანბანთქებას.

აბზაცი
1. აზრის წერილობითი ფორმით გამოსახვის დროს ახალი წინადადების შეწეული სტრიქონით დაწყება; 2. შეწეული სტრიქონით გამოყოფილი ტექსტის მცირე ნაწილი; მიუთითებს ინფორმაციის ახალ შინაარსულ მხარეზე.

აბორდაჟი
საზღვაო შერკინების მხატვრული ჩვენების ხასიათზე მიგვითითებს. აბორდაჟის მთლიანი სურათია წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტრიქონებში, რომლებშიც ავთანდილი ამარცხებს მეკობრეებს.)

აბრევიატურა
სიტყვათა შემოკლება ნაწერში, ზეპირსიტყვიერებაში.

აბრეჟე
მხატვრული თუ სხვა ტიპის ნაწარმოებების შემოკლებული გადმოცემაა.

აბსოლუტური ბილინგვი
1. ორენოვნების აბსოლუტური ხარისხი; 2. პირი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ორ ენას ბუნებრივი ბილინგვის საშუალებით.

აბსტრაქციონიზმი
XX ს-ის მხატვრული მიმართულება, რომლის კონცეფცია ამკვიდრებს „ბანალური“ და „მოჩვენებითი“ სინამდვილისაგან ადამიანის განდგომის თემას. მხატვრულ ლიტერატუ-რაში პირობითად მიეკუთვნება არატრადიციული ბგერწერით შექმნილი ბგერითი კონსტრუქციები.

აბსურდის დრამა
XIX ს-ის 50-60-იანი წლების ავანგარდისტული დრამატურგიის ტერმინი; აერთიანებს სხვადასხვა სახის ნაწარმოებს, რომელთა მსოფლმედველობრივი საყრდენია „აბსურდი“. აბსურდის დრამის ყველა ავტორისათვის საერთოა ჩვეული ყოფის ნორმათა უარყოფა და უიმედობა.

აბსურდის თეატრი -იხ. *აბსურდის დრამა.*

აგარული
ქართული 7-სტროფიანი მაჯამური რითმით გაწყობილი ლექსი. სტროფი - სამტაეპიანია; 1-ელი, მე-2 ტაეპები - 7-მარცვლიანია, მე-3 – 1 -მარცვლიანი. აგარულის ნიმუში შემონახულია „დილარიანში“.

აგიოგრაფია - იხ. *ჰაგიოგრაფია.*

ადამიზმი-იხ. *აკმეიზმი*

ადაპტირება(ტექსტისა)

ტექსტის სხვადასხვაგვარი გადამუშავება; მისი ფორმისა და შინაარსის გამარტივება, შეკვეცა-შემოკლება იმ მკითხველისათვის, რომელსაც არ შეუძლია ტექსტის წარმოდგენილი ფორმით აღქმა; ისეთი ტექსტი, რომლის აღქმას მკითხველი სხვისი დახმარების გარეშე შეძლებს.

ადგილის გარემოებითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

ადგილობრივი კოლორიტი
სტილისტიკის ხერხი, მხატვრული ნაწარმოების ტექსტში ადგილობრივი თავისებურებებისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველი ელემენტების ჩართვა ასახული მოვლენების გამომსახველობის გასაძლიერებლად.

აედოსი
(ბერძნულ. ვმღერი) ძველი ბერძენი პოეტი-მომღერალი, რომელიც საკუთარ სიმღერას ასრულებდა რომელიმე საკრავის თანხლებით. აედოსი მოგვიანებით მომღერლის ადგილს იჭერს. აედოსი - რეჩიტატორი, რომელიც თავის ნაწარმოებს უკვე რეჩიტაციით ასრულებს.

ადრესატი
შეტყობინების გამგზავნი: 1. ნაწარმოების ავტორი, როგორც ლიტერატურული კონცეფციის აქტის მონაწილე; 2. მთხრობელი(ნარატორი), როგორც თხრობის სუბიექტი ლიტერატურულ ნაწარმოებში.

ავანგარდიზმი
საერთო (კრებითი) პირობითი სახელწოდება XX ს-ის ხელოვნების მრავალი, ხშირად განსხვავებული ნაკადისა და მიმდინარეობისა, რომლებსაც აერთიანებს კლასიკური ხელოვნების ტრადიციებთან კავშირის რადიკალური გაწყვეტა, ექსპერიმენტულობა ახალი ფორმებისა და გამოსახვითი საშუალებებისაკენ სწრაფვისას. ზოგიერთი ავანგარდული მიმდინარეობა ადგილს უთმობდა ახალს და ხელოვნების ისტორიაში რჩებოდა, როგორც კლასიკური(მაგ., იმპრესიონიზმი). ავანგარდიზმი აკრიტიკებდა ტრადიციულ ჟანრულ ფორმებს და ცდილობდა, შეექმნა არარსებული, ნოვატორული, სინამდვილეში კი - ხელოვნური მხატვრული ფორმები.

ავანგარდული რომანი
ისეთი ხასიათის რომანი, რომელშიც აღწერილია მთავარი გმირების სახიფათო თავგადასავალი. ავანტურული რომანის გმირს უხდება სახიფათო მოგზაურობა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, მისი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია, რადგან ავანტურული რომანის პერსონაჟები ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთა შესრულება უაღრესად ძნელი და სახიფათოა.

ავანსცენა
სცენის ნაწილი მოქმედების ფართოდ გასაშლელად. ავანსცენა ლიტერატურაში გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით რაიმე მოვლენისა და საგნის საჯაროდ ჩვენების მისათითებლად.

ავანტიურული რომანი-სათავგადასავლო რომანი. იხ. *რომანი*

ავრორა
პოეზიაში, მხატვრულ მეტყველებაში ზოგადად, ავრორა იხმარება, როგორც სინონიმი იალონისა, სიმბოლო განახლებისა.

ავტოაპოლოგია
საკუთარი ნიჭის, შემოქმედებითი უნარისა და საქვეყნო დამსახურების გადაჭარბებული თვითშექება, თვითშეფასება.

ავტობიოგრაფია
ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერა. ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, აგრეთვე, დღიურები, მოგონებანი და სხვ. ვრცელი ავტობიოგრაფიის აღსანიშნავად, ბიოგრაფიის პარალელურად, იხმარება აგრეთვე სიტყვა „თავგადასავალი".
ავტობიოგრაფია მწერალმა შეიძლება დაწეროს როგორც ლექსად (დ.გურამიშვილის „დავითიანი"), ისე პროზად (ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი").

ავტობიუგრაფიული რომანი-იხ. *რომანი*

ავტოგრაფი
ავტორის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ნაწარმოები, ავტორისეული ნაწერი, ხელმოწერა. ავტოგრაფი შეიძლება იყოს მხატვრული, ისტორიული დოკუმენტი, მეცნიერული, ფილოსოფიური.

ავტოთარგმანი
ავტორის თარგმანი. ავტოთარგმანი შესაძლებელია მხოლოდ ავტორის აბსოლუტური ორენოვნების დროს და, ერთი შეხედვით, თარგმანის იდეალური ვარიანტია, რადგან ავტორზე უკეთესად ვერავინ ჩასწვდება ორიგინალს; ავტოთარგმანი თავისი ბუნებით უახლოვდება ორიგინალის შექმნის პროცესს.

ავტოთემატური ნაწარმოები
მეტატესტები, რომლებიც მიემართება საკუთარ თავს; გვიხსნის ხელოვანის მხატვრულ კრედოს, წარმოაჩენს კომპოზიციის შექმნის მეთოდს და სხვ.

ავტოიმიჯი-იხ. *ავტოსახე*

ავტოკრიტიკა
ავტორისეული მსჯელობა საკუთარ ნაწარმოებზე.

ავტოლოგია
პოეტურ ნაწარმოებში სიტყვათა და გამოთქმათა გამოყენება მათი პირდაპირი მნიშვნელობით. მხატვრული ავტოლოგია თავისი რეალისტური სიზუსტით უპირისპირდება ფიგურალურ, ტროპულ მეტყველებას. მართალია, ავტოლოგიური სტილი თითქმის არ მიმართავს მხატვრულ სახეებს, მაგრამ ამის გამო იგი პოეტურობასა და ემოციურ ზემოქმედებას მოკლებული არ არის.

ავტონიმი
ფსევდონიმიანი ავტორის ნამდვილი სახელი.

ავტოპორტრეტი
მწერლის მიერ საკუთარი სახისა და ხასიათის გამოსახვა მხატვრულ ნაწარმოებში ან რომელიმე პერსონაჟის სახით (მაგ., ეგნატე ნინოშვილი- სპირიდონ მცირიშვილი; მგზავრი-ილია ჭავჭავაძე), ან პირდაპირ, უშუალო თხრობით თავის თავზე (მაგ., აკაკი- „ჩემი თავგადასავალი“).

ავტორეფერენციულობა
ტექსტის საკუთარ თავზე მითითება.

ავტორეფერატი
ავტორის თხრობა, წერილობითი მოხსენება, თავისი ნაშრომის მოკლე შინაარსის, ძირითადი აზრის გადმოცემა.

ავტორი
მხატვრული ნაწარმოების, სამეცნიერო თხზულების, სურათის დამხატავი, არქიტექტურულ ნაგებობათა პროექტის, ნახაზებისა და სხვათა შემდგენელი.

ავტორის ენა
ავტორისეული ნაწარმოების ყველა ფორმა (ამბავთა გადმოცემა, პერსონაჟთა დახასიათება, გარემოს აღწერა, საკუთარი ემოციების გამოხატვა) მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც უნიშვნელოვანესია მისი შემოქმედებითი თავისებურებების გასაგებად.

ავტორისეული პირდაპირი დახასიათება
მწერლის მიერ პერსონაჟის მიმართ თავისი დამოკიდებულების დაუფარავად წარმოჩენა; პერსონაჟის იდეალების, ცხოვრების წესის, მოქმედებების და ა. შ. შეფასება.

ავტორიტეტი
საზოგადოებრივი სახელმოხვეჭა, ნდობისა და პატივისცემის დამსახურება. ეს პატივისცემა და სახელმოხვეჭა გამოიხატება, როცა ვამბობთ: ილიას ავტორიტეტი მეტად დიდი იყო XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ავტორ-მთქმელი
ქართულ ფოლკლორისტიკაში მიღებული ტერმინი; აღნიშნავს ფოლკლორულ ნაწარმოებთა ისეთ შემსრულებელს, მთქმელს, რომელსაც საკუთარი რეპერტუარიც მოეპოვება. ავტორ-მთქმელის მიერ გამოთქმული ტექსტი ფოლკლორული ტრადიციის საფუძველზეა შექმნილი და განსაზღვრულია ზეპირსიტყვიერების სპეციფიკით. ზეპირად გავრცელების შედეგად ავტორ-მთქმელის შემოქმედების ნაწილი ხშირად ფოლკლორის კუთვნილება ხდება.

ავტოსახე
საკუთარი ეტნოკულტურული ,,მე“-ს სახე ლიტერატურაში.

ავტოფიქცია
ლიტერატურული მიმდინარეობა XX ს-ის შუა ხანებიდან; საკუთარი მე-ს გამოტანა გამოგონილ სამყაროში, სადაც ავტორს შეიძლება ეცხოვრა, მაგრამ არ უცხოვრია. ავტოფიქცია არის რეალური ფაქტებისა და მოვლენების ფიქცია.

აზმა - იხ. *ქება*

აზრობრივი პაუზა - იხ. *პაუზა*

აირენი
ლირიკული ხასიათის მინიატურული სალექსო ფორმა საშუალო საუკუნეების სომხურ პოეზიაში. ტაეპები 15-მარცვლიანია, ცეზურით გაყოფილი ორ (7 და 8 -მარცვლიან) მუხლებად. აირენი, როგორც სალექსო ფორმა, გვხვდება თანამედროვე სომხურ მწერლობაშიაც. აირენი იგივე მონოსტროფია.
(იხ. *მონოსტროფი*)

აიტისი
სახალხო მთქმელების პოეტური საჯარო შეჯიბრება ყაზახეთში. აიტისი მოგვაგონებს ინდურ მუშაირასა და ქართულ კაფიობას.
(იხ. *მუშაირა*, იხ. *კაფიობა*)

აკადემიური მჭერმეტყველება
მჭერმეტყველების სახეობა, რომელშიც მოკლედ არის გამოთქმული ორატორის ძირითადი სათქმელი და მოცემულია მთავარი დებულების დამამტკიცებელი არგუმენტები. აკადემიურ მჭერმეტყველებას შედარებით უფრო დინჯი, თავშეკავებული ცოდნა ახასიათებს და ენაც უფრო ზუსტია, უფრო თავისუფალია მეტყველების მხატვრული ფორმისაგან.

აკადემიური ასოციაცია-იხ. *აკადემიური ჯგუფი*

აკადემიური ჯგუფი (იგივე „აკადემიური ასოციაცია“)
მემარჯვენე ქართველ მწერალთა ერთი ფრთა XX საუკუნის 20-30-იან წლებში; მეთაურობდა კონსტანტინე გამსახურდია.

აკათისტო
საგალობელი საკითხავი მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

აკინი
პოეტი იმპროვიზატორი, გარკვეულ ინსტრუმენტზე დამკვრელი, მომღერალი ყაზახეთში, ყირგიზეთში(იგივე აშუღი აზერბაიჯანსა და სომხეთში).

აკმეიზმი(იგივე *„ადამიზმი“)*
მოდერნისტული მიმართულება XX ს-ის დასაწყისში. აკმეიზმი უარყოფდა სოციალურ ურთიერთობათა მხატვრულ ასახვას, ქადაგებდა ინდივიდუალიზმს, პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ლიტერატურის დანიშნულებად ადამიანის პირველყოფილ-ბიოლოგიური საწყისების ასახვა მიაჩნდა; უპირისპირდებოდა სიმბოლიზმის მისტიკურ და პოეტიკურ ბუნდოვანება-სირთულეს.

აკრომონოგრამა
ლექსთა წყობის ხერხი. ერთი ტაეპის ბოლო მარცვლის ან სიტყვის განმეორება მომდევნო ტაეპის თავში, ან გარითმვა ამ ტაეპის პირველ სიტყვასთან.

აკროსტიქი
ლექსი, რომლის სტრიქონთა დასაწყისი ასოები შეადგენს რაიმე სიტყვას ან ფრაზას, ზოგჯერ ტექსტსაც. აკროსტიქის უფრო მარტივი სახეობაა „ანბანისინი“, რომელშიც აკროსტიქად

წარმოდგენილია ანბანი ანიდან ჰოემდე. კიდევ უფრო მარტივი აკროსტიქის შემთხვევაში ცალკეული სტროფები ან სტროფების რიგი იწყება ერთი ასოთი.

აკულტურაცია
სხვადასხვა კულტურის ურთიერთზემოქმედების პროცესი და შედეგი, კულტურათა ურტიერთშეღწევა და ურთიერტგამდიდრება.

აკრომონოგრამა
ერთი ტაეპის ბოლო მარცვლის ან სიტყვის გამეორება მომდევნო ტაეპის თავში, ან გარითმვა ამ ტაეპის პირველ სიტყვასთან (მაგ., *„მთვარე კახეთში სხვაა, / სხვაა თბილისში მთვარე.“*).

აკუსტიკური რითმა
არაზუსტი რითმის სახე. მასში სარითმო ერთეულების ნაცვლად გასარითმი სიტყვების აკუსტიკური კონტურებია შეწყობილი.

ალბა
ლირიკული ჟანრის ნაწარმოები, ფრანგი ტრუბადურების დილის სიმღერა. ალბა, ფ. ენგელსის მიერ, პროვანსული სატრფიალო პოეზიის ყვავილად იწოდებოდა.

ალეგორია
ტროპის ერთ-ერთი სახე. ალეგორიაში აზრი იგავით, ქარაგმით, შეფარვითაა გადმოცემული - ნათქვამია ერთი, იგულისხმება სხვა. ალეგორიას ავტორი იყენებს თავისი აზრის შესანიღბად (მაგ., ა. წერეთლის „ სულიკო“).

ალეგორიული სახე
ისეთი სახე, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და რომლის საშუალებითაც სხვა მოვლენა უნდა განვიცადოთ ან წარმოვიდგინოთ. ერთი და იგივე სახე შეიძლება იყოს ერთსა და იმავე დროს ეპიკური, გმირული, ალეგორიული და სხვ. ასეთი სახეა, მაგალითად, ვაჟას სახალხო გმირი – ლუხუმი.

ალექსანდრიული ლექსი
ლექსი, შედგენილი 12-მარცვლიანი ტაეპისაგან, რომელთაც ცეზურა შუაში აქვთ, ხოლო მახვილები- მე-6 და მე-12 მარცვლებში.

ალიტერაცია
მხატვრულ-სტილისტიკური ხერხი ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურაში, რიტმული პროზის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. უპირატესად სალექსო ტაეპში /ტაეპებში ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვნების განმეორება მხატვრული ეფექტის მისაღწევად, მხატვრული მეტყველების გამომსახველობის გასაძლიერებლად (მაგ., *„**კ**არვის **კ**ალთა **ჩ**ახლართული **ჩ**ავჭერ, **ჩ**ავა**კ**არაბა**კ**ე“*).

ალიტერაციული ლექსი
ლექსი, რომლის რიტმის ამოსავალი საყრდნობია ტაეპთა საწყისი სიტყვები, რომლების ალიტერაციულად არიან გამართული(მაგ., ,,***მოდი**, ვნახოთ ვენახი,/**მიველ**, ვნახე ვენახი*“).

ალმანახი

რაიმე ნიშნის (იდეურ-მხატვრული, თემატური, ჟანრობრივი და სხვ.) მიხედვით შედგენილი მხატვრული ნაწარმოებების კრებული.

ალოგიზმი (პოეტიკაში)
სტილისტიკური ხერხი; მხატვრული ზემოქმედების გასაძლიერებლად, კომიკური შთაბეჭდილებების მოსახდენად საგნებსა და მოვლენებს შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირი(მაგ., „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, /ტყეში ჩიტი მომკვდარიყო,/ მაღლა შევდე, დამპალიყო,/დაბლა დავდე, გამხმარიყო,/ დიდ ქვაბში არ ეტეოდა,/პატარაში თახლად იყო,/ასი კაცის სუფრა იყო,/დედოფლისა ლუკმა იყო“).

ალუზია
სტილისტიკური ხერხი მხარვრულ ლიტერატურაში; პოლიტიკური, ისტორიული ან ლიტერატურული ფაქტის გადაკვრით მოხსენიება. ალუზიას უწოდებენ აგრეთვე ისეთ გამოთქმებს, რომლებშიც ისტორიული ან ლიტერატურული გმირი ქარაგმულად არის ნახსენები (მაგ., „ქართველში გამოხედვაა იმ ერთი ვინმე მესხისა“-აქ ნაგულისხმევია შოთა რუსთაველი).

ამბავი
ვისიმე თავგადასავალი, ვისიმე ცხოვრების აღწერა, მონათხრობი ვინმეს ან რაიმეს შესახებ; აგრეთვე მცირე ზომის თხრობითი ნაწარმოები. ძველ ქართულ მწერლობაში ეპიკური ნაწარმოების ცალკე თავს, კარსაც აღნიშნავდა (მაგ., „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“).

ამბივალენტური
ერთმანეთის საპირისპირო გრძნობების შემცველი (მაგ., სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთისა და ბოროტების).

ამებეური კომპოზიცია
ლექსში კომპოზიციური პარალელიზმის წარმოჩენა, მასში ტაეპები პარალელურია სინტაქსური წყობისა და შინაარსის მხრივ. ასევე სინონიმური და ინტონაციური თვალსაზრისითაც.

ამპლიფიკაცია
სტილისტიკური ხერხი; ფრაზაში ეპითეტთა, სინონიმურ გამოთქმათა, შედარებათა უხვი გამოყენება ექსპრესიულობის გაძლიერებისა და აზრის გამოკვეთის მიზნით (მაგ., „ყმა გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი,/ეძებს, უზახის, უკივის დღეებრ ღამეთა მთეველი;/სამ დღემდის მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი;/ ვერ პოვა, მივა მჭმუნვარე, ვერას ამბისა მცნეველი“).

ამფიბოლია
ორაზროვანი გამოთქმა, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს აღქმული.

ამფიბრაქი
სამმარცვლიანი სატერფო ლექსი. იხ. *ლექსთწყობა*.

ამფიმარკი
სამმარცვლიანი სალექსო ტერფი ანტიკურ ლექსთწყობაში.

ანაგრამა

ასოთგადასმა; სიტყვები, რომლებიც შედგენილია ერთი და იმავე ბგერებისაგან, ამ ბგერების სხვადასხვა დალაგებით (მაგ., „ აბლი-ბაბლი ვერცხლის ტახტი,/ მზით ავიღე-მთვარით დავდგი“).

ანადიპლოზისი
სტილისტური ხერხი; ერთი წინადადების ბოლო სიტყვის გამეორება მეორე წინადადების თავში.

ანაკოლუთი
სტილისტიკური ფიგურა, როცა სიტყვათა შორის დარღვეულია სწორი გრამატიკული შეთანხმება.

ანაკრეონტული პოეზია
ლირიკული ჟანრის მხატვრული შინაარსის ნაწარმოები, რომელიც აგებულია ხორციელი სიყვარულის, ღვინისა და უდარდელი ცხოცრების თემაზე(ტერმინი მომდინარეობს დიდი ბერძენი პოეტის - ანაკრეონტის სახელიდან).

ანაკრუზა
მოკლე ან უმახვილო მარცვლები ტაეპის დასაწყისში; ანტიკურ ლექსთწყობაში პირველ გრძელ მარცვლამდე, ხოლო სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში - პირველი მახვილიდან მარცვლამდე. დამკვიდრებული თვალსაზრისია, რომ ქართულ ლექსში ანაკრუზა აქვს მეორე პეონით დაწყებულ ტაეპს (მაგ., „გაჟრჟოლება სიმინდების“).

ანალები
საისტორიო თხზულებათა უძველესი სახე.

ანალექტები
ერთი ან რამდენიმე მწერლის რჩეული თხზულებები.

ანალიზი
ითვალისწინებს ლიტერატურული ნაწარმოების აზრობრივ განხილვას მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.

ანაპესტი
მეტრულ, სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში სამმარცვლიანი საზომის სახელწლოდება, რომელიც შედგება ორი მოკლე და ერთი გრძელი მარცვლისაგან. იხ. *ლექსთწყობა.*

ანაფორა
პოეტურ-სტილისტიკური ხერხი; სტრიქონის დასაწყისში ან სტრიქონგამოტოვებით ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების, სიტყვების, ფრაზების, რითმების, სინტაქსურ-რიტმული წყობის კანონზომიერი გამოყენება ასახვითი მომენტისა და ემოციური შთაბეჭდილებების გასაძლიერებლად (მაგ., „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,/ ჩემტა წინაპართ საფლავებს შორის,/ ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,/ ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის“).

ანაქრონიზმი
ერთი ისტორიული ეპოქის, მოვლენის ან ნიშან-თვისების სხვა ეპოქისათვის შეცდომით მიკუთვნება (მაგ.: ამირანის მონათვლა ქრისტე-ღმერთის მიერ „ამირანდარეჯანიანში“).

ანბანისინი

ლექსი, რომელშიც აკროსტიქად წარმოდგენილია ანბანი ანიდან ჰოემდე.

ანბანთქება
აკროსტიქის სახეობა, ანბანის რიგის, თანმიმდევრობის მიხედვით გაწყობილი ლექსი.

ანგაჟირებული
მწერალი, ხელოვანი და ა.შ., რომლებიც სახელმწიფო იდეოლოგთა შეკვეთით ქმნიან თავიანთ შემოქმედებით ნიმუშებს.

ანდაზა
ხალხური სიტყვიერების ჟანრი; მოკლე გამონათქვამები, რომლებიც ნართაულად, იგავური მინიშნებით, მხატვრული ფოემით განაზოგადებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას. უპირატესად დამრიგებლური შინაარსისაა ან იუმორისტულ-სატირული ხასიათსა. ანდაზა შეიძლება იყოს ლიტერატურულიც (მაგ., „ქათმის საჯდომი თუ იცის, / მეტი რა უნდა მელასა?!“).

ანდარზი
დიდაქტიკური ლიტერატურის სახეობა შუა საუკუნეების ირანულ სამყაროში.

ანდეგრაუნდი
მხატვრული მიმართულება თანამედროვე დასავლურ ხელოვნებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაპირისპირება გაბატონებულ იდეოლოგიაში.

ანდერძი
1. ლიტერატურული გამოსახვის ფორმა, რომელშიაც ანდერძის სახით გამოთქმულია მოანდერძის სურვილი და შეხედულებანი(მაგ., ,,ანდერძი ავთანდილისა, ოდეს გაიპარა მეორედ“); 2. მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, რომელსაც ძველად დაურთავდნენ ხოლმე წიგნს; 3. გადატანითი მნიშვნელობით-მცნება, დავალება(მაგ., ,,მოყვასისთვის თავდადება ქრისტე ღმერთის ანდერძი“).

ანდრეზი
ზეპირი მოთხრობის ან ლექსის ფორმით ხევსურეთში უძველესი დროიდან შემონახული დიდაქტიკურ-იურიდიული ხასიათის შეგონება.

ანდროიდი
ფანტასტიკურ ლიტერატურაში, ადამიანის გარეგნობის და თვისებების მქონე რობოტი.

ანეგდოტი
მოკლე მოთხრობა, რომელშიც აღწერილია უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი შემთხვევა ისტორიული პიროვნების ცხოვრებიდან. ანეგდოტს უწოდებდნენ მცირე ფორმის თხრობით ჟანრებს, რომლებშიც გასართობ შინაარსტან ერტად ხშირად მოცემულია კონკრეტული პოლიტიკური ვითარების მახვილგონივრული შეფასებაც. XIX ს-ის II ნახევრიდან ანეგდოტს უწოდებენ აგრეთვე ქალაქულ ფოლკლორში გავრცელებულ სალაღობო ხასიათის მოკლე ზეპირ მოთხრობას.

ანთოლოგია
რამდენიმე ავტორის რჩეული ლექსების (გამონათქვამების, ფრაგმენტების) ანდა რომელიმე ქვეყნის პოეზიის ნიმუშთა კრებული.

ანთოლოგიური პოეზია
ანტიკური ლირიკული პოეზიის ყაიდაზე დაწერილი ლექსები.

ანთროპომორფიზმი
ბუნების მოვლენათა, ცხოველთა და მცენარეთა, წარმოსახულ მისტიკურ არსებათა (სულები, მითოლოგიური არსებანი, ღმერთი) და სხვათათვის ადამიანის თვისებების (აზროვნების, ნების, გრძნობის და სხვ,) მიწერა.

ანონიმი
იგივე უსახელო. წერილი, რომლის ავტორი შეგნებულად ფარავს ვინაობას. ზოგჯერ ტექსტში არ ჩანს ავტორი (ზღაპრები, ხალხური ლექსები ანონიმურია), ზოგჯერ ავტორი გარკვეული მიზეზით არ აწერს ხელს.

ანოტაცია
წიგნის, სტატიის ან ხელნაწერის შინაარსის, დანიშნულების, იდეურ-პოლიტიკური მიმართულების მოკლე დახასიათება. ანოტაცია შეიძლება იყოს აღწერილობითი ან სარეკომენდაციო, ზოგადი ან სპეციალიზებული.

ანჟანბემანი
პოეტური გამოხატვის ხერხი; წინადადების ტაეპიდან ტაეპში გადატანა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ლექსის ინტონაციურ-ფრაზობრივი და მეტრული დაყოფა არ ემთხვევა ერთმანეთს. ანჟანბემანი ხელს უწყობს ცალკეული სიტყვების გამოკვეთას და აძლიერებს მეტყველების ექსპრესიულობას.

ანტაგონიზმი
სხვადასხვა ძალის ინტერესთა კონფლიქტი, შეურიგებელი დაპირისპირება.

ანტაგონისტი
1. ანტაგონიზმით გამსჭვალული; 2. შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

ანტანაკლაზისი
რიტორიკული ხერხი, ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება. ანტანაკლაზისის პრინციპზეა აგებული ზმა, კალამბური, მაჯამა(იხ. *ზმა, კალამბური, მაჯამა*).

ანტიბაქკი
ანტიბაქკი არის ანტიკურ მეტრიკაში 5-მორიანი და 3-მარცვლიანი ტერფი.

ანტიგმირი
ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი, რომელსაც არ ახასიათებს ჭეშმარიტად საგმირო თვისებები, მაგრამ ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა.

ანტიდაქტილი - იხ. *ანაპესტი.*

ანტიდრამა
ავანგარდისტული დრამა (იხ. *ავანგარდიზმი*); გამოხატავს ადამიანის მარტოობის, უმწეობისა და არარაობის გრძნობას, მომავლის წინაშე შიშს; სინამდვილეს აღიქვამს ტრაგიკულად, უარყოფს ტრადიციულ დრამატულ კატეგორიებს: სიუჟეტს, ინტრიგას, კონფლიქტს, ხასიათს; მინიმუმამდე დაჰყავს მოქმედება, ჭარბად იყენებს გროტესკს, ჰიპერბოლას, ფანტასტიკას; ქმნის

შოკისმომგვრელ აბსურდულ სიტუაციებს. ანტიდრამაში მინიმუმამდეა დაყვანილი ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების, როლი და მნიშვნელობა; დარღვეულია ნაწარმოების როგორც იდეურ-თემატური, ასევე კომპოზიციური მთლიანობაც.

ანტითეზა (*ანტითეზისი)*
სტილისტიკური ხერხი მხატვრულ ლიტერატურაში; შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მკვეთრად კონტრასტული, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების, განცდების, მოვლენებისა და პერსონაჟთა თვისებების დაპირისპირება, ანდა ფრაზაში ურთიერთსაპირისპირო დებულებათა გაერთიანება (მაგ., „იყიდება... დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში“; ან: „ხან უგნური ვარ, ხან - ბრძენი,/ ხან არც ესა ვარ, არც-ისა“).

ანტიკლიმაქსი
წარმოადგენს გამომსახველობით საშუალებათა დაჯგუფებას, რომელიც აზრობრივი და ემოციური მნიშვნელობის შესასუსტებლად გამოიყენება. იგი გრადაციის სახეა, კლიმაქსის საპირისპირო ცნებაა (იხ. *გრადაცია, კლიმაქსი*)

ანტიკური ლექსწყობა - იხ. *მეტრული ლექსწყობა.*

ანტიკური ლიტერატურა
ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურის აღმნიშვნელი ცნება ლიტერატურათმცოდნეობაში.

ანტიპოდი
დიამეტრულად განსხვავებული, საწინააღმდეგო.

ანტირომანი
ახალი რომანი XX ს-ის 50-იანი წლების ევროპაში. კლასიკური რომანის უარმყოფელი პროზაული ნაწარმოების სახესხვაობა.

ანტისპასტი
(ბერძნული ტერმინია, მისი ქართული შესატყვისია განზე გაწეული) ანტისპასტი არის ანტიკურ მეტრიკაში 6-მორიანი და 4-მარცვლიანი ტერფი.

ანტისტროფი
ძველ ბერძნულ ტრაგედიაში გუნდის(ქოროს) სიმღერის ნაწილი, რომელიც სტროფს მოსდევს და ამ სტროფის რიტმს იმეორებს.

ანტიფრაზისი
ბერძნული ტერმინია. ქართულად გულისხმობს აზრობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვებს. ანტიფრაზისი უპირატესად ირონიული ხასიათის სტილისტიკური ხერხია.

ანტონიმები
განსხვავებული ჟღერადობისა და საპირისპირო ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წყვილები, რომელთა მხატვრულ ჩარჩოში ჩასმა და გამოსახვის საშუალებად გამოყენება ანტონიმს აქცევს სტილისტიკურ ხერხად(მაგ., „აქ სიკვდილია, იქ კი - სიცოცხლე,/ აქ ჭირია და იქ კი ლხინია“).

ანტონომასია

უპირატესად მეტაფორული ხასიათის ტროპის ერთ-ერთი სახე, გამოსახვის პოეტური საშუალება. მასში გამოიყოფა სხვადასხვა შემთხვევა: 1. სიტყვა შენაცვლებულია საზოგადო სახელად ქცეული საკუთარი სახელით(მაგ., *კვაჭი კვაჭანტირაძე- გაქნილი ადამიანის მაგიერ*). 2. პიროვნების სახელი შენაცვლებულია მისთვის დამახასიათებელი ნიშნით ან თავისებურებით(მაგ., *„დედა ენის“ უბადლო შემქმნელი - ნაცვლად იაკობ გოგებაშვილისა*).

აპარტე
მწერლის მიერ თავისი აზრის გამოთქმა მკითხველის მისამართით(მაგ., ,,ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო“).

აპოთეგმა
ძველ საბერძნეთში კრებული, რომელიც შეიცავდა მოკლე მახვილ გამოთქმებს ან დამრიგებლობითი ხასიათის მოთხრობებს ფილოსოფოსების ან სხვა გამოჩენილი პირების ცხოვრებიდან. ეს ჟანრი გადმოვიდა საეკლესიო მწერლობაში და გგაფორმდა ,,მამათა ცხოვრების“ სახელწოდებით.

აპოთეოზი
ყურადღების მიმპყრობი მაღალი შთაბეჭდილების მომგვრელი სურათი დრამატული ნაწარმოების ან რომელიმე სპექტაკლის ბოლოს/

აპოკოპე
სტროფის ბოლოში ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეთა, ან სიტყვის დამოკლება ისე, რომ უცვლელი დარჩეს მისი მნიშვნელობა(მაგ.. „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,/ჭალას ჩიტი მომკვდარ იყო...).“

აპოკრიფი
ადრინდელი ქრისტიანული ლიტერატურის ზოგიერთი ძეგლი, რაც საეკლესიო კანონში არ შესულა.

აპოლიტიკურობა ლიტერატურა
რეაქციული შეხედულება ლიტერატურათმცოდნეობაში, მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსის შემცველ მოტივებს უარყოფს ლიტერატურაში.

აპოლოგი
დამრიგებლობითი შინაარსის მოკლე ნაწარმოები.

აპოლოგია
ლიტერატურაში იხმარება არაპირდაპირი მნიშვნელობით და აღნიშნავს რომელიმე მოძღვრების ან პიროვნების ზომაზე მეტად დამცველს, წინასწარი განზრახვით გადაწარბებულად შემქებს.

აპოლონი
ბერძნულ მითოლოგიაში პოეზიის, საეღოდ ხელოვნების მფარველი ღმერთი. აპოლონი პოეტური შთაგონების წყაროდ არის მიჩნეული(მაგ., ,,მე მივხვდი, რომ ამ კაცს აპოლონი აწერინებს ლექსებს და სრულიად არა გაეგება რა ლექსთრყობის კანონებისა“).

აპოსიოპეზა-იხ. *პოეტური გაჩუმება*

აპოსტროფა

ორატორული ხერხი, მიმართვა უსულო საგნისადმი, როგორც სულიერისადმი.

აპოფაზია
ბერძნული ტერმინი, ქართულად ნიშნავს უარყოფას, სტილისტიკური ხერხი, როცა პოეტს უკან მიაქვს ან უარყოფს გამოთქმულ აზრს ერთსა და იმავე ნაწარმოებში.

აპოფთეგმები
გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამების, აგრეთვე მათი ცხოვრების ამსახველი ამბებისა და თხზულებების ძველი კრებული, რომელთა მიზანი იყო მკითხველთა ზნეობრივი დარიგება და განსწავლა.

აპრაკოსი
საღვთისმსახურო კრებული, რაშიც საეკლესიო წელიწადის შესაბამისად თავმოყრილია ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელი ცალკეული ადგილები ანუ საკითხავები სახარებიდან და სამოციქულოდან.

არაზუსტი რითმა - იხ. *რითმა.*

არათანაბარმარცვლიანი რითმა - იხ. *რითმა.*

არაკი
ზღაპრული შინაარსის იგავი.

არალიტურგიკული ჰიმნოგრაფია-იხ. *ჰიმნოგრაფია*

არამთავარი რითმა - იხ. *რითმა.*

არაპირდაპირი დახასიათება
მოქმედი პირის დახასიათება მისი გარემოს აღწერის, ყოფაქცევის, გარეგნობისა და სხვა საშუალებით. ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი ნაწარმოების მოქმედი პირების დახასიათებას გვაძლევს არა მისთვის დამახასიათებელ თვისებათა პირდაპირი დასახელებით, არამედ იგი გვიხატავს გმირს ისეთი გარეგნობით, ისეთ გარემოსა და მდგომარეობაში, რომელთა საშუალებითაც ჩვენ ვიღებთ უტყუარ მასალას გმირის ხასიათის შესახებ. მოქმედი პირის ყოფაქცევა, ტანსაცმელი, მისი დამოკიდებულება დანარჩენ გმირებთან, მისი მეტყველებისა და სახის თავისებურებაც კი ჩვენ მიგვითითებს ნაწარმოების გმირის ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ თვისებებზე, რაც ირიბი გზით გვაძლევს გმირის დახასიათებას.

არგოტიზმი
ჟარგონული სიტყვები ან გამოთქმები საერთო-სახალხო ან ლიტერატურულ ენაში.

არითმია
ლექსის გამართული რიტმის უნებლიე ან მიზანდასახული დარღვევა.

არიტმული ლექსი
სალექსო რიტმს მოკლებული ლექსი. იხ. პროზოსტიქი

არიფიონი
ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანება 1927-28 წლებში.

არქაიზმი
თანამედროვე მეტყველებიდან გასული სიტყვა ან შესიტყვების ფორმა; მხატვრულ ნაწარმოებში მოძველებული სიტყვის ხმარება. არქაიზმი ხელს უწყობს ამაღლებულ განწყობას, მოწიწებას, პატივისცემას.

არქეტიპი
რისამე პირველსახე, საწყისი. არქეტიპები შექმნილია კოლექტიური ქვეცნობიერების მიერ. ადამიანი ყოველთვის მათ პრიზმაში ხედავს და აღიქვამს სამყაროს.

არქიერატიკონი
ლიტურგიის წესების სახელმძღვანელო წიგნი.

არქიტექსტუალობა
ტექსტების ჟანრული კავშირი, ანუ ტექსტის დამოკიდებულება ჟანრულ კოდთან.

არქიტექტონიკა
ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული ნაწილების თანაზომიერი განლაგება, რაც ქმნის მთლიანობისა და დამთავრებულის შთაბეწდილება. იხ. *კომპოზიცია*.

ასთეიზმი
ბერძნული ტერმინის ქართული შესატყვისია მოწესრიგებული თქმა, ხუმრობა. ასთეიზმი შექების, გაკიცხვის, ზოგჯერ დაპირისპირებულობის ინტონაციის სტილისტიკური ხერხია ლიტერატურასა და ზეპირმეტყველებაში. უახლოვდება ანტიფრაზისს(იხ. *ანტიფრაზისი*)

ასიმილაცია
ორი კულტურის ურთიერტქმედების პროცესი,რომლის შედეგად ერთ-ერთი მათგანი, ნაკლებად ცივილიზებული და სუსტი, კარგავს საკუთარ იდენტობას და შთაინთქმება მეორის მიერ.

ასინდეტონი
სტილისტიკური ხერხი: გრამატიკულად ერთგვაროვან სიტყვებსა და წინადადებებს შორის კავშირების გამოტოვება; უკავშირობა.

ასკეტიზმი (ასკეტური, ასკეტი)
რელიგიური პრინციპი,, რომელიც მოითხოვს გრძნობათა და მისწრაფებათა დაოკებასა და დათრგუნვას; უკიდურესად თავშეკავებული ცხოვრების წესი(ი.ჭავჭავაძის პოემა ,,განდეგილში“).

ასკეტურ-მისტიკური მწერლობა
სამონასტრო ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი ლიტერატურა; ქრისტიანი ზნეთსწავლულების სახელმძღვანელოები, ე. წ. სულის მარგებელი თხრობანი და აპოფთეგმური კრებულები; ასახავდა ბერ-მონაზონთა იდეალებსა და მისწრაფებებს, მათი მოღვაწეობის მკაცრ რეჟიმს.

ასონანსი
ხმოვანი ბგერების გამეორება სალექსო სტრიქონში(მაგ., ,,მე ვ**ა**რ **ა**რ**ა**ბი, **ა**რ**ა**ბეთს **ა**რს ჩემი დ**ა**რბ**ა**ზები**ა**“).

ასტროფული ლექსი
ლექსი, რომელიც სტროფულად დაყოფილი არ არის.

ატრიბუცია
მწერლობისა და ხელოვნების ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორის დადგენა.

აფორიზმი
ლაკონური ფორმით გამოთქმული დახვეწილი დასრულებული ბრძნული აზრი; შეიძლება იყოს პოეტურიც და პროზაულიც. აფორიზმი გამოთქმის მოსწრებულობისა და პოეტურობის ერთობლიობაა.

აქილევსის ქუსლი
პოეზიაში ნაკლოვანი, ვიწრო და სუსტი ადგილის სინონიმი.

აქსესუარი
ლიტერატურაში გამოყენებული ყველა იმ კომპონენტის ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს აზრის, განცდისა და განწყობილებების მაღალემოციურ გამოსახვას.

აქცენტი
1.ხმის გაძლიერება ან აწევა-მახვილი; 2. თავისებური წარმოთქმა, რაც შეიძლება ახასიათებდეს არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს.

აქცენტუალიზაცია
1. მახვილთა სისტემა ამა თუ იმ ენაში; 2. მეტყველებაში სათანადო ადგილას ხმის ამაღლება.

აქცენტური ლექსები
ლექსთწყობის ერთ-ერთი სახე. ემყარება ტაეპებში მახვილთა შედარებით თანაფარდობას; უგულებელყოფს თანაბარმარცვლიანობას ტაეპებში და მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერ მონაცვლეობას(აქცენტურ ლექსებს ,,ტონურ ლექსებსაც“ უწოდებენ).

აღმავალი გრადაცია-იხ. გრადაცია

აღორძინება-იხ. *რენესანსი*

აღწერა(აღწერითი თხზულება)
საგნის ან მოვლენის დამახასიათებელი თვისებების ჩამოთვლა გარკვეული გეგმის მიხედვით.გამოსახვის ფორმის მიხედვით აღწერა შეიძლება იყოს პროზაული ან მეცნიერული და მხატვრული. მხატვრულ აღწერაში უხვად არის გამოყენებული პოეტური ენა და, საერთოდ, გამოსახვის მხატვრული ხერხი, გამოყენებულია აგრეთვე მხატვრული გამონაგონიც. მასში ხშირად არის გამახვილებული ყურადღება ავტორის პირად შთაბეჭდილებაზე, რასაც აღძრავს ზემოაღნიშნულში თვით აღწერის საგანი.(მაგ.ლუარსაბ თათქარიძის კარ–მიდამოს მხატვრული აღწერის ნიმუში ი. ჭავჭავაძის „კაცია–ადამიანიდან”).

აშუღი
მგოსანი, რომელიც საკრავზე ამღერებს საკუთარ ლექსებს.

აშუღური ლექსი
თერთმეტმარცვლიანი ლექსი, რომლის პირველი ორი ტერფი დაქტილურია, ხოლო მეორე ორი ტერფი კი ქორეული და დაქტილური, ან დაქტილური და ქორეული. ლექსის ამ სახეობას ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ უფრო ხშირად ასეთი ზომის ლექსი სასიმღერო იყო და უპირატესად აშუღთა შორის ყოფილა გავრცელებული(ნიმუში:„მიყვარდა,/მის გარდა||–არ ვის/ვეტრფოდი“).

აშუღური პოეზია
თავდაპირველი მახასიათებელი: ლირიკული სატრფიალო მოტივები, შემდგომი კი - სოციალური მოტივებით ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერესების დაცვა, აღმოსავლური ფეოდალური ყოფის სიმახინჯის მხილება.

ახალი ახალგაზრდობა-იხ. *,,მეორე დასი“*

ახალი პოემა
ლექსად დაწერილი დიდი ფორმის მქონე ლირო-ეპიკური პოეზიის ნიმუში, რომელსაც აქვს სიუჟეტი და ხდება მოვლენების განვითარება. თუმცა, ზოგჯერ სიუჟეტური ხაზი არ არის გამოკვეთილი(მაგ., ი. ჭავჭავაძის ,,აჩრდილი“). ძველი პოემისაგან განსხვავებით, ახალი პოემა უფრო პატარა მოცულობისაა, არ აქვს რთული სიუჟეტი, მასში ,,ამბავი“ გმირის სუბიექტური განწყობილების ჩვენებამ და ლირიკულმა ელემენტებმა დაჩრდილა, რამაც ,,ახალი პოემა“(ანუ ახალი დროის პოემა) ლირო-ეპიკურ ნაწარმოებად აქცია.

,,ახალი რომანი“
პირობითი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს XX ს-ის 50-60-იანი წლების ფრანგი მწერლების ცდას რომანის სტრუქტურის ტრადიციული ფორმის გაახლებისას. ეს მწერლები ემიჯნებიან წინამორბედ ეგზისტენციალისტებს; მათ აერთიანებთ ის აზრი, რომ ტრადიციული რომანი, როგორც ჟანრობრივი ფორმა, ამოწურულია. ,,ახალრომანისტების“ აზრით, ლიტერატურულ შემოქმედებაში არ უნდა ჩანდეს პოლიტიკური მრწამსი, ზნეობა, იდეოლოგია და მისთანანი. ისინი მიიჩნევენ, რომ ტრადიციული რომანის ძირითადი ხელშემშლელი მომენტია მისი პერსონაჟის გამოკვეთილი იერსახე და განსაკუთრებული ბედ-იღბალი, რადგან ყველა ადამიანური თვისება ცვალებადია და ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს არსებობის უფრო მნიშვნელოვან, ჯერ კიდევ უცნობ მხარეებს. ,,ახალრომანისტებში“ იკარგება სიუჟეტი. მის ადგილს იჭერს ფსიქოლოგიური ანალიზი, ცნობიერების მიერ აღქმული და წარმოსახული სურათები.

ახალი ტექსტუალები
ლიტერატურული მიმდინარეობა 1990-იანი წლებიდან. ის უკავშირდება ობიექტივიზმს და ახალი ტექნოლოგიების გამოჩენას. ახალი ტექსტუალები ერთმანეთში ურევს ისეთ განსხვავებულ ჟანრს, როგორიცაა პოეზია, რომანი, ესე და ა.შ. ეს მწერლები იყენებენ მეტაენას, რომლის მიზანია მეტალიტერატურის და,შესაბამისად, გარკვეული უნივერსალობის შექმნა. ამ მიმდინარეობის ფარგლებში შექმნილი ნაწარმოებები არის ან პირდაპირ აუდიოციფრული ხელოვნებიდან წარმომდგარი, ან იმ მიზნით შექმნილი, რომ მასალად გამოადგეს ასევე ციფრულ ან სასცენო ხელოვნებაში ადაპტაციისათვის. რამდენადაც ამ ნაწარმოებებში მხოლოდ ტექსტი არ შედის(ტექსტთან ერთად მოიცავენ სურათს და ხმას), მატ ეწოდათ ,,ტექსტუალობები“, ხოლო იმის გამო, რომ ისინი პირდაპირ კავშირშია ახალ ტექნოლოგიებთან, სახელწოდებას დაემატა ,,ახალი“.

ახალი ტრაგედია
დრამატული ნაწარმოები შემდეგი მახასიათებლებით: ა) მთავარი გმირი აღარ წარმოადგენს უბრალო იარაღს ბედის ხელში. მისი დაღუპვა აღარ არის სავალდებულო; ბ) სავალდებულო აღარ არის გმირის არისტოკრატიული ჩამომავლობა. გმირი შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, რომელსაც შესწევს მისი სიცოცხლისათვის სახიფათო და დიდ წინააღმდეგობასთან ბრძოლის უნარი. თანამედროვე ტექნიკა და ადამიანის გონებრივი განვითარება მრავალ მოქალაქეს აძლევს საჭირო შემთხვევაში ტრაგედიის გმირად გახდომის საშუალებას; გ) აუცილებელი აღარ არის „სამი ერთიანობის” კანონის დაცვა; დ) მისი შინაარსი გაფართოებულია კომიკური სცენების შეტანის საშუალებით.

ახალი ფიქცია
ავანგარდისტული ლიტერატურული მიმდინარეობა; ახალი ფიქცია სამეცნიერო-ფანტასტიკური მიმართულების რადიკალიზაციას წარმოადგენს და მიზნად ისახავს ადამიანის სულში არსებული პოეტური სიღრმეების შეცნობას, რისი მიღწევაც შეუძლებელია ყოველდღიური სხოვრების უბრალო ტრანსკრიფციით. ამისათვის აუცილებელია ქვეცნობიერი თუ წარმოსახვითი ნიღბების თამაში. ახალი ფიქციის თხრობით კონსტრუქციაში მონათხრობი და თხრობის მანერა ისე ირევა ერთმანეთში, რომ ფიქცია თავადვე იქცევა ფიქციის შესახებ მსჯელობად.

=ბ=

ბაიათი
ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის აღმოსავლური სასიმღერო ფორმა, რომლის ლექსი შედგება 4-ტაეპიანი სტროფებისაგან. ტაეპი 7-მარცვლიანია. გარითმულია aaba სქემით. დედააზრი გადმოცემულია ორ უკანასკნელ ტაეპში.

ბაითი
არაბულ-სპარსულ და თურქულენოვან პოეზიაში 2-ტაეპიანი ლექსი, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს.

ბაირონიზმი
საზოგადოების კეთლდღეობისათვის საბრძოლო განწყობილებისა და სულისკვეთების რომანტიკულად გამომხატველი ლიტერატურული მიმდინარეობა XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში. ცნება სათავეს იღებს ცნობილი ინგლისელი პოეტის ჯორჯ ბაირონის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მისწრაფების შინაარსიდან.

ბაკქეი
ანტიკურ ლექსთწყობაში სამმარცვლიანი ტერფი, სადაც პირველი მარცვალი მოკლეა, ორი მომდევნო კი - გრძელი.

ბალადა
დრამატული, მძაფრი სიუჟეტის მქონე ლექსი, რომელიც ეპიკური თხრობის, დიალოგის ან მონოლოგის საშუალებით ასახავს გმირის/გმირების ცხოვრების არაჩვეულებრივ ეპიზოდს.

ბანალური
გაცვეთილი, კარგად ცნობილი გამონათქვამი.

ბარბარიზმი
მშობლიურ ენაში საჭიროების გარეშე გამოყენებული ან მისი ბუნებისათვის შეუსაბამო უცხო სიტყვა ან გამონათქვამი, რომელიც შექმნილია უცხო ენის წესების მიხედვით და არღვევს მშობლიური ენის სალიტერატურო ნორმებს და სინტაქსურ კონსტრუქციას. ლიტერატურაში ბარბარიზმი დასაშვებია გმირის მეტყველებაში, როგორც სტილისტიკური ხერხი, როგორც მისი იერსახის კოლორიტული მახასიათებელი. გარკვეულ შემთხვევაში იხმარება ირონიული მომენტის ხაზგასასმელად.

ბახში
(თურქმ. - ბაღში, ყაზ. და ყარაყალპ. - ბაქსი) ბახში სახალხო პოეტ-მომღერალი, მთქმელი-იმპროვიზატორია შუა აზიის თურქულენოვან სამყაროში. ისინი ასრულებდნენ ხალხურ

სიმღერებსა და დასთანებს, რომლის ეპიკურ ნაწილს ჰყვებიან, ხოლო ლირიკულს კი- მღერიან(იხ. *დასთანი*)

ბგერწერა
მხატვრული ხერხი. გულისხმობს საგნისა თუ მოვლენის ბგერითს დახასიათებას, გადმოსაცემი სურათის შინაარსისათვის ფრაზის ფონეტიკური შედგენილობის მისადაგებას. საყოველთაოდ გავრცელებულია ფოლკლორში. ,,ლიტერატურათმცოდნეობაში" ეს ტერმინი აგრეთვე იხმარება უფრო ფართო, ზოგადი მნიშვნელობითაც(ფოკინის ბადლად) და მოიცავს პოეტური მეტყველების ბგერითი ორგანიზაციის მთელ სისტემას(რითმის გარდა); აერთიანებს ლექსსი სიტყვათა ფონეტიკურ-სტილისტიკური შერჩევის სხვადასხვა ხერხს(იხ. *ალიტერაცია, ასონანსი, ხმაბაძვა* და სხვ.).

ბეითი
2-ტაეპიანი ლექსი აღმოსავლეთის ხალხთა პოეზიაში, მას ახასიათებს მოსაზღვრე რითმები. ლექსის ამგვარი სახე გვხვდება ქართულ პოეზიაში როგორც ხალხურ, ასევე მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ბელეტრისტი - იგივეა,რაც *პროზაიკოსი.*

ბელეტრისტიკა
მხატვრული პროზის ყველა გვარის კრებითი სახელწოდება.

ბესიკური
ქართული ლექსის საზომი, 14-მარცვლიანი ორი ცეზურით, ლოგაედებს შორის მოთავსებულია მეორე პეონი(მაგ., ,,ტანო, ტატანო,/ გულწამტანო,/ უცხოდ მარებო!"). მეორე პეონს ზოგჯერ ორი ქორე ენაცვლება, შეიძლება შეიცვალოს ქორესა და დაქტილის თანამიმდევრობაც ლოგაედებში(მაგ., ,,სათის დალალნი,/შავნი თმანი,/ ჰკიდავ მას მშველად..").

ბიბლიოგრაფია
წიგნების აღწერა, წიგნთმცოდნეობა. ბიბლიოგრაფია ლიტერატურისმცოდნეობაში დამხმარე დისციპლინად ითვლება, თუმცა მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად.

ბიბლიოგრაფი
წიგნების აღმწერი, აღმნუსხველი, მცოდნე ამა თუ იმ დარგში არსებული წიგნებისა.

ბიბლიოლოგია
მეცნიერება, რომელიც სწავლობს წიგნის ისტორიას, თეორიას და სხვ. იგივე წიგნთმცოდნეობა.

ბიბლიომანი
ძვირფასი და იშვიათი წიგნების შეგროვებით გატაცებული, წიგნის უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი.

ბინალური თარგმანი
ერთი რომელიმე კონკრეტული ენიდან მეორე კონკრეტულ ენაზე თარგმანი.

ბინალური ოპოზიცია

სამყაროს შემეცნების უნივერსალური საშუალება. სამყაროს სურათის ნებისმიერი არწერა ეყრდნობა ბინალურ ოპოზიციებს, რომლებსაც აქვთ უნივერსალური ხასიათი(მაგ., სიცოცხლე-სიკვდილი, სიკეთე-ბოროტება და სხვ.).

ბინძური რეალიზმი
ტერმინი ჩრდილოეთ ამერიკული ლიტერატურული მიმდინარეობის განსასაზღვრად. ბინძური რეალიზმისათვის დამახასიათებელია სიტყვაძუნწობა და ზედაპირულობა. ამ ჟანრის მწერლები გაურბიან განსაზღვრებებს, მეტაფორებსა და შინაგან მონოლოგებს-ნაცვლად ამისა, ისინი საგნებსა და კონტექსტებს ანიჭებენ მნიშვნელობის კარნახის როლს.

ბიობიბლიოგრაფია
პერსონალური ბიბლიოგრაფია, რომელიც იძლევა ინფორმაციას ბეჭდვითი ნაწარმოების ავტორების შესახებ.

ბიოგრაფი
ვისიმე ბიოგრაფიის შემდგენელი.

ბიოგრაფია
ცხოვრების აღწერა („ბიოს" – ბერძნულად ცხოვრება, „გრაფიო" – ვწერ, აღვწერ). ბიოგრაფია გვიხატავს ამა თუ იმ პიროვნების თავგადასავალს. იგი ეყრდნობა ფაქტიურ მასალებს, აღწერს რომელიმე პიროვნების ცხოვრების პირობებს, მის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, მისი ხასიათის განვითარებას, მის საზოგადოებრივ და კერძო საქმიანობას. ბიოგრაფიაში მთავარი ყურადღება ექცევა ადამიანის ცხოვრებისა და თავგადასავლის თანმიმდევრული მოვლენების ერთიმეორესთან მიზეზობრივად დაკავშირებულ აღწერას. ლიტერატურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის ბიოგრაფიას, რადგან მწერალი ცხოვრობს გარკვეულ დროში, საზოგადოებაში, პირობებში და როგორც მთელი მისი ეპოქა, აგრეთვე უკანასკნელთან დაკავშირებული მისი პირადი ცხოვრება, ხსნის მწერლის შემოქმედებას და გამოხატულებას ნახულობს მის მხატვრულ ნაწარმოებში.

ბიოგრაფიული მეთოდი
მხატვრული ლიერატურის შესწავლის ხერხი, რომლის მიხედვითაც მწერლის შემოქმედებას მისივე ბიოგრაფია და პიროვნება განსაზღვრავს.

ბიოგრაფიული რომანი
გამოჩენილი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა. ავტორი ირჩევს პიროვნების ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებსა და მოვლენებს, რომელთა მხატვრული ხორცშესხმით ქმნის ხატოვანი დოკუმენტურობის პრინციპზე აგებულ ახალ მხატვრულ რეალობას.

ბისტიკაური-იხ. *ფისტიკაური*

,,ბიტკინები"(,,ნაგვების თაობა")
XX ს-ის 50-იან წლებში გამოსული ამერიკელ მწერალთა ერთი ჯგუფის სახელწოდება. მათი გამოსვლა იყო ამბოხება ამერიკის ზნეობრივი ნორმების, პიროვნების დათრგუნვისა და ომის წინააღმდეგ. თავიანთი არსებობის წესად მათ გამოაცხადეს სიღარიბე, მოხეტიალე ცხოვრება, სექსუალური თავისუფლება და ანარქიული ინდივიდუალიზმი. „ბიტკინების" ლიტერატურულ შემოქმედებაში დარღვეულია ტრადიციული კომპოზიციური და ენობრივი ნორმები. მეტყველება მეტაფორულია, აჭრელებული უცენზურო გამოთქმებით, ჟარგონით. იერსახეები უხეშია, ხაზგასმულია ეროტიზმი, ნატურალიზმი. XX ს-ის 60-იანი წლების დამდეგიდან დაჯგუფება აღარ არსებობს.

ბოლოთქმა (ბოლოსიტყვაობა)
მხარვრული თხზულებისათვის ავტორის, აგრეთვე სხვათა მიერ(კრიტიკოსი, შემდგენელი, რედაქტორი) დართული დამატება. ბოლოთქმა ნაკლებად უკავშირდება სიუჟეტის განვითარებას, იგი განმარტავს, აზუსტებს ან განაზოგადებს ნაწარმოების იდეას, რომელიმე ცალკეულ ნაწილს, შეიძლება შეიცავდეს ბიოგრაფიულ ცნობებსაც ავტორის შესახებ.

ბოლორითმები
ტაეპების დაბოლოებათა შემთანხმებელი რითმები. იხ. რითმა.

ბოლოსიტყვაობა-იხ. *ბოლოთქმა*

ბოჰემა
გადატანითი მნიშვნელობით-ლიტერატურული ბოშები. შემოქმედება გაღატაკებული, დეკლასირებული წვრილბურჟუაზიული წრისა, რომელიც ეწევა უდარდელ და უწესრიგო ცხოვრებას(მაგ., ყარაჩოხული პოეზია). ამგვარ პოეზიას ახასიათებდა პრიმიტიული ეროტიზმი, უდარდელი ქეიფი და დემოკრატიული განწყობილება.

ბრახიკოლონი
ლექსი, რომლის ტაეპი შედგება ცალკეული სიტყვებისაგან(მაგ., *„სამშობლოს ჩვენსას/ბევრი ომი/გადუტანია./მრავალ ქარიშხალს/გვიხატავდა/ცხოვრება ქართლის..“*). ბრახიკოლონი ხელს უწყობს სიტყვებზე ყურადღების გამახვილებას. ამ მიზნით იგი იხმარება პროზაულ ნაწარმოებშიც(მაგ., ნ. ლორთქიფანიძის ,,ცხოვრება სალომიკასი“).

ბრიკოლაჟი
უძველესი ადამიანის მითოლოგიური აზროვნების ბუნება, ხასიათი.

ბროშურა
მცირე მოცულობის ნაბეჭდი ნაშრომი (საერთაშორისო პრაქტიკით, არანაკლებ 5 და არა უმეტეს 48 გვერდისა).

ბუკვალური თარგმანი
გულისხმობს ეკვივალენტობას მხოლოდ ენობრივი ნიშნების დონეზე და არ ითვალისწინებს ინფორმაციას, რომლის გადაცემა ხდება სხვა დონეებზე.

ბუკოლიკი-იხ. *ბუკოლიკური პოეზია*

ბუკოლიკური პოეზია („მწყემსების პოეზია“)
პოეზიის ჟანრი, რომელშიც გაიდეალებულია მწყემსის, ზოგადად, სოფლის ცხოვრება. ბუკოლიკის მეტრული საზომია ჰექტამეტრი, რომელშიც დამატებულია მეორე ცეზურა. დროთა განმავლობაში ბუკილიკის ძირითად თემად იქცა სიყვარული. შემდგომ იძენს პოლიტიკურ და დიდაქტიკურ ხასიათსაც.

ბულვარული რომანი
ეპიკური ჟანრის დიდი ტანის ნაწარმოები, რომლის შინაარსს ქმნის: გამრთობი ეფექტი, სენსაციური ბოროტმოქმედება, ქურდის მოხერხებულობის ემოციური ჩვენება, აღვირახსნილი ცხოვრება, ეროტიზმი და ა. შ.

ბურიმე

შეჯიბრი-თამაში მოლექსეობაში მოცემულ რითმებზე ან თემაზე ლექსის შექმნით. ქართული სალექსო შეჯიბრის ერთ-ერთი სახეა *ზმა*(იხ.).

ბურლესკი
სახუმარო ხასიათის სატირული ლექსი. იგი წარმოადგენს რომელიმე ნაწარმოების სახუმარო კილოზე გადაკეთებას კომიკურ-სატირული მიზნით.

ბუფონადა
დრამატული ჟანრის სახეობა, რომელიც ხასიათდება უკიდურესად გაზვიადებული უხეში კომიზმით. ბუფონადამ აყვავებას მიაღწია XVI საუკუნის იტალიური ნიღბების თეატრში, ვ. მაიაკოვსკიმ *„მისტერ ბუფში“* სატირული მიზნისთვის გამოიყენა ბუფონადის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი.

=გ=

გადატანა-იხ. *ანჟამბემანი*

გადმოკეთება-იხ. *გადმოქართულება*

გადმოქართულება(გადმოკეთება)
ართული მთარგმნელობითი სკოლისათვის დამახასიათებელი თავისუფალი თარგმნის სპეციფიკური ჟანრი. გადმოქართულების(გადმოკეთების) დროს მთარგმნელი უცხოურ ტოპონიმებს, ანთროპონიმებს, კულტურულ, ისტორიულ თუ ყოფით რეალიებს ცვლის ქართულით.

გაბაასება
დიალოგის ფორმით დაწერილი თხზულება, რომელშიც გადმოცემულია კამათი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულების მქონე ორ(იშვიათად სამ) პიროვნებას ან საგანს შორის. გაბაასება ზოგჯერ ეპიკურ ნაწარმოებშიც არის ჩართული.

გადმოცემა
ქართული ფოლკლორის პროზაული ჟანრი, რომელიც სინამდვილეს ემყარება და რაიმე საგულისხმო ამბავს ან ფაქტს შეულამაზებლად, მარტივი კომპოზიციურ-სტილისტური საშუალებით აღწერს.

გავრცობითი ანტითეზისი
ანტითეზისი, რომელშიც დაპირისპირებულია არა ორი, არამედ რამდენიმე საწინააღმდეგო ცნება და სახე.

გაზეთი
პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა ფურცლების სახით. უმთავრესად შეიცავს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ახალი ამბების აღწერა-გადაცემას.

გაზვიადება-იხ. *ჰიპერბოლა*

გათვლა
ქართული საბავშვო ფოლკლორის ჟანრი-გარითმული ტექსტი, რომლის რიტმზეც ხდება გათვლა(თავისებური წილისყრა) თამაშის დამწყების გამოსავლენად(მაგ., ,,იწილო, ბიწილო“, ,,ენკი, ბბენკი“).გათვლისთვის დამახასიათებელია უაზრო სიტყვების ხმარება.

გაკვანძვა
წინააღმდეგობის გართულების, გმირთა ურთიერთობების გამწვავების მომენტი ეპოსში, დრამაში. გაკვანძვის მომენტს ინტრიგის, კონფლიქტის დასაწყისის მომენტსაც უწოდებენ.

გალექსება
ქართული ხალხური სიტყვიერების სატირულ-იუმორისტული პოეტური ჟანრი.

გამეორება
პოეტური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ენობრივი ელემენტების შეგნებული გამეორება. ენობრივ გამეორებას მიეკუთვნება ძირითადად ბგერის გამეორება*(ალიტერაცია, ასონანსი, რითმა*), ძირის გამეორება(მაგ., ,,მძეა აღარ მზეობს ჩვენთანა“), სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამეორება(მაგ., ,,ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის..“).

გამონაგონი
ის ახალი, რასაც ქმნის მწერლის წარმოსახვა, მისი ფანტაზია. მწერლობა ძირითადად რეალობას ემყარება, თუმცა მწერლისეულ გამონაგონს არსებითი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების მხატვრული სრულყოფის საქმეში. მწერლისეულ გამონაგონს ლიტერატურისმცოდნეობაში მორიდებულად ***მხატვრულ ტყუილსაც*** უწოდებენ., მაგრამ იგი მართალი და ნამდვილია პოეტურად. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს მწერლის გამოცდილება, შემოქმედებითი ფანტაზია და სხვა.

გამოცანა
ზეპირსიტყვიერების ჟანრი; საგნის ან მოვლენის პოეტური, ნართაული დახასიათება თვით ამ ობიექტის დაუსახელებლად მისი გამოცნობის მიზნით. გამოირჩევა რიტმულობითა და კომპოზიციური გამართულობით.

გაპიროვნება-იხ. *პერსონიფიკაცია*

გარეგანი რითმა-იხ.*რითმა*

გარემომცველი რითმა-იხ. *რითმა*

გარჩევა
ლიტერატურის სახელმძღვანელოს სასკოლო-ჟარგონული სახელი.

გაფი
ლექსის ფორმა აღმოსავლურ პოეზიაში. გაფის ტაეპი 8-მარცვლიანია, სტროფი - ხუთტაეპიანი, პირველ-სამ ტაეპში რითმა ერთნაირია, ორ უკანასკნელში კი - სხვადასხვანაირი. (ნიმუში: „ახალ აღნაგო სულოდა, /ედემში აღმოსულოდა, / ჩემს ეტლზე დანერგულოდა, /სიცოცხლეს შენგან მოველი, /უკვდავება ხარ ცხოველი.“ დიმიტრი თუმანიშვილი)

გაშაირება

ხალხური პოეტური ტერმინი, მეტოქეთა პაექრობა სალაღობო ერთსტროფიანი ლექს-სიმღერებით(შაირებით). გაშაირება სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა, მოიცავს საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, სოციალურ მოტივებს.

გაშუალებული კავშირი - იხ. შუალობითი კონტაქტი

გაჩუმება
განწყობილების გამოვლენა მეტყველების შეწყვეტით. წერითს მეტყველებაში ის მრავალწერტილით აღინიშნება. ამ მრავალწერტილს მიღმა განფენილია ტკივილის, სინანულის და ა. შ. ემოცია. გამოყენებულია პროზაში და პოეზიაშიც(მაგ., ,,გათავდა...უნდა შევცვალო გზები.../ძველო თბილისო, გტოვებ... ნახვამდის...“).(იხ. *პოეტური გაჩუმება*)

გედის სიმღერა
ძველი ბერძნული გადმოცემით გედი ერთხელ მღერის და ისიც სიკვდილის წინ. „გედის სიმღერა“ სიტყვახმარებაში უკანასკნელი თქმის, უკანასკნელი მოქმედების მინიშნებად გადაიქცა. გამოთქმა ფართოდ გამოიყენება პუბლიცისტიკაში, სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

გენეალოგიური მეთოდი
მეთოდი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ საერთო ნიშნებზე, რომლებიც განპორობებულია ლიტერატურული მოვლენების ნათესაობით.

გვარი(ლიტერატურული)
ასახვით-კომპოზიციურ თავისებურებათა საფუძველზე ლიტერატურულ ნაწარმოებთა კლასიფიკაციისას გამოყოფილი უზოგადესი ჯგუფი, უმსხვილესი საკლასიფიკაციო კატეგორია, რომელიც ეფუძნება ტექსტის ფორმალურ, შინაარსობრივ და სტილისტურ მახასიათებლებს. გამოყოფენ სამ ძირითად ლიტერატურულ გვარს: ეპოსი, ლირიკა, დრამა.

გმირი-(იხ. ლიტერატურული გმირი)

გმირის დახასიათება სხვა გმირის მიერ
ერთი პერსონაჟის მიერ მეორე პერსონაჟის დახასიათება, მისი იდეალების, ცხოვრების წესის, მოქმედებებისა და სხვ. შეფასება.

გმირის პროტოტიპი
ნამდვილი, რეალურად არსებული პიროვნება ან ლიტერატურული ტიპი/სახე, რომლის მიხედვითაც ავტორი ქმნის კონკრეტულ ახალ ლიტერატურულ სახეს.

გმირული პათოსი
მწერლის აღფრთოვანება, რომელიც გამოქვეულია ადამიანის გმირობის სიდიადის ჩვენებით. გმირული პათოსი ჩნდება, როცა გამორჩეული ადამიანები, გმირები იბრძვიან დიადი მიზნებისა და იდეალებისთვის, სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად და სხვ.

გმირული სახე
ადამიანის ისეთი ტიპი, რომელიც თავგანწირულად იბრძვის უდიდეს დაბრკოლებათა წინააღმდეგ მაღალი საზოგადოებრივი იდეალის განსახორციელებლად.

გნომა

ბრძნული გამონათქვამები, დიდაქტიკური შეგონება, გადმოცემული ლექსად ან რიტმული პროზით. ქართულ ლიტერატურაში ღნომებს უწოდებდნენ ქართულ მასალაზე შედგენილ ან უცხო ენიდან თარგმნილ სენტენცია-აფორიზმებსა და მოსწრებულ კითხვა-მიგებათა კრებულს.

გრადაცია
სტილისტიკური ხერხი, მხატვრული სიტყვის გამომსახველობით საშუალებათა აზრობრივი თუ ემოციური გაძლიერება ან შესუსტება. გრადაცია ორი სახისაა: *აღმავალი(კლიმაქსი)* და *დაღმავალი(ანტიკლიმაქსი).* გრადაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს სტროფული ან სიუჟეტური კომპოზიციის ხერხად(მაგ., ,,თხა და ვენახი“).

გრაფომანია
წერისადმი ავადმყოფური მიდრეკილება, შემოქმედებისა და სამწერლო ნიჭს მოკლებული აკვიატებული თხზვა.

გრაცია
ლათ. მშვენიერება, ძველ რომაელთა მშვენიერების ერთ-ერთი ქალღმერთი, რომელიც წარმოდგენილი იყო თურმე გასაოცარი სილამაზის ასულად. ხელოვნებასა და ლიტერატურაში სიტყვა გრაცია როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება ქალის მშვენიერების, შნოს, სინატიფის მისანიშნებლად.

გროტესკი
მხატვრული ხერხი, რომელიც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, ტრაგიკულისა და კომიკურის შექმნაზე(მაგ., ,,კაცია-ადამიანი?!“).

გუთნური
ქართული ხალხური შრომის პოეზიის ერთ-ერთი სახეობა.

გულანი
ქართული ლიტერატურული(საღვთისმეტყველო) პრაქტიკის მიერ შემუშავებული კრებული. გულანი ორიგინალური ქართული კომპოზიციის კრებულია. ყველა გულანი ერთი შემადგენლობის არაა. შემოკლებულ ვერსიას ,,*ჟამგულანს*“ უწოდებენ.

=დ=

დაამბი-იხ. *ლექსთწყობა*

დაბადება
ბიბლიის საღმრთო წიგნების, ე. წ. „საღმრთო წერილის“ პირველი ნაწილის ქართული სახელწოდება.

დაბალი შაირი
რიტმულად ნელი ტემპის მქონე ტერფებისაგან შედგენილი ექვსტერფიანი შაირი. (მაგ., „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი”).

დაბოლოება
მხატვრული ნაწარმოების ბოლო ნაწილი, რომლითაც ბოლოვდება თხზულება. დაბოლოების სახეებია: *ეპილოგი, ფინალი, შეგონება, სწავლება იგავ-არაკში, მორალი.*

დადაიზმი

ექსპრემიონიზმიდან გამოსული უკიდურესად ფორმალისტური, ნეომოდერნიზმის ეპოქის მხატვრული მიმართულება, რომლის კონცეფციით სამყარო უგუნური და შეშლილია. ამიტომ პოეტური სიტყვის გასაფორმებლად დადაისტები ეძებდნენ უაზრო ნეოლოგიზმს; მიიჩნევდნენ, რომ სიტყვაში აზრი კი არ არის საინტერესი, არამედ ბგერწერა.

დადებითი გმირი
(იხ. *ლიტერატურული გმირი*)

დათმობითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

„დაკარგული თაობა“
ტერმინი, რომელიც გაჩნდა XX ს-ის 20-იანი წლების ინგლისურენოვან ლიტერატურაში იმ მწერალთა ჯგუფის აღსანიშნავად, რომლებმაც განიცადეს I მსოფლიო ომის საშინელებანი, დაინახეს სიყალბე ცრუ პატრიოტული იდეებისა, რომლებიც მანამდე სწამდათ, დაკარგეს მომავლის რწმენა და განიმსჭვალნენ ნიჰილიზმით.

დამაკვირდი
ბერძნული გამოთქმები, აფორიზმების საგანგებო კრებული ქართულში. სახელწოდება „დამაკვირდი“ ილია ჭავჭავაძემ შემოიღო და დაამკვიდრა ქართულში.

დაპირისპირებითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

დასდებელი
ჰიმნოგრაფიული ტერმინი. საგალობელთა ჯგუფში პირველი არის ძლისპირი, კილოსა და საზომის მიმცემი, დანაჩენები-დასდებელი.

დასთანი
სპარსული ლიტერატურული ტერმინი; აღნიშნავს მოთხრობას, რომანს, პოეტურ თუ პროზაულ ვრცელ ნაწარმოებს ან ერთი ჩარჩოთი შემოფარგლულ კრებულს. ხალხური დასთანი გულისხმობს პოეტურ ძეგლთა პროზაულ გადამუშავებას. დასთანებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საგანგებოდ მომზადებულ მთქმელთა რეპერტუარში.

დაუჯდომელი*(აკათისტო)*
სავედრებელი შესხმა, რომლის შესრულების დროსაც დაჯდომა არ შეიძლება(აკათისტო); 2. ამგვარ შესხმათა კრებული, წიგნი.

დაქტილი
სამმარცვლიანი ტერფი. რომლის პირველი მარცვალი გრძელია(ან მახვილიანი), ხოლო მომდევნო ორი-მოკლე (ან უმახვილო). იხ. *ლექსწყობა.*

დაქტილური პენტამეტრი
დაქტილური ჰექსამეტრისაგან საწყისი ნახევარტაეპის გაორმაგებით მიღებული საზომი.

დაქტილური რითმა-იხ. *რითმა*

დაქტილური ტერფი
სამი მარცვლისაგან შემდგარი ტერფი, რომელთაგან პირველი მარცვალი მახვილიანია, ხოლო დანარჩენი ორი კი-უმახვილო.

დაქტილური ცეზურა-იხ. *ცეზურა.*

დაქტილური ჰექსამეტრი
ექვსი სტროფისაგან შემდგარი ტაეპი, რომლის პირველი ხუთი ტერფი წარმოადგენს დაქტილს, ხოლო უკანასკნელი-ქორეს.

დაღმავალი გრადაცია-იხ. გრადაცია

დაყოვნებული ექსპოზიცია-იხ. *ექსპოზიცია.*

დახასიათება
ადამიანის, საგნის ან რაიმე მოვლენის განმასხვავებელი თვისებების ჩამოთვლა. დახასიათება შეიძლება იყოს *მხატვრული* და *არამხატვრული.* მხატვრულ დახასიათებას თვითონ მწერალი გვაძლევს. მხატვრულ დახასიათებაში მწერალი სარგებლობს მხატვრული გამონაგონით და მეტი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით უხვად იყენებს მეტყველების პოეტურ ფორმას – ტროპებს, ფიგურებს, არ ერიდება გაზვიადებას და სხვ.

დახურული რითმა-იხ. *რითმა.*

დებაითი-იხ. *სტროფი.*

დებიუტი
ხელოვნების რომელიმე დარგის მოღვაწის პირველი გამოსვლა საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე, სცენაზე, სამწერლო ასპარეზსა თუ სხვაგან.

დედააზრი-იხ. *იდეა.*

დეკადანსი
ხელოვნებასა და ლიტერატურაში რომელიმე მიმდინარეობის, შეხედულებისა თუ მწერლის შემოქმედების დაკნინება, დაცემულობა, დაქვეითება.

დეკადენტობა
XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისის კულტურის კრიზისული მოვლენების ზოგადი სახელწოდება; ამ დროს სოციალურმა არასტაბილურობამ წარმოშვა უიმედობა, სასოწარკვეთილება, მიუსაფრობის შეგრძნება და ცხოვრების უარყოფაც კი, რაც კულტურის კრიზისულ მოვლენებში აისახა.

დეკლამაცია
მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის ხელოვნება, ნათქვამის ოსტატურად გადმოცემა. დღეს უპირატესად ხმარობენ *მხატვრულ კითხვას,* რადგან სიტყვა „დეკლამაციას“ დღეს ცოტა არ იყოს არქაულობის ჟანრი დაჰკრავს.

დეკოდირება
თარგმანის პროცესში მთარგმნელის მიერშესრულებული ოპერაციების როგორც თანმიმდევრობა, ასევე ერთობლიობა, რომელთა მიზანია დედნის ტექსტის ყველა ასპექტის გამოვლენა.

დეკორაცია
მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური კომპონენტი, ბუნების ან საყოფაცხოვრებო გარემოს აღწერა, რომელიც ქმნის კომპოზიციურ პაუზას, თხრობის შეჩერებას. იხ. *რეტარდაცია*

დესკრიფცია
მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური კომპონენტი, ბუნების ან საყოფაცხოვრებო გარემოს აღწერა, რომელიც ქმნის კომპოზიციურ პაუზას, თხრობის შეჩერებას.
(იხ. რეტრადაცია)

დესკრიფციული პერიფრაზი
აღწერითი, პერიფრაზირებული თარგმანი, რომელიც გულისხმობს ახალი სიტყვის ან სიტყვათა შეხამების შექმნას ენაში უკვე არსებული ელემენტების საშუალებით.

დეტექტიური ჟანრი
აღწერს საიდუმლოებით მოცული მძიმე დანაშაულის გახსნის ამბავს, მაძებრის თავგადასავალს, დეტექტიური შეიძლება იყოს მოთხრობაც და რომანიც.

დეტექტიური რომანი-(იხ. *რომანი*)

დეფინიცია
ცნების, სიტყვის, ნიშნის, სიმბოლოს ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით.

დეციმა-იხ. *სტროფი.*

დიადემა
ძვირფასი თვლებით შემკობილი თავმოსახვევი. ამ ცნებამ ფეხი მოიკიდა არქიტექტურასა და პოეზიაში თვალწარმტაცი მოკაზმულობის მნიშვნელობით.

„დიაკვნის შვილები“-იხ *ხალხოსნები.*
დიალექტიზმი
სალიტერატურო ენის დიალექტისათვის დამახასიათებელი სინტაქსური, მორფოლოგიური ან ფონეტიკური ენობრივი ფორმა, რომელსაც ხშირად მიმართავენ ლიტერატურაში პერსონაჟის მეტყველებისას.

დიალოგი
საუბარი ორთა შორის. დიდ როლს ასრულებს პროზაში, აადვილებს პერსონაჟთა აზრის, განწყობის გამოხატვას. დიალოგი მხატვრული სახის შექმნის,პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათებისა და სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

დიალოგურობა
მხატვრული ლიტერატურის ინტერტექსტუალური გაგების მნიშვნელოვანი პროცესი. დიალოგურობა ახასიათებს ნებისმიერ გამონათქვამს და ასახავს მის უნარს, ერთი მხრივ, უპასუხოს წინა გამონათქვამებს და, მეორე მხრივ, მიემართებოდეს სხვა პოტენციურ მოსაუბრეებს.

დიდაქტიკური პოეზია
დამრიგებლობითი ხასიათის სამეცნიერო, ფილოსოფიური, მორალური შინაარსის პოეზია. (საქართველოში დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებით ცნობილნი არიან სულხან-საბა

ორბელიანი, დავით გურამიშვილი, აკ. წერეთელი და საერთოდ ქართული ლიტერატურა გამოირჩევა დამრიგებლობითი ხასიათის მოტივებით.

დიდბესიკური
ქართული ლექსის საზომი, 15-მარცვლიანი

დიერესი
ეს ტერმინი დიფთონგთან არის დაკავშირებული, დიფთონგი, როგორც ცნობილია, ისეთი ორხმოვანი მარცვალია, რომლის ერთი ბგერა ჩვეულებრივ მეტყველებაში იმდენად სუსტად გამოითქმება, რომ კარგავს დამოუკიდებელი მარცვლის ხასიათს, უერთდება მეორეს ნახევარხმოვნის სახით და ორივე ერთ მარცვალს გვაძლევს. დიფთონგის ეს ხმოვნები ლექსურ მეტყველებაში ზოგჯერ მეტრული მოსაზრებით გაითიშება და ორ მარცვლად გამოითქმის, ამას კი პოეტიკაში დიერესს ეძახიან. (მაგ. „ჰოი, მთაწმინდავ... ადგილნი შენნი“, ნიკოლოზ ბარათაშვილი)

დივერგენცია
დაშორება, განსხვავებები, რომლებიც აღმოცენდება ეროვნული ლიტერატურების განვითარების შედეგად, რაც განპირობებულია ოდესღაც ერთი ეთნოსის წარმომადგენლების გეოგრაფიული და პოლიტიკური გაყოფით.

დივერტისმენტი
სასცენო კომპოზიციის მცირე ფორმის დრამატული თხზულება, რომელიც გასართობ წარმოდგენადაა ნავარაუდევი. იგი იმართება სპექტაკლის, კონცერტის შემდეგ.

დითირამბი
გადაჭარბებული შექება, დიდება, ხოტბა.

დილოგია
ერთი ავტორის ორი დრამატული ან ეპიკური ნაწარმოები, გაერთიანებული მწერლის იდეური ჩანაფიქრით, მონათესავე სიუჟეტით, პერსონაჟებით. დილოგიის შემადგენელი ნაწარმოებები კომპოზიციურად დამოუკიდებელია.

დისკურსი
მსჯელობა, განხილვა, გარჩევა, მეცნიერული გამოკვლევა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დისკურსული პარაფრაზი
გრძელი ან რთული ტექსტის გარდაქმნა უფრო მოკლე და გასაგებ ტექსტად. ამ ტიპის პარაფრაზირება ორიგინალურინტექსტის ძირითადი იდეების იდენტიფიცირებას და მათ უფრო მკაფიოდ და მოკლედ გამოხატვას გულისხმობ.

დისკუსია
კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით რაიმე საკითხის განხილვა, კამათი; ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესი.

დისონანსი
არაზუსტი რითმის ისეთი სახეობა, როცა მახვილიანი ხმოვნები განსხვავებულია(მაგ., ,,ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა/ჭაღარა გულის ზმანება ავი,-/ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,/ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი“).

დისპუტი

წინასწარ მომზადებული ზეპირი, საჯარო კამათი, პაექრობა, მეცნიერული, ლიტერატურული ან სხვა ხასიათის თემაზე.

დიქორე-იხ. *ლექსწყობა.*

დიქცია
ბგერების, სიტყვების, ფრაზების, წინადადებების მკაფიო, გარკვეული ნათელი და სხარტი წარმოთქმა, მეტყველების ადვილად გასაგები ბგერადობა.

დოგმატიკა
სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტიანობის არსების, იდეური მხარის გარკვევას, ქრისტიანობის მთავარ დებულებათა ფორმულებად (დოგმატებად) ჩამოყალიბებას.

დოკუმენტური ეპიკური ჟანრები
ბიოგრაფიული რომანი და მემუარული ლიტერატურის ფორმები: *დღიური, მოგონებები, ავტობიოგრაფია, აღსარება, მოგზაურობა და სხვ.*

დომინანტური სტილი
ტექსტის ძირითადი სტილი.

დომხი-იხ. *ლექსწყობა.*

დრამა(**ვიწრო გაგებით**)
დრამის სახე, რომელშიც წარმოჩენილია პიროვნება და მისი დრამატული ურთიერთობები საზოგადოებასთან. თუმცა, არსებობს მოქმედ გმირთა შორის კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობაც. ნაჩვენებია გმირის მძიმე განცდები. თანამედროვე განმარტებით, დრამა არის ლიტერატურული გვარი, რომელსაც სცენაზე (ეკრანზე) მოქმედებაში მოჰყავს ადამიანი და სამყარო და აერთიანებს სიტყვის ხელოვნებას ხელოვნების ვიზუალურ ფორმებთან(კინო, თეატრი).

დრამა(**ფართო გაგებით**)
ლიტერატურული ნაწარმოების გვარი, რომლის თავისებურებაა სინამდვილის მხატვრული ასახვა უშუალო მოქმედებით, დიალოგისა და მონოლოგის ფორმით. დრამა განასახიაერებს არა მწერლის შინაგან განცდებს, არამედ მისგან მკვეთრად განრიდებულ,გაობიექტურებულ სინამდვილეს. დრამაში სინამდვილე წარმოისახება და სიუჟეტი ვითარდება არა თხრობის გზით, არამედ პერსონაჟთა მოქმედების მეშვეობით. დრამას საფუძვლად უდევს მძაფრი ცხოვრებისეული კონფლიქტი, რომლის გარშემოც კონცენტრირებულია მთელი მოქმედება.

დრამატიზმი
მოქმედების დაძაბულობა, დაჭიმული ვითარება, მძიმე მომენტი, კონფლიქტის გარდაუვალობა.

დრამატული გმირი
დრამატული ნაწარმოების პერსონაჟი, რომელიც, როგორც წესი, მოქმედებს „თვითონ“, „დამოუკიდებლად“, „ავტორის ჩაურევლად“, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორი გმირს ე. წ. „თვითდახასიათების“ გზით წარმოაჩინებინებს თავს.

დრამატული პათოსი

ემოციური მდგომარეობა, რომელსაც ბადებს ადამიანისა და ცხოვრების მტრული დაპირისპირებით გამოწვეული გრძნობები, პერსონაჟის მძიმე ხვედრით განპირობებული განცდები.

დრამატურგი
სასცენო კომპოზიციის ნაწარმოების ავტორი. სახელწოდება მიუთითებს, თუ რა ჟანრისა და ფორმის ნაწარმოებებს წერს ავტორი.

დრამატურგია
რომელიმე მწერლის, ხალხის ან ეპოქის დრამატულ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

დრამის ჟანრები
დრამის, როგორც ლიტ-რული გვარის ჟანრებია: ტრაგედია, კომედია, საკუთრივ დრამა, ტრაგი-კომედია, მორალიტე, მისტერია, ფარსი, მირიკალი, კომედიური სატირა, მელოდრამა, ვოდევილი.

დრო
დრო, როდესაც ხდება ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება, ზოგჯერ ის პირდაპირაა გაცხადებული, ზოგჯერ კი სხვადასხვა ელემენტებზე დაყრდნობით უნდა ამოვიცნოთ. ეს ელემენტებია: პერსონაჟთა ქცევა და ჩაცმულობა, ისტორიულ ფაქტებზე მინიშნება და სხვ.
დროის გარემოებითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

დღიური
თარიღდასმული ჩანაწერები, რომლებიც ეხმარება ავტორს, შემოინახოს და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ აღიდგინოს წარსულში მომხდარი ამბები და მოვლენები; დაფიქრდეს ნანახზე, გაგონილსა და წაკითხულზე; შეაფასოს საკუთარი თავი და სხვა ადამიანები.

=ე=

ეგზეტიკა
სასულიერო მწერლობის დარგი,რომელიც მიზნად ისახავდა ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტებას.

ეგზოტიკა
ამ ცნების შინაარსი ვარაუდობს ევროპელებისთვის უცხო ბუნებას, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, ქცევას, ხასიათს, ადათ-წესებს, რაც მომხიბვლელადაა მიჩნეული. ტერმინი იხმარება ისტორიაში, რიტორიკაში, ეთნოგრაფიაში და, რაც უმნიშვნელოვანესია, მწერლობაში.

ეგზისტენციალიზმი
მიმართულება X ს-ის ლიტ-რაში. მისი ძირითადი თემაა პიროვნების ბედ-იღბალი თანამედროვე სამყაროში, რწმენა და ურწმუნოება, სიცოცხლის საზრისის დაკარგვა და ა. შ. წინააღმდეგ თავისი ამოსავალი სუბიერქურ-იდეალისტური საწყისისა, ეგზისტენციალიზმი აღიარებს ადამიანისაგან დამოუკიდებელი და მისთვის სავსებით უცხო სამყაროს არსებობას, ამასთან, თვით ადამიანის ,,მიტოვებულობას“, ,,უსახლკარობას“ ამ უცხო სამყაროში, რაც განაპირობებს ადამიანის არსებობის აბსურდულობას და მისი ყოფის ტრაგიკულობას. ადამიანმა არ იცის,რატომ ან რისთვის არსებობს; მან მხოლოდ ის იცის, რომ ელის გარდაუვალი სიკვდილი. იგი განწირულია უაზრო და ტრაგიკულო ყოფისათვის. ასეთი კონცეფცია თავისთავად გამორიცხავს ესთეტიკურ ასპექტს და ხელოვნების შემეცნებით ფუნქციას ფიქციად აქცევს.

ედიტორი
ტერმინი მჭიდროდ უკავშირდება საგამომცემლო საქმესა და წიგნის გაფორმებას, შესაბამისად, ეს სიტყვა იხმარება ჟურნალისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში გარკვეული მნიშვნელობით.

ევლოგია
ეკლესიაში ქრისტიან მორწმუნეთათვის დასარიგებელი ნაკურთხი წყალი, ხილი, სეფისკვერის ნატეხი. მხატვრულ ლიტერატურაში ტერმინს როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც ხმარობენ. (მაგ. *„... ეკვირინემ კი რძალი ევლოგიის ასაღებად მიიყივანა“. „...ქრისტეს სახელით ვაჭრობდა სარწმუნოება კვიატი,/ რომ მწარე სული დაეტკბო აღდგომის ევლოგიათი“* და სხვ.)

ევრიტმია
ლექსის კეთილხმოვანება, მასში რიტმული ერთეულების ჰარმონიული თანმიმდევრობა.

ევფეიზმი
უხეში სიტყვისა თუ გამოთქმის ვულგარული დასახელების მორიდებულად გამოხატვა, ლიტერატურული გაკეთილშობილება(მაგ., გაუპატიურების ნაცვლად თქმა: „ნამუსის ახდა“). ევფემიზმი მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება, როგორც სტილისტიკური ხერხი(მაგ., „თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ საქვეყნოდ გესლს ანთხევთ, მადამ ფალუს? თქვენ საქვეყნოდ გამოგაქვთ თქვენი სასირცხო“).

ევფონია
პოეტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების(უმეტესად-ლექსის) ბგერითს ორგანიზაციას ემოციური ელფერის თვალსაზრისით. ევფონიის სფეროს განეკუთვნება რიტმი, რითმა, ასონანსი, დისონანსი, ანაფორა, ალიტერაცია, ბგერითი განმეორებებისა და ბგერწერის სხვადასხვა სახე.

ევფონიზმი
გამოთქმის კეთილხმოვანება – სიტყვაში ბგერათა ისეთი შემადგენლობა, ხმოვანთა და თანხმოვანთა ისეთი კომბინაცია, რომელიც ქმნის კეთილხმოვანებას.

ევფუიზმი
ტროპული მეტყველების ფორმებით დატვირთული ნაწარმოები, მაღალფარდოვანი სტილით დაწერილი ლექსი.

ეზოთერული
საიდუმლო დაფარული(ითქმის რელიგიური წესების, მისტიკურ მოძღვრებათა შესახებ); ის რაც განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაენდვნენ, განდობილთათვის გასაგები.

ეზოპეს ენა
იგავით საუბარი, აზრის გადმოცემა იგავურად, შენიღბულად. არაკების მოქმედ პირებად ეზოპეს უპირატესად ცხოველები და ფრინველები გამოჰყავდა, რაც მას საშუალებას აძლევდა ალეგორიულ, შენიღბულ ფორმებში აესახა იმდროინდელი საზოგადოების ურთიერთობანი და ცალკეული პირები. ეზოპეს ენას ჩვეულებრივ მაშინ მიმართავენ, როდესაც ცენზურისა და პოლიტიკური ვითარების გამო შეუძლებელია აზრის პირდაპირ, შეუფარავად გამოხატვა.

ეთნოიმანოლოგია

შეისწავლის ,,უცხოს“, ,,სხვის“ სახეს ამა ტუ იმ ქვეყნის ლიტერატურულ, საზოგადოებრივ, კულტურულ ცნობიერებაში.

ეთნოცენტრიზმი
უცხოეროვნული კულტურის ფაქტებისა და მოვლენების საკუთარი ხალხის კულტურული ტრადიციებისა და ღირებულებების პრიზმაში დანახვა.

ეკლოგა
პოეზიის ჟანრი, ასახავს ყოფითს სცენებს მწყემსთა, მიწის მუშაკთა ცხოვრებიდან, თუმცა არ გამორიცხავს პოლიტიკურ თუ სხვა მოტივებსაც. გვხვდება როგორც დრამატული(დიალოგი), ისე თხრობითი, ეპიკური ხასიათისა (ქართულ ლიტ-რაში ეკლოგური ხასიათისაა დ. გურამიშვილის „ ქაცვია მწყემსი“).

ელეგია
ლირიკული პოეზიის ჟანრი, სევდისა და წუხილის გამომხატველი ლექსი. მასში შეიძლება ჩანდეს სიხარულიც, ფილოსოფიური ფიქრები, ნაღვლიანი მოგონებები წარსულზე...

ელიზია
მარცვლების ხელოვნურად შეკუმშვა ან შეკვეცა სალექსო ზომის დასაცავად.

ელიფსისი
პოეტური ფიგურა, როდესაც წინადადებაში ამოღებულია ან გამოტოვებულია მისახვედრი სიტყვა. გამოტოვებული სიტყვის მაგივრობას ასრულებს ტირე. ელიფსისის გამოყენებით მეტყველება ხდება ლაკონური, მოხდენილი, სიტყვა-პასუხი-სხარტი(მაგ., „სიკვდილსა გლოვა უხდება,/მკვდარ ძმას-ტირილი დისაო...“).

ემოცია
დიდი მგრძნობელობა, მარალი განცდა, აწეული განწყობილება, პოეტური სითბო. ემოციის არსის გარკვევაში ერთ-ერთი ხაზგასმული მომენტია ემოცია, როგორც მხარვრული გამოსახვის ფორმა, გადმოცემის პოეტური ჩარჩო.

ემფაზისი
სტილისტიკური ხერხი, ინტონაციური გამოხატვის ფორმა. მისთვის ნიშანდობლივია მძაფრი ემოციურობა, მეტყველების ექსპრესიულობა, ინტონაციათა და რიტორიკულ ფიგურათა მონაცვლეობა(მაგ., „და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,/ რაზე - ვინ იცის! ვინ იცის, მერი!/ ბედი,რომელიც მე არ მელირსა-/ქარს მიჰყვებოდა, როგოეც ნამქერი“). ემფაზისი განსაკუთრებით დამახასიათებელია ლირიკისათვის.

ენის გასატეხი
სახუმარო, ძნელად გამოსათქმელ სიტყვებზე აგებული გამოთქმა.

ეპატაჟური
სკანდალური გამოხტომა: საქციელი, რომელიც არღვევს საზოგადოდ მიღებულ ნორმებსა და წესებს.

ეპიგონი
რომელიმე ლიტერატურული (თუ სხვა მიმართულების) მიმდევარი, რომელსაც ორიგინალური შემოქმედებითი დამოუკიდებლობა არ ახასიათებს და რომელიც იმეორებს დრომოჭმულ იდეასა და ფორმას.

ეპიგონობა
მექანიკური მიბაძვა, პრეტესტის ბრმა გადმოღება. რაიმე მიმართულების ბრმად მიმდევრობა; როდესაც მხატვრულ ქმედებას აკლია ორიგინალობა და დამოუკიდებლობა.

ეპიგრამა
მოულოდნელი დასასრულის მქონე მცირე ზომის სატირული ლექსი. არსებობს ლირიკული და ფილოსოფიური ეპიგრამებიც.

ეპიგრაფი
თხზულებას ან მის ცალკეულ ნაწილებს წამძღვარებული ციტატა, ანდაზა, აფორიზმი და ა.შ. მისი დანიშნულებაა მკითხველს ყურადღება გაუმახვილოს ნაწარმოების ან მისი ნაწილის დედააზრზე, ავტორისეულ ჩანაფიქრზე.

ეპიგრაფიკა
ძველ წარწერათა შემსწავლელი დისციპლინა. წარწერა შეიძლება იყოს ლიტერატურული, უფრო მეტად აფორიზმული ხასიათის. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ხელს უწყობს ლიტერატურული მოსწრებული გამოტქმების პოპულარიზაციას.

ეპიზოდი
ცალკეული შემთხვევა, ამბავი. მხატვრულ ნაწარმოებში სიუჟეტის შემადგენელი ნაწილია, დაკავშირებულია ძირიტადად თემასთან და ამასთანავე მეტნაკლებად დამოუკიდებელი ხასიათისაა. ფაბულა ეპიზოდთა შეკავშირებით იქმნება, თუმცა შეიძლება იგი ეყრდნობოდეს ერთ ეპიზოდსაც.

ეპიტალამი
ლიტერატურული ჟანრის სახე, ახალდაქორწინებულთადმი მიძღვნილი მისალოცი ლექსი, სიმღერა.

ეპითეტი
სიტყვა, რომელიც რაიმე ნიშნით ახასიათებს საგანს, მოვლენას ან პიროვნებას. მხატვრულ მეტყველებაში ეპითეტი პოეტური სამკაულია და მეტწილად ზედსართავი სახელითაა გამოხატული (მაგ., „...მთვარე ასე წყნარი“). ეპითეტი ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება(მაგ., „შავი ყორანი გამითხრის საფლავს“). ეპითეტი მხატვრული განსაზღვრებაა და არა - ლოგიკური, მაგრამ პოეტურ მეტყველებაში ზოგჯერ ლოგიკური განსაზღვრებაც კი მხატვრულ გამომსახველობით იერს იძენს(მაგ., „ქისტებს წაუსხამ ცხენები,/ალუდაისიც ფრთიანი./ გუმან აქვთ, გადაავლიონ/ არხოტის თავი მთიანი“). ეპითეტი თავის თვისებას საგანთან შეუღლებისას ავლენს, მაგრამ ზოგჯერ თვით აღსანიშნი საგნის მაგივრობას სწევს (მაგ., „ნახა, შავი შამბსა პირთა დგას სადავე-უკუყრილი“-ამ ტაეპში „შავი“ ტარიელის ცხენს გულისხმობს).

ეპიკური გმირი/სახე
ეპიკურ ნაწარმოებში ეროვნულ ისტორიული მნიშვნელობის ნიშნების მატარებელი გმირი/სახე, რომელსაც ავტორი თანმიმდევრულად ახასიათებს მისი ქცევის, მოქმედებების, განათლების, მეტყველების, გარეგნობისა და სხვა თავისებურებების მიხედვით.

ეპილოგი

ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, ბოლოთქმა, რომელიც გამოყოფილია ტექსტის ძირითადი ნაწილისაგან და რომელშიც მოცემულია ავტორისეული შეფასება, აზრი, მსჯელობა მის მიერ წარმოჩენილ მოვლენებტან, ნაწარმოების იდეასთან დაკავშირებით.

ეპისტოლე

1. წერილი, მიმართვა; წერილის ფორმით დაწერილი თხზულება (იხ. *ეპისტოლური ლიტერატურა*) ან ნაწილი თხზულებისა (მაგ., ნესტანის წერილი ტარიელისადმი) ;2. ახალი ღთქმის გარკვეული ნაწილი.

ეპისტოლური ლიტერატურა

1. გამოჩენილ სახელმწიფო, საზოგადო, მეცნიერებისა დახელოვნების მოღვაწეთა წერილები ან წერილებისაგან შემდგარი ნაწარმოებები; 2. მხატვრული, პუბლიცისტური, მეცნიერული ნაწარმოებები, რომლებსაც მიმართვის, წერილის ან მიმოწერის ფორმა აქვთ.

ეპისტროფი

პოეტური ფიგურა, რიტორიკული ხერხი; ერთი და იმავე სიტყვის, გამოთქმის, ფრაზის გამეორება აზრის გამოსაკვეთად და ემოციის გასაძლიერებლად(მაგ., „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის.../ სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“).

ეპიტაპია

წარწერა საფლავის ქვაზე. ეპიტაპიას უწოდებენ საფლავის ქვაზე წარწერილ მიცვალებულის მოსაგონარ ლირიკულ ლექსსაც, აგრეთვე ეპიტაპიის სახით შეთხზულ ლექსს, რომელიც ისტორიული პირის ან თვით ავრორის ცხოვრებას, ხვედრს, ღვაწლს ახასიათებს.

ეპიფორა

ანაფორის საპირისპირო ფორმა, რომელიც გულისხმობს ტექსტის ტაეპებისა და ფრაზების დაბოლოებების(ბგერების, სიტყვების, გრამატიკული ფორმების) გამეორებას(მაგ., „იყო ომი, იყო ცეცხლის **დროება**,/ ლოდინია ეხლა ეს მყუ**დროება**“).

ეპოპეა

პოეტური ეპოსის, პოემის ერთ-ერთი ისტორიული სახეობა, ვრცელ ამბავზე აგებული ეპიკური ჟანრის ნაწარმოები. ეპოპეას ახასიათებს სიტუაციების სირთულე, პერსონაჟთა სიმრავლე, მძაფრი დრამატული კონფლიქტები, ასახვის ფართო მასშტაბი და მრავალმხრივობა.

ეპოსი

მხარვრული ლიტ-რის ერთ-ერთი გვარი, რომლის თავისებურებაა სინამდვილის მხატვრული ასახვა თხრობის გზით. ეპოსში მოქმედება, გარემო, პერსონაჟთა სულიერი სამყარო, დიალოგი და მისთ. ცასმულია ავტორისეული თხრობის საერთო ქარგაში, ექვემდებარება მას, ძირითადად მისი მეშვეობით გამოიხატება. ეპოსის თანამედროვე განმარტებაა: ეპოსი არის ლიტ-რული გვარი, რომელიც ეფუძნება ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის ობიექტურ ასახვას გარეხედვის პოზიციიდან და მიმართულია ისტორიულ და საზოგადოებრივ-ყოფით სფეროზე.

ეპოსის ჟანრები

დიდი ეპიკური ჟანრებია:ეპოპეა, სიმღერა, რომანი, პოემა, ბალადა. მოცულობიტ და პრობლემატიკით მათზე ნაკლებია: მოთხრობა, მემუარი, დრიური, ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, მოგზაურობა, ნარკვევი, ზღაპარი. მცირე ეპიკური ფორმებია: ნოველა, იგავ-არაკი, ეტიუდი, ესე.

ერთმარცვლიანი რითმა-იხ. *რითმა*

ერთმოქმედებიანი მსუბუქი კომედია-იხ. *ვოდევილი*

ეროვნული თემა
დამახასიათებელია მხოლოდ კონკრეტული ერის ცხოვრებისათვის.

ეროტიზმი
მეტისმეტი მგრძნობელობა, სქესობრივი გრძნობის მძაფრი გამოვლენა, სქესობრივი აგზნებულობა. ეს მომენტი მხატვრულ ლიტერატურაში ხშირადაა გამოხატული.

ესე
მცირე ან საშუალო მოცულობის პროზაული ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს კომპოზიციური თავისუფლება და სუბიექტივიზმი.

ესკაპიზმი
რეალობიდან გამოგონი სამყაროში გაქცევა.

ესკიზი
1.მხატვრული ლიტ-რული ნაწარმოების ან მისი ნაწილის წინასწარი მონახაზი; 2. მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები, ლიტერატურული ჩანახატები.

ეტიუდი
მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ასახავს სინამდვილეს, ადამიანის ცხოვრების, მოქმედების, განცდის რაიმე მომენტს, ფრაგმენტს. ეტიუდი ეწოდება აგრეთვე ლიტერატურულ, კრიტიკულ, ისტორიულ, ფილოსოფიურ ან მეცნიერულ ნარკვევს, რომელშიც ერთი რომელიმე საკითხი მოკლედ, შეკუმშულადაა გაანალიზებული.
ეფერემა-ხანმოკლე, სწრაფმავალი, არამყარი; არარეალური, მოჩვენებითი.

ექვსტაეპიანი სტროფი-იხ. *სტროფი*

ექსპერიმენტული რომანი
ამ სახის რომანის იდეური შინაარსი ემყარება სინამდვილის მეცნიერულ აღწერას, ანალიზს, ექსპერიმენტს. ექსპერიმენტული რომანის თეორია შექმნა ნატურალიზმის მამამთავარმა ემილ ზოლამ.

ექსპოზიცია
მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია თხზულებაში გაშლილი ფონი: სოციალური გარემო, ოჯახური ყოფა, ისტორიული ვითარება, პეიზაჟი. ექსპოზიცია შეიძლება იყოს ნაწარმოების თავში-წინ უსწრებდეს კვანძის შეკვრას(პირდაპირი ექსპოზიცია), შუაში-მოსდევდეს კვანძის შეკვრას(დაყოვნებული ექსპოზიცია) და ბოლოში-კვანძის გახსნის შემდეგ(უკუქცევითი ექსპოზიცია).

ექსპრესიონიზმი
ერთ-ერთი გავრცელებული მოდერნისტული მიმდინარეობა XX ს-ის ლიტ-რაში. ფართო გაგებიტ ასახავს უკიდურეს დაძაბულობასა და ტრაგიზმს თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობასა და მთელს მის ეგზისტენციალურ ცნობიერებაში. ექსპრესიონიზმი წინა საუკუნის ლიტერატურაში გავრცელდა, როგორც ყოველივე ამის გამოხატვის გროტესკული ფორმა. ექსპრესიონიზმი თვითონ შემოქმედის შინაგან სამყაროს აცხადებს ერთადერთ უტყუარ რეალობად, რომელიც შემდეგ მთელი მისი შემოქმედების რეალობა ხდება. ექსპრესიონისტები ცხოვრებას კი არა,

მხოლოდ თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ ცხოვრების მიმართ. ისინი ხშირად აღშფოთებულნი არიან და ამხელენ კიდეც ცხოვრების აშკარა ნაკლოვანებებს, მაგრამ სამოქმედო პროგრამა არ გააჩნიათ.

ექსპრომტი
რაიმე მოვლენის ან მისგან მიღებული შთაბეჭდილების გამო სახელდახელოდ შეთხზული ლექსი. უმეტესად სახუმარო, სატირული და სახოტბო ხასიათისა.

ექსტრალიტერატურული ფაქტორი
ფაქტორი, რომელიც ლიტერატურას არ მიეკუთვნება.

=ვ=

ვადემეკუმი
გზის მაჩვენებელი, ჯიბით სატარებელი პატარა ფორმატის წიგნი. მწერლობაში ამ ცნებას იყენებენ როგორც პირდაპირ, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

ვაკქანალია
ძველ ბერძენთა და რომაელთა დღესასწაული, გამართული ღვინისა და ლხენის ღმერთის ბახუსის (დიონისეს) პატივსაცემად. ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ტერმინი იხმარება გადატანითი მნიშვნელობით, როგორც თავშეუკავებელი უზნეო დროსტარება, ორგია(იხ. *ორგია*)

ვაჟური რითმა
რითმა, რომლითაც მხოლოდ ერთი მარცვალია შეთანხმებული(მაგ., „ალვა მწვერვალსა ხრის, ნაზი ქალივით სწორს,/მთიდან ნიავი ქრის, შორს, უბრალოდ შორს“).
ვაჟური ცეზურა-იხ. ცეზურა

ვარიანტი
რამდენიმე გვარად დაწერილი ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ერთ-ერთი სახეობა.

ვარიაცია
1. რაიმე ნაწარმოების, თემის, ამბის და სხვ. ნაირსახეობა, მიღებული არაარსებითი მხარეების, დეტალების ცვლის გზით. ვარიაციები ერთსა და იმავე თემაზე. 2. მიბაძვის სპეციალური ნაირსახეობა.

ვენერა
მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვა ვენერას ხმარობენ გადატანითი მნიშვნელობით ქალის სილამაზის აღსანიშნავად, იგი სიმბოლური მინიშნების გამომხატველია.

ვერიზმი
XIX ს-ის 70-იანიწლების იტალიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მიმდინარეობა. ვერისტები მიზნად ისახავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებების ჩვენებას მორიდებისა და შენიღბვის გარეშე. მათი ნაწარმოები გამსჭვალულია ღარიბი გლეხობის და ქალაქის მდაბიოთა მიმართ თანაგრძნობით, ხსირია განწირულობის გრძნობა, პესიმიზმი და ბედისწერის გარდაუვალობის მოტივი. ყურადღება გამახვილებულია მძაფრ ფსიქოლოგიზმზე, განცდებზე.

ვერლიბრი-იხ. *თავისუფალი ლექსი*

ვერნისაჟი
დიდი სამხატვრო დახურული გამოფენა სპეციალისტებისა და საგანგებოდ მოწვეულ პირთათვის. ვერნისაჟი სიტყვაკაზმული მწერლობის პროდუქციის გამოფენასაც გულისხმობს. ამიტომაც ამ ცნებას ხმარობენ როგორც ხელოვნებათმცოდნეობაში, ასევე ლიტერატურათმცოდნეობასა და მწერლობაშიც.

ვერსიფიკაცია-იხ. *ლექსთწყობა*

ვირტუალური
(ზე)მოქმედების უნარი მატერიალური ან გრძნობითი საშუალებების ჩაურევლად; არა არსებული, არამედ წარმოსახვითი.

ვოდევილი
კომედიის სახე, დრამატული ჟანრის მცირე ფორმის ნაწარმოები. ერთმოქმედებიან მსუბუქ კომედიასაც უწოდებენ.

ვულგარიზმი
პოეტური ლექსის სახე. შეიცავს უხეშ სიტყვებს, გამონათქვამებს. მხატვრულ ლიტერატურაში მიმართავენ აზრის სიმახვილისათვის, პერსონაჟის მეტყველების კოლორიტის დასაცავად(მაგ., ,,რისთვის გასხია ხელ-ფეხი მაგ უხეირო ტანზედ’’).

=ზ=

ზარი
სამგლოვიარო გალობა ძველ საქართველოში მიცვალებულის ტირილის დროს. ცნება ზარი ხშირად იხმარება მწერლობაში.

ზატიკი
სასულიერო წიგნი, რომელშიც შეტანილი იყო აღდგომის საგალობლები.

ზაჯალი
არაბული 6-9 სტროფიანი სალექსო ფორმა, გამოირჩევა თანაბარტაეპიანობით(4-6-8-10), გამონაკლისია I ტაეპი, რომელიც 2-ტაეპიანია, მის II ტაეპს ერითმება ყოველი სტროფის ბოლო ტაეპი. ზაჯალი სასიყვარულო და პანეგირიკული ხასიათის ლექსია, იგი დაწერილია სასაუბრო ენით, აღმოცენდა ესპანეთში.

ზედაქტილური რითმა-იხ. *რითმა*

ზევგმა
სტილისტიკური ხერხი, წინადადებათა ისეთი წყობა, სადაც შემასმენელი იხმარება ერთხელ თავში და შემდეგ იგი გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება.

ზეპირსიტყვიერება-იხ. *ფოლკლორი*

ზმა

ქართული ლექსთწყობის ტერმინი; სიტყვების ან მათი ნაწილების საგანგებო მიჯრით წარმოქმნილი ახალი სიტყვა, რომელის გამოხატავს ავტორის შეფარულ აზრს, ჩანაფიქრს(მაგ., ,,.. ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო“-აქ ზმის მეშვეობით მოწინაარმდეგე მხარე შეფარვით ,, თავიდან ფეხებამდე მასხარადაა“ გამოყვანილი).

ზმაკიდური-(იხ. *აკროსტიქი*)

ზნეობრივი კონფლიქტი
მხატვრულ ნაწარმოებში პიროვნების/პიროვნებებისა და საზოგადოების ურთიერთობისას ზნეობრივი ნორმებისა და ორიენტირების განსხვავებულობის დროს მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტი.

ზუსტი რითმა-იხ. *რითმა*

ზუხდიათი
კლასიკური არაბული პოეზიის ჟანრი. მასში გამოხატული იყო სასოწარკვეთილება, უმღეროდა ასკეტიზმს, სულის სრულყოფას. ზუხდიათი იკვრებოდა ციკლებად ან თვით პოეტების მიერ.

ზღაპარი
ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი. ეპიკური, უმეტესად პროზაული სახის ჯადოსნური, სათავგადასავლო ან ყოფითი ხასიათის მოთხრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მხატვრული გამონაგონი. ზღაპარში დადებითი გმირი გამარჯვებულია, ბოლო კეთილია. კომპოზიციურად ზღაპარს აქვს ხატოვანი დასაწყისი და დაბოლოება(ქართული ზღაპრის დასაწყისი: ,,იყო და არა იყო რა“, დაბოლოება: ,,ჭირი იქა, ლხინი აქა,/ქატო იქა, ფქვილი აქა“, ,,ალი ართალი, მალი მართალი,/ზოგი- ტყუილი, ზოგი- მართალი“).

ზღაპართმცოდნეობა
ზოგადი ფოლკლორისტიკის დარგი წარსულში, ამჯერად ცალკე დისციპლინადაა ჩამოყალიბებული. ზღაპართმცოდნეობა სწავლობს მსოფლიო ხალხების ზღაპრებს.
=თ=

თავისუფალი თარგმანი
ორიგინალის თავისუფლად თარგმნა(ზოგჯერ ტექსტის დამახინჯებითაც კი).

თავისუფალი ლექსი(*იგივე ვერლიბრი*)
არაკანონიკური, ხშირად ურითმო ლექსი, რომლის ტერფები, მუხლები და ტაეპები არათანაბარია, მახვილიან და უმახვილო მარცვალთა რაოდენობა ნებისმიერია. თავისუფალია, აგრეთვე, ტაეპების შეწყობა და სტროფის კომპოზიცია, მაგრამ ტაეპთა საერთო განლაგება და რიტმულ-ინტონაციური შეწყობა თავისუფალი ლექსის მთავარი მახასიათებელია. თავისუფალი ლექსი ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით დამკვიდრდა XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან.

თარგმანი
სალიტერატურო ტერმინი, რომლითაც აღინიშნებოდა როგორც ერთი ენიდან მეორეზე გადატანა(თარგმანი თანამედროვე გაგებით)< ისე მისი კომენტირება და უბრალო ენით გადმოცემა.

თარგმანის ლიტერატურათმცოდნეობითი თეორია

მიმართულება თარგმანის თეორიაში, რომელიც უპირატესობას თარგმანის მხატვრულ ესთეტიკურ მხარეს ანიჭებს და მხატვრულ თარგმანს განიხილავს, როგორც მხატვრული სიტყვის ხელოვნებას; მხატვრული თარგმანის თეორიული ბაზა.

თარგმანთმცოდნეობა
მეცნიერება თარგმანის შესახებ.

თარგმანი-დევალვაცია
უხარისხო თარგმანი

თახალუსი
1.ძლიერ გავრცელებული აღმოსავლური ჟანრული ფორმა; 2.ფსევდონიმი, ლიტ-რული სახელი მწერლისა, მახლობელ და შუა ამოსავლეთსი. თახალუსს ან თვით მწერალი ირჩევს, ან მას აკუთვნებს მასწავლებელი, მფარველი. თახალუსი უმეტესწილად მიმნიშნებელია მწერლის სხვადასხვა ღირსებისა(მაგ., ხაიამი(,,კარვების მკეთებელი“), ჰაფეზი(,,ყურანის მცოდნე“).

თეზისი
დებულება, რომელიც უნდა დასაბუთდეს.

თეთრი ლექსი
გაურითმავი ლექსი, რომელიც მეტრულად, რიტმულად მოწესრიგებულია თავისუფალი ლექსისაგან განსხვავებით. რითმის უქონლობა თეთრ ლექსს არ ართმევს რიტმულობას, რადგანაც მას აქვს ლექსის ისეთი კომპონენტები, როგორიც არის რიტმი, სახოვანი ენა, კლაუზულა.

თემა
ლიტერატურული ნაწარმოების ობიექტური საფუძველი. იგი აკავშირებს მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილს, რათა ერთ შინაარსობრივ და იდეურ-ემოციურ მთლიანობად აქციოს ისინი; უზრუნველყოფს მოქმედების განვითარების სიმწყობრესა და ერთიანობას. თემაშია გაცხადებული ტექსტის ძირითადი აზრი. თემა შეიძლება იყოს მარადიული, რომელიც ყველა ეპოქას აღელვებს; არსებობს გარკვეული ვითარებიტ გამოწვეული თემებიც(მაგ., ეროვნული, ისტორიული და სხვ.).

თემატიკა
სხვადასხვა თემის ერთობლიობა, მწერლის მიერ მხატვრულად დამუშავებულ თემათა ჯგუფი, ამბავთა სისტემა.

თემატოლოგია
თემებისა და იდეების, სახეებისა და სიუჟეტების, სიმბოლოების მითებისა და არქეტიპების შედარებითი კვლევა.

თემიდა
მართლმსაჯულების ქალღმერთი ძველი ბერძნული მითოლოგიით, რომელიც წარმოიდგინებოდა თვალახვეული, სამართლიანობის სიმბოლური მინიშნებებით: ცალ ხელში სასწორითა და მეორეში კი - მახვილით. თემიდა იხმარება როგორც ლიტერატურათმცოდნეობაში, ასევე პოეზიაში, მწერლობაში.

თემის ლოგიკური განვითარება

ლირიკული ლექსის ერთ-ერთი კომპოზიცია; ის უფრო მეტად ე. წ. განსჯითი ხასიათის ლექსებისათვის, ანუ ისეთი ლექსებისათვის არის დამახასიატებელი, რომლებშიც განსჯა და ფიქრია გადმოცემული.

თეორიული პოეტიკა-(იხ. *ლიტერატურის თეორია*)

,,თერგდალეულები"(,,სამოციანელები", ,,პირველი დასი")
რუსეთში განსწავლული ქართველი მოღვაწეები, რომელთაც შემოქმედების მიზნად დაისახეს ხალხის გამოფხიზლება, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ძველი ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციების განახლება, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლა.

თეჯნისი
იგივე ასონანსთა და ალიტერაციით წერა, ლექსის ფორმა აღმოსავლურია, თუმცა XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოშიც იყენებდნენ ლექსის თეჯნისურ ზომას, რომელიც 11-მარცვლოვან 3-მუხლიან ლექსს წარმოადგენდა ტერფთა შემდეგი თანმიმდევრობით: 4-4-3.

თვითაჯი-იხ. *ძლისპირი*

თვითკრიტიკა
თვითკრიტიკაში ავტორის მიერ საკუთარ ნაკლსა და ღირსებაზეა მინიშნება. იგი შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც პროზაული, ასევე ლირიკული ფორმით. თვითკრიტიკა ზოგჯერ სინონიმური ცნებაა ავტოკრიტიკისა.
(იხ. ავტოკრიტიკა)

თოთხმეტმარცვლიანი სტროფი-იხ.*სტროფი*

თრილერი
ლიტერატურის ჟანრი, ხასიათდება სიუჟეტის მძაფრი განვითარებითა და მუდმივი დაძაბულობით. თრილერი ახდენს მკითხველის განწყობის სტიმულირებას, რასაც ემატება ამაღელვებელი მოლოდინი, გაურკვევლობა, სიურპრიზის შეგრძნება და შფოთვა.

თქმულება
ეპოსის ერთ-ერთი ჟანრი, დამახასიათებელი ზეპირსიტყვიერებისათვის, ჩვეულებრივ-მოთხრობა გარდასულ ამბავზე. გვხვდება პროზაული, ლექსითი, ლექსნარევი პროზის სახით. სხვადასხვა ხასიათისაა: საისტორიო, საგმირო, სოციალური, სასიყვარულო. თქმულებას შინაარსობრივ-მხატვრული სიმდიდრე აქცევს ლიტერატურულ ნაწარმოებთა წყაროდ.

თხრობა
1.რაიმე ამბის მოყოლა, გადმოცემა, გაბმით თქმა, მბობა; 2. ამ ცნების მეორე გაგება გულისხმობს ნაწარმოების რომელიმე თავს. მაგ. „სიბრძნე ბალავარისაში" *„თხრობა პირველი", „თხრობა მეორე".*

თუხტი-იხ. *სტილი*

იადგარი
ჰიმნთა კრებული(XI საუკუნემდე არსებული ტერმინოლოგიით). არსებობდა ორი სახის იადგარი: მოკლე(,,დღესასწაულთანი“) და საწელიწადო იადგარი.

იავნანა
ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი ჟანრი, სასიმღერო ლექსი. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია ხალხურ იავნანას კვალობაზე დაწერილი ტექსტები(მაგ. აკაკის *„იმერული ნანინა“*, ილიას *„ნანა“* და სხვ).

იამბი
ორმარცვლიანი ტერფი, რომელთაგან პირველი უმახვილოა და მეორე მახვილიანი. მის წარმოშობას უკავშირებენ აგრეთვე ბერძენთა ქალღმერთის დემეტრას მსახურის იამბის სახელს. დემეტრას ასული – პერსიფონა ქვესკნელის ღვთაებამ გაიტაცა. დემეტრამ მის კვალს ვეღარ მიაგნო და ღრმა მწუხარებას მიეცა. ამ მწუხარების შესამსუბუქებლად მსახურმა იამბმა დემეტრას სახუმარო ანბები მოუთხრო, რის გამოც თვით მოთხრობილსაც მთხრობელის სახელი იამბი უწოდეს. ტერფის ეს სახეობა ქართულს ნაკლებად ახასიათებს. იგი უმთავრესად კითხვით წინადადებაში გვხვდება. მაგ. იყო? ნახე?იხ. *ლექსთწყობა*

იამბიკო
სალექსო ზომა, რომელის ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა გარკვეულ რაოდენობას. სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში გრძელ მარცვალს მახვილიანი შეენაცვლება. იამბიკო 60-მარცვლიანია, შედგება ხუთი 12-მარცვლიანი ტაეპისაგან ქართული იამბიკოსათვის დამახასიათებელია კიდურმწერლობა. XI ს-იდან ქართულ იამბიკოში ჩნდება რითმა.

იანუსი
დროთა ცვალებადობის, ყოველი დასაწყისისა და დასასრულის ღმერთი ძველ რომაულ მითოლოგიაში. გადატანითი მნიშვნელობით ეს ცნება მხატვრულ ლიტერატურაში იხმარება უპირო, თაღლითი კაცის ბუნების გადმოსაცემად.

იგავ-არაკი
ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის მცირე ზომის ლირო-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, რომლის გმირები ხშირად არიან ცხოველები, მცენარეები, უსულო საგნები, რომლებშიც იგულისხმებიან ადამიანები. იგავ-არაკს ახასიათებს ნართაული თქმა, ალეგორიულობა, სატირულობა.იგავი-მოკლე ალეგორიული ნაწარმოები, რომელიც, ჩვეულებრივ, ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება.

იგავი
დამრიგებლური ხასიათის მცირე ალეგორიული თხრობა, იგავ-არაკისაგან განსხვავდება იმით, რომ მისი შინაარსი ხშირად რეალურია და შესაძლებელი.

იდეა
მხატვრულ ნაწარმოებში ასახულის დედააზრი, რომელიც ნაწარმოების შინაარსში ამოიკითხება მკითველისეული მონაწილეობით; იდეა გამომდინარეობს თემიდან(იხ. *თემა*), მხატვრულად დამუშავებული მასალიდან.

იდეალი

ადამიანთა მისწრაფების მიზნობრივი მწვერვალი, საბოლოოდ განსახორციელებელი სურვილი ხელოვნებაში, ლიტერატურაში და სხვ.

იდეალიზაცია
საზოგადოებრივი მოვლენის, მოძღვრების, ეპოქის ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, სინამდვილის, თვისებების გადაჭარბებულად შელამაზება, ტენდენციური შექება, გაზვიადება, ისე წარმტაცად ჩვენება, რომ არ გამოხატავს ნამდვილ ვითარებას. რომანტიკოსების შემოქმედებაში წარსული იდეალიზებულად იყო წარმოდგენილი საერთოდ. ამიტომაც ლიტერატურაში წარსულის იდეალიზაცია რომანტიკოსტა დამახასიათებელ ნიშან-თვისებადაა მიჩნეული.

იდეალური
სრულყოფილი, სანიმუშო, წასაბაძი, უნაკლო. ლიტერატურაში ეს ტერმინი ხშირად ასეა წარმოდგენილი: მწერლის იდეალია, რას ნიშნავს - მწერლის მარალი სურვილია, იდეალურად შესრულებული - სრულქმნილად, მარალოსტსტობითაა გაფორმებული; ცხოვრების იდეალია - ცხოვრების აზრი და განსახორციელებელი მიზანია.

იდეების ლიტერატურა-იხ. *სამეცნიერო ფანტასტიკა*

იდეური კონფლიქტი
ნაწარმოებში სხვადასხვა იდეის შეჯახებით გამოწვეული დაპირისპირება.

იდილია
ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ავტორი გვიხატავს ადამიანთა უბრალო, მშვიდობიან და კმაყოფილ ცხოვრებას. ეს სახელწოდება მან მიიღო იმის გამო, რომ პირველი იდილიური ლექსების კრებულს, რომელიც ეკუთვნოდა ბერძენ მწერალს თეოკრიტეს (III ს.ჩ.ნ.ა.), ავტორმა სახელად „იდილია" უწოდა. იდილიების მთავარი გმირები მწყემსები იყვნენ, მაგრამ მარტო მწყემსთა ცხოვრება არ განსაზღვრავდა მისი იდილიების შინაარსს; იგი გვიხატავდა, საერთოდ, უბრალო ხალხის მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრებას. შუა საუკუნეების დამლევიდან იდილიის შინაარსი კიდევ უფრო გაფართოვდა(იდილიურია აკაკის ლექსი „სიმღერა მკის დროს").

იდიოლექტი
ერთი პირისათვის დამახასიათებელი მეტყველება, რომელსაც ახასიათებს ლექსიკური, გრამატიკული, იდიომატური და ფონეტიკური თავისებურებები დროის განსაზღვრულ მონაკვეთსა და საკომუნიკაცია კონტექსტში.

იდიომი
ხატოვანი თქმა, მყარი შესიტყვება, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მოყვანილი სიტყვების პირდაპირი გაგებიდან, არამედ სემანტიკურად სხვა ცნებას გამოხატავს. უპირატესად მეტაფორაა, ზოგჯერ-სიმბოლო: ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი სახეობა(მაგ., ენამ მიყივლა, ნავსი გატყდა).

იდიომატიკა
იდიომურ გამოთქმათა სისტემა, მოძღვრება იდიომური გამოთქმების თავისებურებების სესახებ.

იზომეტრული სტროფი
ერთზომიანი სტროფი ანუ ერთი ზომის ტაეპებისაგან შემდგარი. (მაგ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".)

იზოქრონიზმი-იხ.*ლექსთწყობა*

იკონოგრაფია
შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში პოლიტიკური, ისტორიული, სოციოკულტურული და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად „სხვისი“ სახის, იმიჯის ფორმირების მექანიზმი.

ილუზია
განუხორციელებელი ოცნება, უსაფუძვლო იმედი, სინამდვილეს დაცილებული სურვილები, განყენებული მატყუარა გრძნობები.

იმაჟენიზმი
ინგლისური და ამერიკული პოეზიის მოდერნისტული მიმართულება XX ს-ის პირველ ნახევარში. მისი იდეური შინაარსის განმსაზღვრელია: სინამდვილიდან გაქცევა, ხელოვნების ცხოვრებიდან მოწყვეტა, ისეთი სახეების შექმნა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს აზრთან. იმაჟენისტები აღიარებენ მხატვრული სახის პრიმატს პოეზიაში, სახე თვითმიზანია და არა საშუალება. მათი აზრით სიტყვა სახისაგან წარმოიშვა. ცხოვრებაში ცნებამ განდევნა სახე სიტყვისაგან, პოეზიაში სახემ უნდა განდევნოს სიტყვისაგან ცნება, აზრი. იმაჟენისტები უარყოფენ გრამატიკას, რადგანაც გრამატიკა სიტყვაში აზრის გამომხატველია. ისინი უარყოფენ აგრეთვე პოეზიის მეტრიკული მხარის სიზუსტეს.

იმპოზანტური
წარმოსადეგი, შთამბეჭდავი გარეგნობის მქონე ადამიანი. მხატვრული სახის იმპოზანტურად დახატვის ნიმუშია რუსთაველის ცნობილი სტროფი, როსტევან მეფის დამახასიათებელი.

იმპრესიონიზმი
მხატვრული მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა XIX ს-ის 60-იან წლებში საფრანგეთში. მისთვის დამახასიათებელია სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული წუთიერი შთაბეჭდილებებისა და სულიერი განწყობილებების გადმოცემა. იმპრესიონისტები ყურადღებას ამახვილებენ არა რეალური ცხოვრების ტიპური მოვლენების აღქმაზე, არამედ ცხოვრებაში არსებული განსხვავებული მოვლენების სუბიექტურ აღქმაზე. მათ აინტერესებთ ადამიანი და მისი ყოველდღიური ცხოვრება, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ერთიანობის წარმოჩენა.

იმპროვიზატორი
წინასწარი მომზადების გარეშე, უცბად, სახელდახელოდ შემქმნელი ლექსისა, მოსწრებული სიტყვა-პასუხის ავტორი.

იმპროვიზაცია
1. რისამე (მაგ., ლექსის...) შეთხზვა შესრულების მომენტში, წინასწარ მოუმზადებლად; 2. თვით ნაწარმოები, ასე (სახელდახელოდ) შექმნილი.

ინდივიდუალური გავლენა
მწერლის გავლენა მწერალზე, როცა ესა თუ ის შემოქმედი დიდ გავლენას ახდენს სტილის ფორმირებაზე ან კულტურის განვითარების მთელ პერიოდზე (მაგ., ბაირონის, ჰიუგოსა და შილერის გავლენა რომანტიზმის განვიტარებაზე.

ინდივიდუალური სტილის კონფიგურაცია
მწერალთა ინდივიდუალური სტილის ტავისებურებები.

ინდივიდუალური სტილის პორტრეტირება
ინდივიდუალური სტილის ინტონაციური მოდელის გადმოღება, რაც შესაძლებელია იმის გამო, რომ ინდივიდუალურ სტილს აქვს თავისი განსაკუთრებული კონფიგურაცია.

ინვარიანტი
სისტემის ნაწილი, რომელიც უცვლელი რჩება სისტემის ნებისმიერი მოდიფიკაციის დროს.

ინვერსია
ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათრიგის შეცვლა. მაგ., თანამედროვე ქართულისათვის დამახასიათებელია მსაზღვრელის დასმა საზღვრულის წინ, მაგრამ შესაძლებელია რიგი შეცვალონ(მაგ., ,,.და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი“).

ინვექტივა
მამხილებელი გამოსვლა მხატვრული ნაწარმოებით რომელიმე პირის, ჯგუფის ან საზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ.

ინსტრუმენტირება ლექსისა
სალექსო სტრიქონში ან სტროფში ერთგვარი ბგერების კანონზომიერი შეწყობა, განცდებისა და შთაბეჭდილებების გასაძლიერებლად ბგერების მუსიკალური ჟღერადობის შექმნა(მაგ., *„**კა**რვის **კალ**თა **ჩა**ხლ**არ**თული **ჩავჭ**ერ, **ჩა**ვაკ**არ**აბა**კე“*).

ინსცენირება
ლიტერატურული ნაწარმოების გადაკეთება სცენაზე დასადგმელად. ინსცენირება შეიძლება ეკუთვნოდეს თვით ავტორს ან სხვას.

ინტენცია-განზრახვა

ინტერვალიანი რითმა-იხ.*რითმა*

ინტერვიუ
პუბლიცისტიკის ჟანრი, ჟურნალისტის საუბარი ერთ ან რამდენიმე პირთანაქტიურ საზოგადოებრივ საკითხებზე.

ინტერიერი
პირობები, რომელშიც ცხოვრობს და საქმიანობს პერსონაჟი.ინტერიერის ჩვენებით ავტორი უფრო სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს გმირის ხასიათზე.
ინტერმედია-კომიკური ხასიათის მცირე პიესა ან სცენა,რომელიც ძირითადად იდგმება აქტებს შუა, ანტრაქტის დროს.

ინტერმედია
ერთაქტიანი მცირე ზომის სასცენო ნაწარმოები, კომიკური ხასიათისა. იგი იდგმება წარმოდგენებს შუა, ან სამხიარულოდ გამართული საღამოს ბოლოს.

ინტერმედიალურობა
ლიტერატურის კავშირი ხელოვნების სხვა დარგთან.

ინტერპოლაცია
შემდეგი დროის ჩანამატი, მინაწერი ლიტერატურული ძეგლის ტექსტში გადამწერის ან მკითხველის მიერ.
ინტერტექსტი

,,თითოეული ტექსტი წარმოადგენს ინტერტექსტს. სხვა ტექსტები(წინაკულტურის ტექსტები და გარემომცველი კულტურების ტექსტები) მასში არსებობენ სხვადასხვა დონეზე, მეტნაკლებად გასაგები, ნაცნობი ფორმით. ყოველი ტექსტი წარმოადგენს ახალ ქსოვილს, რომელის ,,მოქსოვილია“ ძველი ციტატებისაგან“(როლანდ ბარტი).

ინტერტექსტუალობა
1. ეს ტერმინი პირველად პოსტსტრუქტურალისტმა იულია კრისტევამ გამოიყენა 1966 წელს; იგი ალუზიის ანალოგიურია. ინტერტექსტი შეიძლება იყოს ავტორის მიერ ნასესხები ან ტრანსფორმირებული(გარდაქმნილი) სხვა ტექსტი; ასევე მკითხველის მიერ ერთი ტექსტის კითხვისას სხვა ტექსტის მოხმობა, გახსენება. 2. ერთ ტექსტში ორი ან მეტი სხვა ტექსტის არსებობა ციტატის, ალუზიისა თუ სხვა ფორმით.

ინტონაცია
პოეტური ფიგურაა, მის შინაარსს წარმოადგენს ადამიანთა გრძნობა-განწყობილების სიტყვიერი გამოსახვის მანერა.

ინტრიგა
მოქმედების გამწვავების მომენტი, ამბავთა მიმდინარეობის შინაარსეული ხლართი მხატვრულ ნაწარმოებში. გაკვანძვა და ინტრიგა სინონიმური მნიშვნელობით იხმარბა.
(იხ. გაკვანძვა).

ირმოლოგიონი-იხ. *ძლისპირი*

ირონია
თავაზიანობით შენიღბული დაცინვა. გულისხმობს წინააღმდეგობას ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის. ირონიისათვის დამახასიატებელია დამცინავი სერიოზულობა, სიმშვიდე, დინჯი ტონი. კრიტიკა და დაცინვა შენიღბულია ქებით(მაგ., ,,კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“).

ისტორიზმი
ხმარებიდან გასული საგნების, ძველი მოვლენების, ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები(მაგ., პიტიახში, ყივჩაღი..).

ისტორიული კონფლიქტი
სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც არსებობდს მხატვრული ნაწარმოების დაწერის პროცესში ან/და რომელიც მასშია აღწერილი.
ისტორიული ლექსი-ქართული ზეპირსიტყვიერების ჟანრი, ისტორიული მოვლენებისა და მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი ხალხური ლექსი.

ისტორიული მატიანე - იხ. *მატიანე*

ოსტორიული მაცნე - იხ. *მატიანე*

ისტორიული რომანი
რომანი, რომელშიც ასახულია რომელიმე ისტორიული ეპოქის კონფლიქტი.იხ. *რომანი*
იუმორი
უწყინარი დაცინვა, რაიმე ნაკლოვანი მხარის კომიკური ასახვა; მხატვრული ხერხი, როცა ავტორი ამხელს იმ პირთა(მოვლენათა) სუსტ, ნაკლოვან მხარეებს, რომელთა მიმართ იგი საერთოდ კეთილგანწყობილია; კომიკურად წარმოადგენს იმას, რასაც თვიტონ სერიოზულად ეკიდება.

იუმორისტი
მწერალი, რომელიც წერს იუმორისტული ხასიათისა თუ შინაარსის ნაწარმოებებს.

იუმორისტიკა
გამოსახვის იუმორისტული ხერხების სისტემა, იუმორისტულ მხატვრულ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

=კ=

კადენცია
რითმული ერთეულის ბოლო მარცვლის გამოყოფა ან მარცვლის გაგრძელებულად გამოთქმით ან ხმის დაწევით. კადენცია კატალექტიკურ ტაეპში ავსებს ნაკლოვან ტერფს(იხ. *კატალექტიკა*). კადენცია უწოდებენ აგრეთვე ბუნებრივი მახვილის დაკარგვას ან გადაადგილებას სილაბურ-ტონური ლექსის ტერფში რიტმული მახვილის გავლენით.

კათარზისი
ესთეტიკური განცდა, ,,სულის გაწმენდა".

კაკოფონია
კეთილხმოვანების დარღვევა, ცუდხმოვანება. გამოთქმის კეთილხმოვანებას ვნებს რამდენიმე ხმოვნისა ან თანხმოვნის დაჯგუფება(მაგ., „მკრტიჩიანი ფერმკრთალად გამოიყურება" – ორივე სიტყვაში ხუთ–ხუთი თანხმოვანია დაჯგუფებული, რაც არღვევს კეთილხმოვანებას).

კალამბური
ოხუნჯობა, სიტყვებით თამაშზე დამყარებული; საამისოდ ხმარობენ ბგერების მიხედვიტ ერთნაირს, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს(იხ. *ზმა*).

კალკი
ბუკვალური თარგმანით მიღებული სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება/

კალკირება
მთარგმნელობითი ხერხი, რომელიც გულისხმობს სიტყვის შემადგენელი ნაწილების ან სიტყვათშეთანხმების შეცვლას მათი პირდაპირი შესიტყვებით თარგმანის ენაში.

კალოური
ქართული ფოლკლორული ლექს-სიმღერა,მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სრომის პოეზიის ერთ-ერთი სახეობა. ტექსტი უმთავრესად 8-მარცვლიანი შაირით არის გამართული.

კანონი
კომპოზიციის ნორმები, პროპორციის სისტემა, გამოსახულების მოცემული ტიპის იკონოგრაფია ან სხვა ნორმატიული ნიმუში. კანონი ადგენს მხატვრული ხერხებისა და წესების ერთობას, რომელიც სავალდებულოა ამა თუ იმ ეპოქაში.

კანონიკა
კანონიკური ლიტ-რა,სასულიერო მწერლობის დარგი;მოიცავს საელესიო იურიდიულ ლიტერატურას.

კანტატა

საზეიმოდ, სასიმღეროდ დაწერილი ლირიკული ჟანრის ნაწარმოები. ცნება კანტატა ხშირად ერწყმის ერთმანეთს ლირიკასა და მუსიკაში. ამიტომაც ის ხშირად გამოიყენება როგორც ლიტერატურათმცოდნეობაში, ასევე მუსიკისმცოდნეობაში.

კანცონა (კანსონა)
შუა საუკუნეების პროვანსულ ტრუბადურულ პოეზიაში სასიყვარულო სიმღერა. კანონიკური კანსონის ლექსი სტროფულია, სტროფები კი, ჩვეულებრივ, გარითმულია ერთი და იმავე სქემით.

კარიკატურა
სინამდვილის მხატვრული გამოსახვის ხერხი, დაცინვისა და მხილების ფორმა მხატვრობასა და ლიტერატურაში.

კატალექტიკა
სალექსო სტრიქონის ბოლო ტერფის მეტნაკლებობა სტრიქონის საერთო ტერფულ მოცულობასთან შედარებით.

კატახრეზა
ისეთი სიტყვათშენაერთი, რომლის შემადგენელი სიტყვები მნიშვნელობით ერთმანეთს ეწინააღმდეგება. კატახრეზაში სიტყვის ძირეული მნიშვნელობა გამოყენებულია სხვა, თვისობრივად მსგავსი საგნის ან მოვლენის გამოსახატავად.

კატეხიზისი
გადატანიტი მნისვნელობით კითხვა-პასუხის სახით შედგენილი ნაწარმოებები.

კატნერი
დასრულებული აზრის მქონე 4-ტაეპიანი სტროფი.

კაფია
ქართული ზეპირსიტყვიერების პოეტური ჟანრი, სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი, რომელიც ექსპრომტად გამოითქმება. არსებობს ცალფა(მონოლოგური) და ორფა(დიალოგური) კაფიები.

კაფიობა
პოეტური პაექრობა, სახელდახელო გაშაირება ფშავ-ხევსურეთში.

კენოტაფია
წარწერა ისეთ სასაფლაოზე, რომელშიც მიცვალებული არ მარხია. ზღვაში, ომში ან უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძეგლ-საფლავი, სათანადო წარწერით დამშვენებული, რაც კენოტაფიის შინაარსს განაპირობებს.

კერძო აღწერა
კერძო აღწერას უწოდებენ ისეთ აღწერას, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას ერთ საგანზე, გვიხატავს ერთ მოვლენას(მაგ., პალიასტომის ტბის აღწერა ე. ნინოშვილის მოთხრობაში „პალიასტომის ტბა”).

კვალიტატური(ხარისხობრივი) მიდგომა
მიდგომა ლიტერატურათმცოდნეობაში, როცა მსოფლიო ლიტერატურაში გულისხმობენ საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ეროვნული ლიტერატურების ნიმუშების შედევრების ნაკრებს.

კვანტიტატიური ლექსთწყობა-იხ. *ლექსთწყობა*

კვანტიტატური(რაოდენობრივი) მიდგომა
მიდგომა ლიტერატურათმცოდნეობაში, როცა მსოფლიო ლიტერატურაში გულისხმობენ ეროვნული ლიტერატურის მექანიკურ ჯამს.

კვანძი
სიუჟეტში მოცემული მდგომარეობა, როცა ჩნდება და ერთმანეთში ინასკვება მიზანი და წინააღმდეგობა, წარმოიშობა კონფლიქტი, რაც, თავის მხრივ, დასაბამს აძლევს მოქმედების შემდგომ განვითარებას.

კვანძის გახსნა
მხატვრული ნაწარმოების ის ადგილი, სადაც ხდება მთავარ მოქმედ პირთა შორის წინააღმდეგობის გადაწყვეტა, აღარ ვითარდება მთავარი კონფლიქტი.

კვანძის შეკვრა
მხატვრულ ნაწარმოებში კონფლიქტის დასაწყისი, რომელიც წარმოადგენს სიუჟეტის საფუძველს და რომელიც მოქმედების განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო გაღრმავდება.

კვატერნალური რითმა-იხ.*რითმა*

კვეთილი რითმა-იხ. *რითმა*

კიბერპანკი
სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეჟანრი, სადაც ასახულია კაცობრიობის კულტურის ვარდნა ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე.

კიბური რითმა-იხ.*რითმა*

კიმენი
სასულიერო მწერლობის ჟანრი,წმინდანთა ცხოვრების პირველადი მარტივი ტექსტები გადაუკეთებელი სახით. VIII-IX სს-ის მიჯნაზე საფუძვლად დაედო ქართულ ჰაგიუგრაფიულ კრებულ ,,მრავალთავს“. მოგვიანებით დაიწყო კიმენთა გადამუშავება, თარგმანება.

კიჩი
მასობრივი კულტურა რჩეულტათვის. პოსტმოდერნიზმის ნაირსახეობა.

კლასიკოსები
შემოქმედნი, რომელთაც მოიპოვეს საყოველთაო აღიარება და მათი ნაწარმოებები შევიდა არა მარტო ეროვნულ, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

კვალიტატიური ლექსთწყობა-იხ. *ლექსთწყობა*

კლასიციზმი
მხატვრული სტილი და ესთეტიკური მიმართულება XVII-XIX საუკუნის დასაწყისის ევროპულ ლირერატურაში. მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ანტიკური ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცხადება იდეალურ ესთეტიკურ ეტალონად. კლასიციზმი ნაწარმოებში იცავს ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის(სამი ერთიანობა) პრინციპს; აღიარებს შინაარსისა და

ფორმის ჰარმონიას; პიროვნების თავისუფლებაზე წინ საზოგადოების ინტერესებს აყენებს; მიიჩნევს, რომ ლიტერატურამ ადამიანი ზნეობრივად უნდა გააკეთილშობილოს; არ გვიჩვენებს პერსონაჟთა ხასიათის ევოლუციას და ხატავს სტატიკურ ხასიათებს.

კლაუზულა
ტაეპის ბოლო მარცვალთა ჯგუფი:უკანასკნელი მეტრული მახვილის მქონე მარცვლიდან ბოლომდე. კლაუზულის ხასიათს განსაზღვრავს მარცვალთა რაოდენობა და მახვილის ადგილმდებარეობა.

კლიმაქსი
გამომსახველობით საშუალებათა დაჯგუფება, რომელიც აზრობრივი და ემოციური მნიშვნელობის გასაძლიერებელი ფუნქცია აქვს. *ანტიკლიმაქსის* საპირისპირო ცნებაა. იგი გრადაციის სახეს წარმოადგენს.იხ. *ანტიკლიმაქსი*

კოდა
დანართი, „ზედმეტი“, დამატებული ტაეპი მყარ სალექსო ფორმებში. 2. რთული სტროფის დამატებითი ნაწილი, ძირითადისგან რითმით ან მუხლთა რაოდენობით განსხვავებული.

კოლაჟი
განსხვავებული ტექსტების შეერთებით მიღებული ახალი ტექსტი. კოლაჟს უწოდებენ ამ მხატვრული ხერხით შექმნილ ნაწარმოებსაც.

კოლექტიური გავლენა
ერთი ლიტერატურის გავლენა სხვა ლიტერატურასთან.

კოლექტიური შემოქმედება
მხატვრული ნაწარმოები, რომლის შედგენაში რამდენიმე ადამიანი ღებულობს მონაწილეობას. კოლექტიური შემოქმედების კლასიკური ფორმაა ხალხური შემოქმედება, საერთოდ ფოლკლორი.

კოლიზია
1. ცხოვრების კონფლიქტებისა და ბრძოლის ასახვა ლიტერატურაში.~; 2. საპირისპირო შეხედულებათა, მისწრაფებათა, ინტერესთა შეჯახება.

კოლორიტი
რომელიმე ეპოქის კონკრეტული დროის, ასევე, ამა თუ იმ ხალხის ადათ-ჩვეულების, ყოფაქცევის, რომელიმე ქვეყნისა თუ კუთხის ბუნების თავისებურებების ჩვენება მხვატრულ ლიტერატურაში.

კომბინატორული ლიტერატურა
ტერმინი ახალი დამკვიდრებულია ლიტმცოდნეობაში. კომბინატორული ლიტერატურა ის ტექსტებია, რომელთა შესწავლა და შეთხზვა ფორმისეულ ორგანიზაციას, სტრუქტურას ეფუძნება(მაგ., ვ. ჯავახაძის ,,მ7 ღმ1“).

კომბინირებული მეთოდი
მთარგმნელობითი ხერხი რომლის დროსაც ხდება ტრანსკრიფციისა და პერიფრაზის შერწყმა.

კომედია
დრამის სახე, რომელშიც კოლიზია და ხასიათები გამსჭვალულია კომიზმით, კონფლიქტი ყოფით მიზნებში ვლინდება და არ მოჰყვება დამღუპველი შედეგები. კომედიას აქვს მამხილებელი პატოსი.

იგი ილაშქრებს ადამიანური მანკიერებებისა და, ზოგადად, ცხოვრების უარყოფიტი მხარეების წინააღმდეგ.

კომენტარი
ნაწარნოების ბუნდოვანი ან ძნელად გასაგები ადგილების ახსნა- განმარტება.

კომიკური
ესთეტიკის კატეგორია. გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ გარკვეულ წინააღმდეგობას. ლიტერატურაში იგი სიცილის საშუალებიტ წარმოადგენს ცხოვრებისეულ მოვლენებს, ამბავს, პერსონაჟს, აზრს, მსჯელობას და სხვ., რომლებიც ავლენენ შეუსაბამობას ესთეტიკურ იდეალებთან და მნიშვნელოვანნი არიან კულტურული და სოციალური თვალსაზრისით.

კომიკური პათოსი
ადამიანური ნაკლოვანებების დაცინვა.

კომიქსი
მსუბუქი, ჩვეულებრივ, სათავგადასავლო შინაარსის მქონე პატარა ილუსტრირებული წიგნი ან ნახატების სერია.

კომპარატივიზმი-იხ. *შედარებით-ისტორიული მეთოდი ლიტერატურაში*

კომპარატივისტული კვლევა
გულისხმობს ლიტერატურის შესწავლას ფართო ლიტერატურულ-ისტორიულ და კულტუროლოგიურ კონტექსტში, ეროვნული ლიტერატურის საზღვრების გადალახვასა და ლიტერატურათა კავშირებისა და ინტერმედიალური პრობლემების კვლევას.

კომპარატივიზმის შიკრიკი (შუამავალი)
ლიტერატურატა შორის პორდაპირი ურთიერთობების დამყარების ხელის შემწყობი ფაქტორი.

კომპილაცია
ლიტერატურული ნაშრომი(სამეცნიერო ან სასწავლო), რომელიც შედგება სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალისაგან და არ სეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს(ამ მნიშვნელობით იხმარება კომპილირებაც).

კომპოზიცია
მხატვრული ნაწარმოების აგებულება, რომელსაც განცსაზღვრავს მისი შინაარსი, ხასიათი და დანიშნულება. კომპოზიცია ლიტერატურაში ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ფორმის სხვადასხვაგვარი კომპონენტების ერთობლიობაა. კომპოზიციის შემადგენელი ერთეულია ტექსტის ის მონაკვეთი,რომლის ფარგლებში შენარჩუნებულია გამოსახვის ერთი ხერხი ან მანერა. კომპოზიცია ნეიტრალურია ნაწარმოების თემისა და იდეის მიმართ, ხოლო ჟანრუ(გვარი) კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნაწარმოების კომპოზიციას.

კომპოზიციური პარალელიზმი-იხ. *პარალელიზმი*

კომპონენტი
მხატვრული ნაწარმოების შემადგენელ ნაწილი. ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები კომპონენტებისაგან აიგება(მაგ., რომ ავიღოთ პატარა ლირიკული ლექსი, მაგალითად ი. ჭავჭავაძის, „გაზაფხული", ისიც კი გარკვეული კომპონენტებისაგან შედგება. ეს ლექსი შედგება ორი სტროფისაგან (ხანისაგან), სტროფები – ოთხ – ოთხი სტრიქონისაგან, ანუ ტაეპებისაგან,

ტაეპები ტერფებისაგან. ტერფები, ტაეპები, ხანები – ლექსის კომპონენტებია). ყველაზე დიდი ზომის კომპონენტი – ეპიზოდია, რომელიც დიდი ზომის მხატვრულ ნაწარმოებში არის შესამჩნევი.

კომუნიკაცია
ინფორმაციის გაცვლა; შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში ლიტერატურული ურთიერთობები.

კომუნიკანტი
კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილე; რეფიციენტი ან წყარო.

კონდაკი
ლიტურგიკული წიგნი, რომელშიც წარმოდგენილი იყო წირვის წესი.

კონვერგენცია
ეროვნული ლიტერატურების დაახლოება ან დამთხვევა, რაც აღმოცენდება მათ შორის არსებული ხანგრძლივი ისტორიული კონტაქტების შედეგად.

კონკრეტული პოეზია
პოეზიის ერთ-ერთი ფორმა. ლეტრიზმის შეზღუდულობა პოეზიას გრაფიკული ხელოვნების დანამატად აქცევდა; მკითხველის ყურადღება ეჯაჭვებოდა მხოლოდ ტექსტის ტაეპობრივ ორგანიზაციას, სადაც თითოეული ბგერა ესთეტიკური გამაღიზიანებელი უნდა ყოფილიყო.

კონოტაცია
დამატებითი ასოციაცია, რომელსაც იწვევს სიტყვა ამ ენის მატარებლის ცნობიერებაში.

კონსონანსი
არაზუსტი რითმა, რომელშიც ერთი და იგივე ან მსგავსი თანხმოვნებია, ხოლო ხმოვნები-განსხვავებული(მაგ., *,,მე ხომ სხვა ვარ, დღე **ცისმარე**/მახვილს ვფერავდი.../შენ კი გქონდა დღეთ **სიზმარი**/ფერად-ფერადი*“).

კონსტანტა
ლექსის მუდმივი, ასევე რიტმის შემქმნელი მახვილია, რომლითაც მეტყველება ლექსში გარკვეულ მონაკვეთებად, ტაეპებად ნაწევრდება. ტაეპებში კი მახვილებისა და პაუზების განლაგება განსაზღვრავს მათ თანაზომადობას.

კონსტრუქციული პარაფრაზი
გულისხმობს ორიგინალური შინაარსის გადაწერას სხვადასხვა სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით, მაგრამ ისე, რომ არ შეიცვალოს პირველადი მნიშვნელობა.ამ ტიპის პარაფრაზირება მოითხოვს ტექსტის ღრმა გაგებას და იმავე აზრის უფრო მკაფიუდ, ხელმისაწვდომად, მკითხველისათვის გასაგებად გამოხატვის უნარს.

კონტაქტი
შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში ლიტერატურული ურთიერთობები.

კონტაქტოლოგია
შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში მეთოდი, რომელიც სწავლობს ლიტერატურათა უშუალო, კონტაქტურ კავშირებს.

კონტაქტოლოგიური მეთოდი

მეთოდი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ მოვლენებზე, რომლებიც გახდა ორმხრივი ლიტერატურული ურთიერთობის მიზეზი.

კონტაქტურ-ისტორიული მიდგომა
მიდგომა ლიტერატურათმცოდნეობაში, როცა მსოფლიო ლიტერატურის განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთზემოქმედება.

კონტექსტი
წერილობითი ტექსტის შინაარსობლივად დასრულებული ნაწილი, რომელიც საშუალებას იძლევა, სწორად განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის, ფრაზის თუ ნაწყვეტის მნიშვნელობა. მხატვრულ ტექსტში კონტექსტი გაცილებიტ ვრცელ მონაკვეტს მოიცავს, აქვს კონკრეტული შინაარსი, სტილისტიკური ელფერი და მხატვრული გამოსახვის ხერხები. კონტექსტის დარღვევასთან ერთად ირღვევა ტექსტის მხატვრული მთლიანობა და ძნელდება მისი აღქმა.

კონტინუუმი
მოვლენების, პროცესების უწყვეტობა, ერთობლიობა.

კონტრასტული სახეები
ადამიანთა ტიპები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან (გმირი უპირისპირდება ლაჩარს, ძუნწი- უხვს, უნებისყოფო -მტკიცეს და ა.შ.).

კონფლიქტი
ადამიანის ცხოვრებაში არსებული წინაარმდეგობების ასახვის სპეციფიკური მხატვრული ფორმა. კონფლიქტი ლიტერატურაში წარმოადგენს ნაწარმოების მხატვრული ფორმის ,მისი სიუჟეტის განვითარების საფუძველს; განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების იდეურ მიმართულებას; ახდენს მის კომპოზიციურ ორგანიზებას ყველა დონეზე; სხვა სახეებთან დაპირისპირების გზით აძლევს თითოეულ მხატვრულ სახეს განსაზღვრულობას.

კონცეპტი
ცნების შინაარსი, აზრი, წარმოდგენა.

კონცეფტიზმი
ნაწარმოების ფორმის წინ წამოწევითა და შინაარსის დაკნინებით XVII საუკუნის ესპანურ მწერლობაში არსებული ლიტერატურული სტილი.

კოსმოპოლიტიზმი
მოძღვრება, რომელიც უარყოფს სამშობლოს, ეროვნულ გრძნობას, ნაციონალურ კულტურას და ქადაგებს მსოფლიო მოქალაქეობის პრინციპს. ამ იდეის აღიარება ლიტერატურაში ნიშნავს საკუთარი ეროვნული კულტურის შეუფასებლობას, ნაციონალური ლიტერატურის უარყოფას.

კოსტუმბრიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა. ემყარებოდა რეალური ასახვის პრინციპებს. მისი ესტეტიკური პრინციპია ბუნების დოკუმენტურად ასახვა, ხალხის ცხოვრების თავისებურებათა ეთნოგრაფიული სიზუსტით გადმოცემა, მშრომელთა ყოფის იდეალური სურათის შექმნა.

კრაკოვიაკი

მცირე ფორმის საქორწინო ლექსები პოლონურ ხალხურ პოეზიაში. სახელწოდება წარმოშობის ადგილს, ქალაქ კრაკოვს უკავშირდება.

კრედო
ლიტერატურაში ნიშნავს შემოქმედებითი მისწრაფების ძირითად აზრს.

კრიპტოგრაფია
საიდუმლო, ფარული დამწრლობა, რომელიც იქმნება ჩვეულებრივი დამწერლობის პირობითი ნიშნების სპეციალური სისტემით ჩანაცვლების შედეგად.

კრიტიკა(ლიტერატურაში)
ნაწარმოების გარჩევა, ანალიზი შეფასების მიზნით.

კრიტიკოსი
მწერალი თეორეტიკოსი, რომელიც არჩევს, აფასებს მხატვრულ ნაწარმოებს, ფილოლოგიურ თხზულებებს - პოეტურსა და სამეცნიერო ნაწარმოებებს საერთოდ.

კრიტიკული რეალიზმი-იხ. *რეალიზმი*

კროსდისციპლინური მიდგომა
დისციპლინური საზთვრების გადალახვა, ერთი დუსციპლინის საგნის/მოვლენის ახსნა სხვა დისციპლინის ცნებით(მაგ., ლიტერატურის პოლიტიკა).
კულტურული იკონოგრაფია - იხ. *იკონოგრაფია*

კუბოფუტურიზმი - იხ. *ფუტურიზმი*

კულმინაცია
მხატვრულ ნაწარმოებსი მოქმედების განვითარების ყველაზე უფრო დაძაბული მომენტი, როცა აშკარავდება პერსონაჟთა რეალური მიზნები, ნათლად ვლინდება კონფლიქტი და გმირები ერთმანეტს გადამწყვეტ ,,ბრძოლაში" ერკინებიან. ეპიკურ ნაწარმოებში, რომელშიც რამდენიმე სიუჟეტური ხაზია, შეიძლება რამდენიმე კულმინაციაც იყოს. კულმინაციის შემდეგ იწყება კვანძის გახსნა(იხ. *კვანძის გახსნა*).

კუპლეტი
1 ლექსის სტროფი, ხანა. 2. სახუმარო, კომიკური ან სატირული ხასიათის სიმღერები ან მოკლე ლექსები საჭირბოროტო თემებზე.

კურტუაზიული ლიტერატურა
შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურა, რომელიც უმღეროდა რაინდულ ღირსებას, გმირობას, თავგადასავალს, სიყვარულს. მისი მთავარი ჟანრებია: ნოველა, ლირიკული სიმღერა. სათავგადასავლო რომანი, რომელთაც ახასიათებს ალერსიანი მიჯნურობა, ხორციელი სიყვარული, ინდივიდუალიზმი, რაინდის სახელის დიდების სურვილი.

=ლ=

ლაიტმოტივი

მწერლის სემოქმედების ან ცალკეული ნაწარმოების მთავარი მოტივი. ძირიღადი იდეური თუ ემოციური ტონი, დეტალი, კონკრეტული სახე, რომელიც მრავალჯერ მეორდება, გასდევშ მათ, როგორც გმირის, განცდის თუ სიტუაციის მუდმივი მახასიათებელი; მრავალჯერ განმეორებადი ცალკეული დეტალი თუ სიტყვა. პოეზიაში გვხვდება, აგრეთვე, ბგერითი, რიტმული და ინტონაციური ლაიტმოტივები.

ლაკონურობა

სიმოკლე, შეკუმშვა - აზრის მოკლედ, სხარტად, შეკუმშულად გამოხატვა. ლიტერატურულ ნაწარმოებში იგი სახის, ხასიათის შექმნის ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება.

ლამენტაცია

გამოსახვის ხერხი, სევდიანი განწყობილების გადმოცემის საშუალება, ლექსითი ჩივილი, ჩივილის პოეზია საერთოდ.

ლაპიდალური სტილი

სტილი, რომელიც მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ გამოხატავს აზრს, გრძნობას. ლაპიდალური სტილითაა დაწერილი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები.

ლეგენდა

ზეპირსიტყვიერების თხრობითი ჟანრი, მოთხრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ზღაპრული, სასწაულებრივი ამბავი ან ფანტასტიკური იერ-სახე. ლეგენდაში შეიძლება ასახული იყოს წარსული, თანამედროვეობა და მომავალიც კი.

ლეიტმოტივი

მწერლის შემოქმედების ან რომელიმე ნაწარმოების მტავარი მოტივი, შემოქმედების მხატვრული ჩანაფიქრის ძირითადი საფუძველი, მთავარი საყრდენი.

ლეტრიზმი(ლეტრილა)

ლიტ-რული მიმდინარეობა. ლეტრიზმი ინტერესდება ბგერების პოეტიკით, ონომატოპეებით, ბგერათა შემთხვევითი, მაგრამ მუსიკალური განლაგებით. მისთვის მეორეხარისხოვანია აზრი.

ლექსთწყობა(ვერსიფიკაცია)

პოეტური მეტყველების ბგერითი ერთეულების კანონზომიერი თანმიმდევრობით მოწესრიგებული სისტემა. ზეპირი თუ ფიქსირებული პოეტური მეტყველება გულისხმობს მხატვრული აზრის გადმოცემას ლექსის ფორმით. ლექსი დანაწევრებულია ტაეპებად(სტრიქონებად), რომლებიც ლექსის ძირითად რიტმულ ერთეულს წარმოადგენს. ტაეპში ბგერითი ელემენტები აგრეთვე თანმიმდევრულად მისდევენ ერთმანეთს. ტაეპს, რომელის ყველაზე ზუსტად იცავს ასეთი თანმიმდევრობის კანონს, საზომი ანუ მეტრი ეწოდება. განასხვავებენ ლექსთწყობის 4 სისტემას: 1. კვანტიტაციური(ოდენობითი) ანუ ოდენობრივი; 2. სილაბური; 3. სილაბურ-ტონური; 4. ტონურ-მახვილებრივი(აქცენტური). სამი უკანასკნელის ერთობლივი სახელწოდებაა კვანტიტატიური(თვისებრივი) ანუ ტონური ლექსთწყობა. გრძელი და მოკლე ხმოვნების კანონზომიერი თანმიმდევრობა და შეხამება ქმნის ტაეპის უმოკლეს ერთეულს-ტერფს. ტაეპები ერთმანეთისაგან განცხვავდება გრძელი და მოკლე ხმოვნების ადგილიდა და დროის მიხედვით(2-მარცვლიანებიდან 5-მარცვლიანებამდე). საზომის გრაფიკულ სქემაში, თუ პირველი მარცვალი ან ხმოვანი გრძელი იყო, ტერფი გამოიხატებოდა ხაზიღ ,,-„, მოკლე ხმოვანი კი-რკალით. სქემები: **ქორე**- გრძელი, მოკლე; **იამბი**-მოკლე, გრძელი; **დაქტილი**-გრძელი, მოკლე, მოკლე; **ამფიბრაქ**ი-მოკლე, გრძელი, მოკლე; **ანაპესტ**ი-მოკლე, მოკლე, გრძელი;**პეონები**-1. გრძელი, მოკლე, მოკლე, მოკლე, მოკლე; 2. მოკლე, გრძელი, მოკლე, მოკლე; 3. მოკლე, მოკლე, გრძელი, მოკლე; 4. მოკლე, მოკლე, მოკლე, გრძელი; **დიქორე**-გრძელი, მოკლე, მოკლე, მოკლე;

დაამბი-მოკლე, გრძელი, მოკლე, გრძელი; **დოხმი**-მოკლე, გრძელი, გრძელი, მოკლე, გრძელი. საკუთრივ ქართული ლექსთწყობა სილაბურ-ტონურია, ე.ი., ქართული ლექსის რიტმი ემყარება მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერ თანმიმდევრობას ტაეპში.

ლექსთწყობის სისტემები
წყობილსიტყვაობის ორგანიზაციის ძირითადი წესები, ლექსის რიტმული ელემენტების აღნაგობა საერთოდ. არსებობს ლექსთწყობის სამი ძირითადი სისტემა: *მეტრული, სილაბური* და *სილაბურ-ტონური.*

ლექსი
რიტმულად ორგანიზებული პოეტური მეტყველება, რომელსაც ახასიათებს თავისებური რიტმი, რითმა და სტროფიკა.

ლექსი პროზად
პროზის ფორმიტ დაწერილი ლირიკული ნაწარმოები; აქვს ლირიკული ლექსის ყველა ნიშანი(მცირე ზომა, პატარ-პატარა აბზაცებად დაყოფა, რომლებიც სტროფებს ჰგვანან; ამაღლებული სტილი, მკაფიოდ გამოხატული სუბიექტური განცდა-განწყობილება, იდეები,უსიუჟეტო კომპოზიცია გარდა მეტრისა, რიტმისა და რითმისა. იხ. *პროზოსტიქი*

ლიბრეტო
ლიტერატურაში - ლიტერატურული ნაწარმოები, სცენარი, რომლის შინაარსზეა აგებული და გაფორმებული კინოსურათი.

ლინგვოეგვიპტური ადაპტაცია
ამ დროს ტექსტის გრამატიკული კონსტრუქციების ადაპტირებას კი არ მიმართავენ, არამედ ცდილობენ, მკითხველს გაუადვილონ უცხო კულტურის რეალიებისა და ენობრივი მოვლენების აღქმა.

ლიპომეტრია
საზომის ნაკლებობა _ საზომი ერთეულის დაკლება ლექსში.

ლირა
დასამღერებელი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც სრულდებოდა პოეტური ნაწარმოები, აქედან ლირიკა. სიტყვა ლირა ლიტერატურაში იხმარება როგორც პოეტური შთაგონების სიმბოლო. ქართულში ლირის სინონიმური სიტყვაა ჩანგი. ამიტომაც ვამბობთ პოეტის ლირა, პოეტის ჩანგი.

ლირიკა
მხატვრული ლიტ-რის გვარი. გადმოსცემს ავტორის ან ლირიკული გმირის ემოციურ მდგომარეობასა და სუბიექტურ განცდებს, შთაბეჭდილებებს, ადამიანის შინაგან სამყაროს; ცხოვრებასა და გარემომომცველ სამყაროს აღწერს ადამიანის სუბიექტური განცდების საშუალებით. ლირიკის თანამედროვე განმარტებაა; ლირიკა არის ლიტ-რული გვარი, რომელიც ეფუძნება ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის სუბიექტურ ასახვას შიგახედვის პოზიციიდან და მიმართულია სულიერ-ცნობიერებით და მგრძნობელობით სფეროზე.

ლირიკის ჟანრები
ლირიკის, როგორც ლიტ-რული გვარის, ჟანრებია:დითირამბა, ჰიმნი, იამბიკო, სიმღერა, ელეგია, სატირა, მოთქმა, ტრიოლეტი, ტენსონა, ალპა, ბალადა, პასტორალი, სონეტი, გზავნილი, პეიზაჟური, ფილოსოფიური, სამოქალაქო, ინტიმური.

ლირიკოსი
პოეტი, რომელიც უპირატესად ლირიკულ ნაწარმოებებს წერს.

ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოები
ნაწარმოები, რომელიც ერთსა და იმავე დროს თითქმის თანაზომიერად შეიცავს ლირიკულ ელემენტსაც და ეპიკურსაც, რაიმე ფორმის ამბავსაც მოგვითხრობს, რაც მწერლის გარეშე ხდება და იმავე დროს თვით მწერლის პირად განწყობილებასაც გამოხატავს უშუალოდ.

ლირიკულ-ეპიკური ჟანრი
ლექსის ფორმის ისეთი სახეობა, რომელშიც შერწყმულია სინამდვილის როგორც ლირიკული, ისე ეპიკური თავისებურებანი. აქ მხატვრულისახის სიუჟეტური განვითარების ეპოკური საწყისი შეხამებულია მთხრობლის ინტიმურობასთან და გრძნობის გამოხატვის ლირიკულ ფორმებთან.

ლირიკული გადახვევა
ლირიკულ ან ლირო-ეპიკურ ნაწარმოებში ჩართული არასიუჟეტური ელემენტი, ავტორის უშუალო საუბარი მკითხველთან. ლირიკულ გადახვევას შეჰყავს მკითხველი ავტორის ემოციურ სამყაროში,აცნობს მას ავტორის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი ან თავისი ქმნილებისადმი.

ლირიკული გმირი/სახე
ის პირი, ვისი აზრი და განცდა არის გამოხატული ნაწარმოებში. ეს პირი უმთავრესად თვით პოეტია, მაგრამ არ შეიზლება ლირიკული გმირის გაიგივება პოეტთან-პოეტი ლექსებში გადმოგვცემს არა მარტო საკუთარ ბიოგრაფიასა და განწყობილებებს, არამედ მიმართავს მხატვრულ გამონაგონსაც. ლირიკული გმირის ცნება მოიცავს პოეტის მთელ შემოქმედებას და ქარმოდგენას გვაძლევს მის მიერ შექმნილი ლირიკული ხასიათის თავისებურებებზე.

ლირიკული დასაწყისი
თემის ლოგიკური განვითარების ერთ-ერთი ეტაპი, რომლის ფუნქციაც მკითხველისათვის სათანადო განწყობილების შექმნა(ხსირად ის ბუნების სურათით არის წარმოდგენილი).

ლირიკული ლექსის კომპოზიცია
სიუჟეტიანი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი მოქმედების განვითარების ქვედა საფეხურები ლირიკულ ლექსში იშვიათად გვხვდება, მაგრამ მასში ხშირად აშკარად გამოიყოფა სიუჟეტის ცალკეული ელემენტები.

ლირიკული ,,მე“-იხ. *ლირიკული გმირი*
ლირიკული პეიზაჟი-იხ. *პეიზაჟი*

ლირიკული პოემა
პოემა, რომელიც აგებულია ცალკეული ლირიკული პასაჟებით, არ გააჩნია სიუჟეტი. მოვლენა წარმოსახულია ლირიკული აღწერით, შეფასებით, დახასიათებით. ლირიკულ პოემას არ ჰყავს პერსონაჟები. პერსონაჟი შეიძლება იყოს ავტორი, ლირიკული გმირი.

ლირიკული პროზა
ლირიკულ-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, რომელშიც ჭარბადაა ჩართული ლირიკული ელემენტები.

ლირიკული სიმღერა

ლირიკული ჟანრის ლექსი, რომელიც გამოხატავს მომღერლის, პოეტის პირად გრძნობა-განწყობილებას.

ლირიკული ციკლი

ლირიკული ლექსების ჯგუფი, შედგენილი თვით ავტორის მიერ ერთი თემის ირგვლივ, რომელსაც შესწევს ძალა, სამყარო აღიქვას მთლიანობაში. ლირიკული ციკლი, როგორც განსაკუთრებული პოეტური სტრუქტურა, მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც იგი მკვეთრად გაემიჯნა ლირიკულ პოემას და შექმნა თავისი ლირიკული გმირი. ცნობილია არაავტორისეული ლირიკული ციკლებიც, რომლებიც იქმნება უშუალოდ მკითხველის მონაწილეობით.

ლიტერატორი

ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი საერთოდ, ლიტერატურული ნაწარმოების შემფასებელი, კრიტიკოსი.

ლიტერატურა

ფართო მნიშვნელობით მოიცავს მწერლობას მთლიანად, ვიწრო გაგებით-სიტყვაკაზმულ მწერლობას, ანუ, როგორც ადრე უწოდებდნენ, ,,პოეტურ ხელოვნებას". ლიტერატურა სინამდვილის ასახვის თავისებური ფორმაა. იგი სიტყვიერი ხელოვნებაა და მრავალფეროვანი სინამდვილის, ადამიანთა ცხოვრების არსებითი მხარეების წარმოსახვისას ეყრდნობა სიტყვის განუსაზღვრელ გამომსახველობით შესაძლებლობებს.
ლიტერატურათმცოდნეობა-მეცნიერების დარგი,რომელიც სწავლობს მხატვრულ ლიტერატურას, მის წარმოშობას, არსსა და განვითარებას.ისტორიული განვითარების პროცესში მას გამოეყო: 1. ლიტერატურის თეორია, რომელიც სწავლობს ლიტერატურის სტრუქტურის ზოგად კანონებს, მხატვრულ მეთოდს, სტილს, ჟანრს და სხვა საკითხებს; 2. ლიტერატურის ისტორია, რომელიც კონკრეტული ლიტერატურული ზეპირი და წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე აშუქებს ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის ობიექტურ კანონზომიერებას; 3. ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც სწავლობს და აფასებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს; 4. პოეტიკა, რომელიც სწავლობს ნაწარმოების სტრუქტურასა და მის კომპონენტებს, მწერლის შემოქმედებას მთლიანად, ლიტერატურულ მიმართულებებს და ა. შ.

ლიტერატურათმცოდნეობა

მეცნიერება, რომლის შესწავლის საგანი მხატვრული ლიტერატურაა, ანუ მისი წარმოშობა, არსი და განვითარება. ისტორიული განვითარების პროცესში ლიტერატურათმცოდნეობას გამოეყო: ***ლიტერატურის თეორია,*** რომელიც სწავლობს ლიტერატურის სტრუქტურის ზოგად კანონებს, მრატვრული მეთოდის, სტილის, ჟანრისა და სხვ. საკითხებს; ***ლიტერატურის ისტორია,*** რომელიც კონკრეტული ლიტერატურული ძეპირი და წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე აშუქებს ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის ობიექტურ კანონზომიერებას; ***ლიტერატურული კრიტიკა,*** რომელიც სწავლობს და აფასებს თანამედროვე ლიტერატურულ ნაწარმოებსებს. ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი სფეროა ***პოეტიკა***-მეცნიერება, რომელიც სწავლობს ნაწარმოების სტრუქრურასა და მის კომპლექსებს: მწერლის შეხედულებას მთლიანად, ლიტერატურულ მიმართულებებს, ლიტერატურულ ეპოქებს და ა. შ.

ლიტერატურათმცოდნეობითი სტილისტიკა(სტილის თეორია)

ლიტერატურათმცოდნეობის დარგი; სწავლობს, თუ როგორ მოქმედებს მწერალი, რომ არაინდივიდუალური აქციოს ინდივიდუალურ -განუმეორებლად.

ლიტერატურის აპოლიტიკურობა

რეაქციული შეხედულება ლიტერატურათმცოდნეობაში, რომელიც პოლიტიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსის შემცველ მოტივებს უარყოფს ლიტერატურაში, ლიტერატურასა და სინამდვილეს თიშავს ერთმანეთისაგან.

ლიტერატურის ევროპული ტიპი
ევროპის კონტინენტების ლიტერატურები. ამ ახალი ტერმინით მეცნიერებმა გეოგრაფიული ვექტორი შეცვალეს ენობრივი ვექტორით.

ლიტერატურის თეორია
ლიტერატურათმცოდნეობის დარგი; სწავლობს ლიტერატურის განვითარების კანონებს, მეთოდებს, მიმდინარეობებს, ჟანრებს, გვარებს, სახეობებს, თხზულების არქიტექტონიკას, ენასა და სხვა გამომსახველობით საშუალებებს(იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა).*

ლიტერატურის იდეურობა
მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, საქვეყნო ინტერესების, ხალხის მისწრაფების, სამშობლოს სიყვარულის გრძნობის მხატვრული გამოსახვა არის ლიტერატურის იდეურობის შინაარსის განმსაზღვრელი.

ლიტერატურის ისტორია-იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა*

ლიტერატურის მატიანე - იხ. *მატიანე*

ლიტერატურის ხალხურობა
მხატვრული ლიტერატურის არსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი თვისება, რომელიც შემდეგი სამი ელემენტის ერთიანობას მოიცავს. ა) ხალხისათვის საინტერესო თემების დამუშავება, ხალხისათვის ამაღელვებელი საკითხების დასმა, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა; ბ) სინამდვილის მართლად ჩვენება, ცხოვრების განვიტარების ეპოქის მოწინავე იდეების ფონზე დახატვა; გ) ჩვენების ფორმის დემოკრატიულობა, ხალხისათვის გასაგები ენით გამოსახვა ცხოვრებისა, მაღალმხატვრულობა, ესთეტიკურობა, ემოციურობა.

ლიტერატურული ბილინგვიზმი
მწერლის ორენოვნება

ლიტერატურული გადამუშავება
მთარგმნელის მიერ საკუთარი სურვილით ან დამკვეთის მოთხოვნით ტექსტის სტილისა და შინაარსის გარკვეული ელემენტების „გაშალაშინება“, ვულგარული სიტყვებისა და გამოთქმების ამოღება, სასაუბრო ლექსიკის შეცვლა ოფიციალური ლექსიკით და ა. შ.

ლიტერატურული გაერთიანება - იხ. *ლიტერატურული სკოლა*

ლიტერატურული ეპოქა (პერიოდი)
ლიტერატურული ქრონოლოგიის კატეგორია; აღნიშნავს ლიტერატურული განვითარების ერთიან, მთლიან ეტაპს(პერიოდს), რომლის საზღვრებშიც ხდება სტილური მიმართულებებისა და მიმდინარეობების, ჟანრული, მხატვრული და იდეოლოგიური სისტემების და სხვ. ფორმირება და ურთიერთზემოქმედება.

ლიტერატურული გაერთიანება

ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენელთა მცირე ჯგუფის გაერთიანება, რომელთაც თეორიულად აქვთ გაცნობიერებული და მანიფესტის(პროგრამის, წესდების და სხვ.) სახით დეკლარირებული თავიანთი პრინციპები.

ლიტერატურული გვარი-იხ. *გვარი(ლიტერატურული)*

ლიტერატურული გმირი
მხატვრული ნაწარმოების მოქმედი გმირი, რომელიც ხასიათის არსებითი ნიშნებით, ცხოვრებისეულ მოვლენებთან დამოკიდებულებითა თუ სხვა მოქმედ პირებთან ურთიერთობით განსაზღვრული საზოგადოებრივი ფენის თვისებებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. ის შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე-უარყოფითი.

ლიტერატურული დახასიათება
ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების მოხაზვა მოქმედი პირის ცოცხალი სახის შექმნის მიზნით. ადამიანის ლიტერატურული სახის შექმნა რთული საქმეა. ლიტერატურულ ნაწარმოებში დახასიათება უმთავრესად გვევლინება, როგორც ადამიანის სახის შექმნის ერთ–ერთი საშუალება. მწერლის მიერ ამ მიზნის მიღწევა არ ხორციელდება მხოლოდ ერთი საშუალებით. სახის შექმნისათვის მწერალი იყენებს დახასიათებას, პორტრეტს, ტიპური გარემოს ასახვასა და ტიპური სახის შექმნის სხვადასხვა საშუალებებს.

ლიტერატურული ენა
მხატვრული ლიტერატურის ენა, მწიგნობრული ენა საერთოდ.

ლიტერატურული თარგმანი
მხატვრული ტექსტის(პოეზია, პროზა, დრამატურგია) თარგმანი.

ლიტერატურული კომპარატივისტიკა - იხ. *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა*

ლიტერატურული კონტექსტი
მიმართება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მწერლის კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებსა და მთელ მის შემოქმედებას შორის და, მეორე მხრივ, ის მიმართება, რომელიც არსებობს მწერლის კონკრეტულ ნაწარმოებს/შემოქმედებას შორის.
ლიტერატურული კრიტიკა-იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა.*

ლიტერატურული კრიტიკა
ლიტერატურათმცოდნეობის დარგი; იკვლევს ლიტერატურის ცალკეულ მოვლენებს; ცდილობს, განსაზღვროს მათი მხატვრული ღირებულებები და ორიგინალურობა(იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა).*

ლიტერატურული მანიფესტი
საპროგრამო ნაწარმოები, რომელშიც ასახულია მწერლისა თუ მწერალთა ჯგუფის ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პოზიცია.

ლიტერატურული მეთოდი - იხ. *შემოქმედების მეთოდი*

ლიტერატურული მიმართულება
ამა თუ იმ ეპოქის მწერლების შემოქმედებითი ერთობა,რომლებიც სინამდვილის ასასახად იყენებენ საერთო იდეურ-ესთეტიკურ პრინციპებს. იხ. *შემოქმედების მეთოდი*

ლიტერატურული მიმდინარეობა
მხატვრული ლიტ-რის განვითარების პროცესში, მის ერთ-ერთ ეტაპზე წარმოქმნილი იდეოლოგიური და ესთეტიკურ-სტილური პრინციპების ერთობა, ნათესაობა.

ლიტერატურული მისტიფიკაცია
უბრალო ნაყალბევი ტექსტების გასაღება გარკვეული ავტორების ახლად აღმოჩენილ უცნობ ნაწარმოებებად.

ლიტერატურული პერიოდი - იხ. *ლიტერატურული ეპოქა*

ლიტერატურული ჟანრი
ისტორიულად ჩამოყალიბებული და განვითარებული ტიპი მხატვრული ნაწარმოების ჯგუფებისა,რომლებსაც აერთიანებტ ფორმობრივი და შინაარსობრივი ნიშნები.

ლიტერატურული სკოლა(გაერთიანება)
ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენელთა მცირე გაერთიანება, რომლებსაც თეორიულად აქვთ გაცნობიერებული და მანიფესტის(პროგრამის, წესდების და სხვ.) სახით დეკლარირებული თავიანთი მხატვრული პრინციპი.

ლიტერატურულ ურთიერთობათა კოლექტიური და ინდივიდუალური შუამავლები
ის ადამიანები, ქალაქები, ქვეყნები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები და სხვ., რომლებიც ხელს უწყობენ ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებას.
ლიტოტესი
ტროპის სახე, შებრუნებული ჰიპერბოლა, საგნის ან მოვლენის შემცირებულად წარმოდგენა(მაგ., „სუტკნეინა ის მოიკუნტა, ისე მოიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა“).

ლიტურგიკა
სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ღვთისმსახურების აღსრულებასთან.

ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია-იხ. *ჰიმნოგრაფია*

ლიტფრონტი
ლიტერატურული დაჯგუფება 30-იანი წლების საბჭოტა ლიტერატურაში. ისინი უარყოფდნენ ლიტერატურის სპეციფიკურობას, აიგივებდნენ მას პუბლიცისტურ საგაზეთო საქმიანობასთან. ლიტერატურის მიზნად მიაჩნდათ დღიური ჭირ-ვარამის გამოხატვა და ლიტერატურული ნაწარმოების ძირითად ფორმად თვლიდნენ „ნარკვევს“. ლიტფრონტელები იდეოლოგიურად ენათესავებიან „ლეფს“ (იხ.).

ლიცენცია
მხატვრული ხერხი, როცა მკაფიო პოეტური გამომსახველობის მიზნით ირღვევა ლოგიკურ-აზრობრივი, გრამატიკული ან სტილისტური ნორმა.

ლოგაედი
მეტრულ ლექსთწყობაში სამმარცვლიანი ტერფის(დაქტილის, ანაპესტის) გაერთიანება ორმარცვლიან ტერფთან(იამბთან, ქორესთან).

ლოგოგრიფი

ფრაზის ისეთი აგება, როდესაც მიყოლებულ სიტყვებში თანდათან იკარგება თითო-თითო ბგერა (ასო) საწყის მთლიანი სიტყვიდან. მაგ. ძირითადი სიტყვაა ილია, გამოჩენილი პოეტის სახელი, პირველი ასოს დაკარგვით მიიღება ქალის სახელი „ლია“ და ასე გრძელდება), ლოგოგრიფზეა აგებული ხშირად შარადა, გამოცანა(იხ. *შარადა, გამოცანა*)

ლოზუნგი
პუბლიცისტური ჟანრი, სხარტად გამოთქმული მოწოდება, რომელშიც მოცემულია საზოგადოებრივი აზრის სამოქმედო პროგრამა.

ლოტოტესი
ტროპის სახე, რომელიც ეფუძნება ადამიანის გარეგნული თუ შინაგანი თვისების, ქცევის ან საგნის, მოვლენის თვისების(ძალის, ზომის, მნიშვნელობის) შემცირებას მათი ექსპრესიულობის გაზრდის მიზნით.

ლოცვანი
ლიტურგიკული(საღვთისმსახურო) ტერმინი. ამ სახელით აღინიშნებოდა ორი წიგნი, რომელთაგან ერთში მოთავსებული იყო წირვის წესები, მეორეში-სხვადასხვა საგანგებო შემთხვევის(ნათლისრება, ჯვრისწერა..) გამო წარმოსათქმელი სიტყვები.

=მ=

მაგისტრალი(ლექსთწყობაში)
სონეტების გვირგვინის დამამთავრებელი, მე-15 სონეტი, რომელიც აკავშირებს წინა 14 სონეტს. მაგისტრალის ყოველი მომდევნო ტაეპი მთლიანად იმეორებს შესაბამისი სონეტის საწყის ტაეპს.

მადრიგალი
საერთო მუსიკალურ-პოეტური ჟანრი. ახასიათებს აზრისა და გრძნობის თავისუფლება, გამომსახველობითი ხერხების სიუხვე, თამამი დისონანსები, ქრომატიზმები, რიტმისა და ფაქტიურის მკვეთრი კონტრასტები. XVII ს-იდან მადრიგალს ჩამოსცილდა მუსიკა. იგი ქალისადმი მიძღვნილ მცირე ზომის ლექს-ქათინაურად იქცა(ქართულ პოეზიაში მადრიგალის ნიმუშია ნ. ბარათაშვილის „საყურე“).

მათუსალა
ბიბლიური პატრიარქი, რომელმაც 969 წელი იცხოვრა თურმე. ეს ცნება დღეს ხანდაზმულობის სიმბოლოდ გამოიყენება. მათუსალა ლიტერატურათმცოდნეობაში, პუბლიცისტიკაში, რიტორიკაში გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა დამკვიდრდა მხატვრული მწერლობის მ,ეშვეობით.

მაკარონული ლექსი
ბარბარიზმის ერთ-ერთი სახე, ლექსის აჭრელება უცხო სიტყვებითა და ფრაზებით, ჩვეულებრივად, საოხუნჯოდ ან ადგილობრივი კოლორიტის დასაცავად.

მაკარონული პოეზია
სატირული ან სახუმარო პოეზია. მისი მაგალითები გვხვდება გ. ერისთავის და თბილისელ აშუღთა შემოქმედებაში.

,,მამებისა და შვილების ბრძოლა“

XIX ს-ის 60-70-იან წლებში ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძველსა და ახალ თაობას შორის გაშლილი პაექრობა, რომლის არსებას შეადგენდა ცხოვრების პატრიარქალურ-ფეოდალური წესის, კულტურის, მწერლობის გაქვავებული ფორმების დამცველთა-,,მამების"- და ცხოვრების, კულტურის განახლებისაკენ მიმსწრაფი ახალი თაობის-,,შვილების"-შეურიგებელი დაპირისპირება. ეს დაპირისპირება უმთავრესად ლიტერატურის სფეროში გამოვლინდა, მაგრამ ფაქტობრივად მოიცვა მსოფლმხედველობის ყველა სფერო.

მანერა
მოქცევა, მოქმედება, მწერლის, მხატვრის და სხვათა გამოსახვის ისეთი სტილური თვისება, რომლითაც იგი სხვა შემოქმედისგან განსხვავდება.

მანუსკრიპტი
მხატვრული გემოვნებით გაფორმებული ძველი ხელნაწერი.

მარადიული თემა-ყველა ხალხსა და ყველა დროში აქტუალური თემა.

მარიენიზმი- იგივე გვიანი რენესანსი, მიმდინარეობა 1920-1980 წლების ლიტერატურაში.

მარინიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა. უპირისპირდება რენესანსულ ლიტერატურას. მისთვის ნიშანდობლივია ფორმის უპირატესობა შინაარსთან, ვირტუოზული ლექსი, ალეგორიული სახეები, უჩვეულო შედარებები და ა.შ. შინაარსობრივად მარინიზმისთვის დამახასიათებელია ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების, სამყაროს დისჰარმონიულობისა და წინააღმდეგობრიობის მძაფრი შეგრძნება, მეტად თავისებური პესიმიზმი, სარკაზმი, ჰედონიზმი.

მარინისტი
მწერალი, რომელიც ზღვის ხედებს, სურათებსა და პეიზაჟებს ხატავს.

მარტივი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

მარტივი რითმა-იხ. *რითმა*.

მარტვილობა(წამება)
ჰაგიოგრეფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ჟანრი; ასახავს ქრისტიანობისათვის თავდადებული წმინდანების ცხოვრებასა და მათ მოწამებრივ აღსასრულს.

მატერიკი
დედათა ცხოვრებანი. ჰაგიოგრაფიული კრებულის სედგენისას დედათა ცხოვრებას ზოგჯერ ცალკე წიგნად გამოჰყოფდნენ ხოლმე.

მატიანე
თხრობის ჟანრის ისეთი თხზულება ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, სადაც ქრონოლოგიური ნუსხის სახით მოცემულია ისტორიულ მოვლენათა აღწერა. მატიანე შინაარსის მიხედვით შემდეგი სახისაა: 1. ისტორიული - ისტორიულ მოვლენათა აღწერა ძველად (მაგ., „ქართლის მატიანე"; 2. მოსახსენებელი (მაგ., „მატიანენი სააღაპონი"); 3. ისტორიული - სადაც აღწერილია როგორც ძველი, ისე ახალი ისტორიული ამბები და ფაქტები; 4. „რევოლუციის მატიანე" -წიგნი, რომლიტაც წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა ნახული და გაგონილი რევოლუციის მომზადებისა და განვიტარების შესახებ; 5. ლიტერატურის მატიანე - წიგნი,

რომელიც შეიცავს ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტიურ მასალებს, მწერალთა მემუარებს, მოგონებებს, დღიურებს, დაუბეჭდავ ნაწარმოებებს, თხზულებატა ვარიანტებს, მიწერ-მოწერას და სხვ.; 6. წიგნის მატიანე - პერიოდული კრებული, რომელშიც მოცემულია აღწერა იმ წიგნებისა, რომლებიც გამოიცა ამა თუ იმ ქვეყანაში გარკვეულ დროს.

მაქსიმა
სენტენციის სახეობა, სხარტი დარიგება ზნეობრივი წესის შესახებ. მაქსიმა უახლოვდება ანდაზას, აფორიზმს. მაქსიმას მაგალითია სახარების 10 მცნება.

მაღალი შაირი
რიტმულად ჩქარი ტემპის მქონე ტერფებისაგან შედგენილი შაირი. მაღალი შაირი ოთხი ოთხმარცვლიანი ტერფისაგან შედგება(მაგ., „შემოვიდა რუსთაველი ის სულმნათი და მგოსანი”).

მახვილსიტყვაობა
ფოლკლორის ტერმინი, გულისხმობს ცხოვრებისეული მანკიერების სიტყვამოსწრებულ, სატირულ-იუმორისტულ მხილებას. მახვილსიტყვაობა ვლინდება მცირე ზომის ჟანრებში(იგავი, ანეგდოტი, ანდაზა, ზმა და სხვ.).

მაჯამა
ომონიმური რითმით გაწყობილი ლექსი (მაგ., ა. წერეთლის „აღმართ-აღმართ“).

მაჯამური რითმა-იხ. *რითმა.*

მდენარი
ძველი ქართული სალექსო ფორმა, რომელიც შვიდი ტაეპისაგან შედგება და თითოეული მათგანი ერთრითმიანია. მეშვიდე ტაეპში კი ლექსის ავტორის სახელია ჩართული.

მდიდარი რითმა-იხ. *რითმა.*

მედიანა
დიდი ცეზურა ლექსში, რომელიც ტაეპს შუაზე ყოფს.

მეთოდი - იხ. *შემოქმედების მეთოდი*

მელოდიკა ლექსისა
ტონის სიმაღლის ცვალებადობა, ხმის ამაღლება დადაბლების სისტემა ლექსში. უკავშირდება ინტონაციას, როგორც მის კომპონენტს.

მელოდიკა მეტყველებისა(იგივე ინტონაცია)
მეტყველების მელოფია, ანუ მეტყველებისას ტონის სიმაღლის აწევ-დაწევა ან ერთ დონეზე შენარჩუნება.

მელოდრამა
მცირე ზომის დრამატული ნაწარმოები; ახასიათებს მოქმედების სიმძაფრე, მოულოდნელობა, გადაჭარბებული ემოციები,. ხასიათდება მოქმედებისმოულოდნელი წარმოსახვით. მელოდრამაში კონფლიქტი ვითარდება ტრაგიკულ ასპექტში, გმირი საშიშროების წინაშე დგას მაგრამ საბოლოოდ ძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას.

მემუარი
ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც მოთხრობილია წარსულის რეალური მოვლენები, რომელთა მონაწილე ან მხილველი თვით ავტორი იყო. მემუარებში თხრობა მიმდინარეობს პირველი პირით, ქრონოლოგიურად, ფაქტების მიხედვით, რითაც ის უახლოვდება დღიურს, ისტორიულ პროზას და მეცნიერულ ბიოგრაფიას.

,,მეორე დასი“(ახალი ახალგაზრდობა)
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა ჯგუფი. ცამოყალიბდა 1869 წელს. ამ მიმდინარეობის სოციალური საფუძვლები და თეორიული წყაროები ძირითადად იგივე იყო, რაც პირველდასელებისა(თერგდალეულებისა), მაგრამ ისინი ,,მესამე წოდების“ კლასობრივ და ეროვნულ მოთხოვნათა უფრო რადიკალურად გამომხატველი და განმანათლებლურ-უტოპიურ-სოციალისტური იდეების უფრო თავგამოდებული დამცველი იყო. ისინი, ტუმცა კი აღიარებდნენ თავადაზნაურთა ქონებისა თუ დაწესებულებების გამოყენების შესაძლებლობას ხალხის ინტერესებისათვის, გადაჭრით უარყოფდნენ მათს კლასობრივ მეთაურობასა და ჭარმმართველ ზალად მშრომელ, განათლებულ წვრილ მესაკუთრეს მიიჩნევდნენ.

მეორე ორიგინალი
მთარგმნელი რეალურად ქმნის ორიგინალის ახალ, მისეულ ვარიანტს. თარგმანი არა მარტო ინტერპრეტაციას უკეთებს პრიგინალს, არამედ ჩაენაცვლება კიდევაც მას, თუმცა, ეს ხდება მხოლოდ მიმღები და არა გამცემი ლიტერატურის არეალში.

მეორეულობა
თარგმანის თავისებურება, იყოს მეორეული ორიგინალთან შედარებით. ,,მეორეულის“ ცნებაში არ დევს შეფასებითი მნიშვნელობა-იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ პირველადი არის პრიგინალი.

მეორეხარისხოვანი პერსონაჟი
ნაწარმოების პერსონაჟი, რომელიც არ მონაწილეობს ცენტრალურ კონფლიქტში.

მერჩულიულნი უცხონი
ალიტერაციით გაწყობილი ლექსები, რომლებშიც ყოველი სტროფული ერთეული იწყება იმავე ბგერით, რომლითაც იწყება სალექსო საზომის აღმნიშვნელი ძლისპირი. დადასტურებულია ასოედი(შეფარდებულიადასაწყისი ასო), მარცვლედი(შეფარდებულია დასაწყისი მარცვალი), ვერბალური(მეორდება სიტყვა) და ფრაზული (მეორდება რამდენიმე სიტყვა) ალიტერაციები.

,,მესამე დასი“
გლეხობისა და პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველ ინტელიგენტთა ლიტერატურულ-პოლიტიკური ჯგუფი. დასი ჩამოყალიბდა 1893 წელს. მესამედასელებმა მიზნად დაისახეს მშრომელი ხალხის ამოძრავება, მებრძოლ რაზმად მისი გადაქცევა, ცხოვრების ჩვენება რევოლუციური თვალსაზრისით.

მესოსტიქი
ისეთი ლექსი, რომლის ტაეპებში ჩართული სიტყვები ქმნიან დამოუკიდებელ ლექსს.

მესტვირული პოეზია

ხალხური პოეზიის სახე, მოკლე სასიმღერო ლექსი, რომელსაც გუდასტვირზე ანუ საზანდარზე ამღერებდნენ მოსიარულე იმპროვიზატორი მესტვირეები.

მეტალიტერატურა
ნაწარმოები, რომელშიც ცენტრალური ან ერთ-ერთი მოქმედი გმირი არის მწერალი(მაგ., ელგუჯა მაღრაზის ,,გრიგოლ ორბელიანი“).

მეტატექსტუალობა
ტექსტში პრეტექსტის ინტერპრეტირება, კომენტირება და კრიტიკა.

მეტაფორა
ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახე. მსგავსების საფუძველზე ერთი საგნის ნიშნების მეორეზე გადატანა მისი გამოხატვისა და დახასიათების გზით.მეტაფორა იგივე შედარებაა, მაგრამ ის, რაც უნდა შედარდეს, ნაგულისხმევია, ხოლო ის, რასაც ადარებენ, დასახელებულია პირდაპირ.

მეტონომია
ტროპის სახე, გამოსახვის ისეთი სტილისტიკური ხერხი, რომელიც ცნებათა შენაცვლებას, პოეტურ შეკვეცას ემყარება.

მეტაფრაზი
ლიტერატურული ტექსტის შინაარსის სხვა სიტყვებით გადმოცემა(ჩვეულებრივ, ლექსისა-პროზად).

მეტაფრასი
შესწორებული და გავრცობილ-შევსებული საეკლესიო ლიტ-რული ნაწარმოები, უპირატესად ჰაგიოგრაფიული ჟანრისა.

მეტაფრასტი
ლიტერატურული ტექსტის სიტყვსიტყვით გადმომცემი, მთარგმნელი.

მეტაფრასტიკა
ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში X ს-იდან დანერგილი მიმართულება. ძველი, კიმენური ტიპის რედაქცია ვეღარ აკმაყოფილებდა ეპოქის ლიტერატურულ გემოვნებას. გადამუშავება („გარდაკაზმვა“) შეეხო ნაწარმოებთა მხატვრულ სახეს. ეს იყო საგულისხმო ლიტერატურული მოვლენა, რომელმაც დაარღვია ჰაგიოგრაფიული მწერლობის კანონიკური სიმყარე და მეტი გასაქანი მისცა ჟანრის მხატვრულ განვითარებას.

მეტონომია
ტროპის სახე; მოვლენის, ცნების ან საგნის სახელწოდების შეცვლა სხვა სახელით. მეტონომიაში სახელის შეცვლა განპირობებულია იმით, რომ სიტყვა გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით(მაგ., წინადადებაში-„სამი ჭ ი ქ ა დავლიე“-„ჭიქა“ აღნიშნავს სითხეს, მოცულობას).

მეტრი-იხ. *ლექსწყობა.*

მეტრიკა
პოეტიკის დარგი, რომელიც სწავლობს პოეტური მეტყველების ბგერითი ერთეულების კანონზომიერი თანმიმდევრობით მოწესრიგებულ სისტემას. იხ. *ლექსწყობა.*
მეტრული ლექსწყობა

ძლიერ და სუსტ მახვილთა კანონზომიერ მონაცვლეობაზე დაფუძნებული სალექსო სისტემა. დამახასიათებელია იმ ენებისათვის, რომლებსაც აქვს გრძელი და მოკლე მარცვალი. უფრო მეტად ნიშანდობლივია ძველი ბერძნული და ლათინური პოეზიისათვის. ამ ენებში მარცვალი იყო გრძელი და მოკლე; სალექსო რიტმის საზომად აღებულია მოკლე მარცვლის გამოთქმისათვის საჭირო დროის რაოდენობა *მორა*. აქედან მეტრულ ლექსთწყობას უწოდებენ *კვანტიტატიურს-რაოდენობრივს.*

მეფური სტროფი-იხ. *ჩოსერის სტროფი*

მექანიკური პარაფრაზირება
მოიცავს ორიგინალური ტექსტის სინტაქსური სტრუქტურის შეცვლას, მისი მნიშვნელობის შეცვლის გარეშე.მექანიკური პარაფრაზირების გავრცელებული ტექნიკაა: სიტყვების თანმიმდევრობის შეცვლა ან სხვადასხვა გრამატიკული კონსტრუქციის გამოყენება.

მეხურნი
ჰიმნოგრაფიული ტერმინი; ნევმირებული (სანოტო ნიშნებით გაწყობილი ძლისპირები და გალობანი.

მთავარი რითმა - იხ. *რითმა*

მთავარი ცეზურა-იხ. *ცეზურა*

მთარგმნელობითი კომპეტენცია
ამოსავალი ტექსტის გაგებისა და მიმღები კულტურის ენაზე ახალი ტექსტის სექმნის უნარი, რისთვისაც აუცილებელია მთარგმნელის გამოცდილება და ფონური ცოდნის კომპლექტი.

მთარგმნელობითი სტრატეგია
სათარგმნელი ტექსტის ხასიათით ან მთარგმნელის/დამკვეთის თეორიული მოსაზრებით, თარგმანის მიმღები კულტურის იდეოლოგიური, მორალური ან ესთეტიკური ტენდენციების გათვალისწინებით შემუშავებული გეგმა, რომელიც ემსახურება მთარგმნელობითი მიზნის მიღწევას.

მთქმელი
„სიტყვის მოქმედი“ (სულხან-საბას განმარტებით) ანუ მთხზველი, მხატვრული ნაწარმოების შემოქმედი.

მთხრობელი
პერსონიფიცირებული გმირი, იმ ადამიანის პირობითი სახე, რომლის სახელითაც მიმდინარეობს თხრობა ნაწარმოებში.

მითი
უძველესი ხალხური, ფანტასტიკური თქმულება, ასახავს ადამიანის უძველეს წარმოდგენებს სამყაროზე, ღმერთებზე სდა გმირებზე, ხასიათდება პერსონიფიკაციით-გასულიერებით.

მითოსი
ზღაპრისაგან განსხვავებული ამბავი, მითი, თქმულება, გადმოცემა, რაც ხალხთა წარმოდგენაში ხსნის ბუნების მოვლენებს ან ღმერთთა და ადამიანთა ურთიერთობას.

მიზეზის გარემოებითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

მიზნის გარემოებითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

მითოლოგია
1. მითების ერთობლიობა; 2. მითების შემსწავლელი მეცნიერება.

მიმესიმი
სინამდვილის ბაძვა, მიბაძვა.

მიმი
კომედიის სახეობა ბერძნულსა და რომაულ ლიტერატურაში. სომღერისა და ცეკვის თანხლებით შესრულებული ხალხური სცენები, რომელიც დაცინვის ფორმით გამოხატავდა ყოველდღიური ცხოვრების ამბებს.

მიმსგავსების მეთოდი
ორიგინალის რეალიის შეცვლა მსგავსი, მაგრამ არა ზუსტად იმავე მნიშვნელობის ან ფუნქციის მქონე უცხოეროვნული რეალიით.

მინიატურა
,,მცირე ფორმის' ჟანრი; კომპოზიციურად და შინაარსობლივად დასრულებული უმცირესი ზომის ლიტერატურული თხრობითი ჟანრი, სადაც მოქმედება და თხრობა ვითარდება დინამიკურად და ლაკონურად. თავისი სტრუქტურით იგი ნოველაზე მარტივი და შეზღუდულია.

მინჩხურნი
საგალობელთა ორიგინალური საზომები, რომელთა შემორება უკავშირდება X ს-ის ჰიმნოგრაფსა და მუსიკოსს იოანე მინჩხს.

მირაკლი
შუა საუკუნეების რელიგიურ-დიდაქტიკური დრამა ქრისტეს ცხოვრებასა ან რომელიმე წმინდანის ცხოვრების თემაზე. ჩვეულებრივ ბოლოვდება ღვთისმშობლის მიერ ჩადენილი სასწაულით.

მისასალმებელი მჭევრმეტყველება
საორატორო პროზის სახე, რომელიც მიზნად ისახავს საზეიმო მდგომარეობის შესაფერისი განწყობილების შექმნას. მას იყენებენ რომელიმე ორგანიზაციის წევრთა ყრილობის, რაიმე მნიშვნელოვანი თათბირის, თარიღის, მეცნიერების მიღწევის, სამეურნეო, პოლიტიკური ან რაიმე სახის წარმატების აღსანიშნავად.

მისტერია
შუა საუკუნეების რელიგიური დრამა, აგებულია ბიბლიურ სიუჟეტზე.

მისტიკა
1. რწმენა, რომლის მიხედვითაც ადამიანს თიტქოს სეუძლია ურთიერთობა დაამყაროს საიქიოსთან; 2. იდუმალი რამ.

მისტიფიკაცია
ლიტერატურული თხზულების ავტორის ნამდვილი სახელის განზრახ დაფარვა, სხვა სახელის გამოყენება ცენზორის თვალის ასახვევად საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოლემიკის, ლიტერატურული ხუმრობების ან სხვა მიზნით.

მისტიციზმი
მისტიკაზე დაფუძნებული რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა.

მიძღვნა
ლირიკული ხასიათის ლექსი, რომელშიაც ნაჩვენებია, ვის და რატომ მიეძღვნა ნაწარმოები. იგი შესწავლის სახით წარემძღვარება ნაწარმოებს(მაგ., „ბედი ქართლისას“ შესავალი-„კახთა მიმართ“).

მოგზაურობა
ლიტერატურული ჟანრი, ნაწარმოები, რომელსიც მწერალი მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს. მხატვრულად, მაგრამ დოკუმენტური სიზუსტით გვაწვდის ცნობებს თავის მიერ ნანახის შესახებ; მეორე სახის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებში მოგზაურობა გამოყენებულია მხატვრულ საშუალებად, რათა მწერალმა ამ ფონზე წარმოაჩინოს თავისი სოციალ-პოლიტიკური, ეროვნული ტუ სხვა იდეალები(მაგ., ი.ჭავჭავაძის ,,მგზავრის წერილები“).

მოგონებანი-იხ. *მემუარები*

მოდერნიზმი
ლიტერატურული მიმართულება, მხატვრული ეპოქა,რომელიც აისახა მოდერნის სტილში და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობაში(*სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, აკმეიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი* და სხვ.). მოდერნიზმი ემყარება პრაგმატიზმის, ინტუიტივიზმის, ფროიდიზმის და სხვ. ფილოსოფიურ-ესთეტიკურ იდეებს; ახასიათებს წინა მხატვრულ-ემოციური გამოცდილების უგულებელყოფა; ლიტერატურაში ამკვიდრებს ახალ, არატრადიციულ ფორმებს; მოდერნისტები გაურბიან არსებულ სინამდვილეს, უარყოფენ ჭეშმარიტების ჭვდომის შესაძლებლობას.

მოთხრობა
საშუალო ზომის ეპიკური ნაწარმოები, ასახავს ადამიანის ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთს, აქვს სიუჟეტური ხაზი. გამოირჩევა ტემატური მრავალფეროვნებით(ფილოსოფიური, ისტორიული, დიდაქტიკური და სხვ.). ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს ნოველასა და რომანს შორის.

მოკაზმული
ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინი. გულისხმობს თავისუფალ, გადამუშავებულ თარგმანს, დედნის პერიფრაზს.
მომიჯნავე რითმა-იხ. *რითმა*

მონოგრაფია
ვრცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია ერთი რომელიმე თემა ან საკითხი.

მონოდრამა
დრამატული ნაწარმოები ძველ საბერძნეთში, რომლის მოქმედი პირი იყო მხოლოდ ერთი პერსონაჟი.

მონოლოგი
მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის ვრცელი სიტყვა, რომელიც მიმართულია სხვა მოქმედი პირებისადმი. იგი წარმოადგენს გმირის ერთგვარ აღსარებას, გასაუბრებას საკუთარ თავთან. მასში გადმოცემულია გმირის სულიერი განწყობილება, განცდები. მონოლოგი გვხვდება როგორც დრამატულ, ისე ეპიკურ და ლირიკულ ნაწარმოებში.

მონომეტრია
ერთგვაროვანი სალექსო ზომით დაწერილი ლექსი. უპირისპირდება *პოლიმეტრიას*(იხ.).

მონორიმი-იხ. *რითმა*

მონორითმი-იხ.*რითმა*

მონოსტიქი
დამთავრებული აზრის შემცველი, ერთსტრიქონიანი ლექსი. ხშირია ხალხურ ანდაზებში, გამოცანებში, აფორიზმებში...

მონოსტროფი
მცირე სალექსო ფორმა, რომელიც ხასიათდება დასრულებული კომპოზიციით. მონოსტროფებია *რონდო, ტრიოლეტი, ტანკა, ხაიკუ, კრაკოვიაკი*

მორა-იხ. *ლექსთწყობა*

მოსაზღვრე(პარალელური) რითმა-იხ. *რითმა*

მოსახსენებელი მატიანე - იხ. მატიანე

მოტივი
მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის უმარტივესი შემადგენელი ნაწილი.

მოქმედება
გამოსახვის ხერხი, ამბის მხატვრულად გაშლის ფორმა, სინამდვილის გადმოცემის საშუალება ეპოსსა და დრამაში.

მოქმედების განვითარება
მოვლენათა წყება კვანძის შეკვრიდან კულმინაციამდე, სიუჟეტური ხაზების განვითარება; კონფლიქტის თანდათანობით გამწვავება.

მრავალთავი
ძველი ქართული ლიტ-რული კრებული, სადაც თავმოყრილია საუფლო და წლის დიდი საეკლესიო დღესასწაულებისათვის განკუთვნილი საკითხავები.

მრჩობლედი
ქართული ლექსის სახეობა, რომელიც მოსაზღვრე რითმით შეწყობილი წყვილი ტაეპებისაგან შედგება. მრჩობლედისათვის არ არის განმსაზღვრელი არც სალექსო სტრიქონის საზომი და არც წყვილ ტაეპთა რაოდენობა.

მსოფლმხედველობითი ემოციები-იხ. *პათოსი*

მუდმივი შინაგანი რითმა-იხ. *რითმა*

მუზა-პოეტის შთაგონების წყარო.

მულტიკულტურული მწერლები
მიისწრაფოდენ, გადაეხედათ ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურათა ურთიერთობის კონცეფციისათვის, ეჭქვეშ აყენებდნენ მრავალ მოძველებულ სტერეოტიპებს და ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ თანამედროვე ცხოვრებაში მონოლითური კულტურა უფრო ხშირად უთმობს ადგილს მრავალფეროვან კულტურას.

მუნაზარე -იხ. *გაბაასება*

მუნასიბი
სახელდახელოდ თქმული ლექსი, კაფია, ექსპრომტი.

მუსამბადი-იხ. *სტროფი*

მუსტაზადი
აღმოსავლური ლექსის სახეობა, რომელშიც ყოველ სტრიქონს ან ყოველ ორ სტიქონს მოსდებს მისამღერი(მუსტაზადი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბესიკის ,,ტანო ტატანო“ მუსტაზადია.

მუშაირა
საერთო აღმოსავლური ტერმინია და ნიშნავს პოეტურ შეჯიბრებას, პოეტურ პაექრობას.

მუხამასი-იხ. *სტროფი*

მუხამბაზი
ქართული სალექსო ფორმა,რომლის ყოველი სტროფი შედგება 14-მარცვლიანი 5 ტაეპისაგან. პირველი სტროფი ერთი მარცვლით არის გაწყობილი(მონორიმია), დანარჩენი სტროფების ოთხ-ოთხ ტაეპს საკუთარი რითმა აქვს, ხოლო მე-5 ერითმება პირველ სტროფს.
მუხლი
ტაეპის რიტმულ-ინტონაციური ნაწილი, გამოყოფილი მთავარი ცეზურით. იგივეა, რაც ნახევარტაეპი

მცირე ცეზურა-იხ. ცეზურა

,,მწყემსების პოეზია“-იხ. ბუკოლიკური პოეზია.

მხატვრული ანტონიმი-იხ. ანტითეზისი

მხატვრული დეტალი
1. საგანი/საგნები, რომლებიც ეხმარება მკითხველს, გამოავლინოს პერსონაჟის ბუნების თავისებურებანი(მაგ., ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისა); 2. მხატვრული სახის შექმნის საშუალება, რომელიც გვეხმარება, ავტორის მიერ წარმოდგენილი მხატვრული სურათი, საგანი თუ ხასიათი, წარმოვიდგინოთ თავისი განუმეორებელი ინდივიდუალურობით.

მხატვრული დრო
მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის მახასიათებელი დროითი სურათი.

მხატვრული ენა
მხატვრული ლიტერატურის ფორმა, ენის სტილისტიკური სახესხვაობა (მეცნიერების, პუბლიცისტიკის, საქმიანი ქაღალდებისა თუ სალაპარაკო ენასთან შედარებით).

მხატვრული თარგმანი
თარგმანის სახეობა, რომელიც ფუნქციონირებს მხატვრული ლიტერატურის სფეროში. ის წარმოადგენს სამყაროს კულტურული ათვისების ინსტრუმენტს და აფართოებს კაცობრიობის კოლექტიურ მეხსიერებას.

მხატვრული თარგმანის ალგორითმი
მთარგმნელობით ოპერაციათა მთელი სისტემა, რომელთაც თანმიმდევრული და მკაცრად განსაზღვრული წესების მიხედვით შესრულების შედეგად მივყავართ დასახული მთარგმნელობითი ამოცანის გადაჭრამდე.

მხატვრული ლიტერატურა
ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, რომელიც გამოსახვის საშუალებად იყენებს სიტყვას, მეტყველებას, ენას.

მხატვრული მეთოდი - იხ. *შემოქმედების მეთოდი*

მხატვრული მეტყველება
მეტყველების სტილისტიკური სახესხვაობა, სიტყვის ხელოვნების უნივერსალური კომპონენტი,მისი ფორმა. მხატვრულ ნაწარმოებში მეტყველება ემოციური და სახეობრივია, სიტყვა კი(იქნება იგი პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი), კონტექსტში ახლებურ ელფერსა და მნიშვნელობას, ახლებურ კონკრეტულ აზრობრივ-ემოციურ ჟღერადობას იძენს.

მხატვრული ნარკვევი
საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცალკეულ მოვლენათა მხატვრული აღწერა. მასში გამოგონილის ნაცვლად გარკვეული ფაქტი არის აღწერილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნარკვევის ავტორი გვაძლევს არა ფაქტების განზოგადების გზით შექმნილ სურათს, არამედ გვიხატავს რომელიმე ცალკეულ ფაქტს. ნარკვევში ავტორის ფანტაზია შეზღუდულია; მოვლენები და ხასიათები თითქმის უცვლელად არის აღებული ცხოვრების სინამდვილიდან. მიუხედავად ამისა, იგი აძლევს მკითხველს მდიდარ მასალას კონკრეტულ მოვლენათა განზოგადოებისათვის.

მხატვრული სახე
მხატვრული შემოქმედების ზოგადი კატეგორია. გარკვეული ესთეტიკური იდეალის პოზიციიდან სამყაროს აღქმისა და ასახვის ფორმა, ავტორის ფანტაზიითა და მისი ესთეტიკური იდეალების შესატყვისად შექმნილი ადამიანის ცხოვრების მხატვრული სურათი, რომლის მიზანია სინამდვილის ასასახი მოვლენის არსში ჩაწვდომა.

მხატვრული სივრცე
მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის მახასიათებელი სივრცითი სურათი.

მხატვრული სიმართლე
სინამდვილის სწორი, მხატვრული წარმოსახვა, „ბუნების მიმართ მართალი“ მაღალმხატვრული განსახოვნება.

მხატვრული სტილი
ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსისა და მის გამომხატველ მრავალსახოვან ფორმათა მთლიანობა. ლიტერატურული სტილი თხზულების იდეურ–მხატვრული თავისებურებაა(სტილოს” ბერძნულად ეწოდება ჯოხს, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფიცარზე. ჯოხს ერთი ბოლო წვეტიანი ჰქონდა და იგი ფანქრის მაგივრობას ასრულებდა. მეორე ბოლო კი – ბლაგვი. როდესაც

დაწერილის შესწორება უნდოდათ, ბლაგვი ბოლოთი შლიდნენ ფიცარზე დაწერილს და შემდეგ ხელახლა წერდნენ. რომაელები ხშირად ამბობდნენ „ჯოხი (სტილი) ხშირ–ხშირად შეატრიალეო", – და ეს ნიშნავდა მოწოდებას, რომ ნაწერი დროზე შეესწორებინათ).

მხატვრული ტყუილი-იხ. *გამონაგონი*

მხატვრული ფანტაზია
მწერლის, ხელოვანის უნარი, შემოქმედებითი ტალანტის აუცილებელი ნიშანდობლივი თვისება. მხატვრული წარმოსახვის, შეთხზვის განზოგადების საფუძველია. ფანტაზიის როლი მხატვრულ შემეცნებაში მრავალმხრივი და არსებითი მნიშვნელობისაა, თუმცა მისი უარყოფა შეუძლებელია ყველაზე ზუსტ მეცნიერებაშიც კი.

მხატვრული შეთხზვა
შემოქმედებითი წარმოსახვის სპეციფიკური საფუძველია, მხატვრული ფანტაზიის ძირითადი თვისება, იგივე ნიშანი და სახის შექმნის საშუალებაა. დეკადენტურ მიმდინარეობაში თვითმიზნურ ხასიათს ატარებს, ხოლო საერთოდ, განსაკუთრებით კი რეალისტურ ლიტერატურაში, მოვლენების ღრმა შესწავლასა და განზოგადებას ემყარება.

მხატვრული ხასიათი
ადამიანის სახე მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც წარმოდგენილია ზოგადის და ინდივიდუალურის, ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის გათვალისწინებით.

=6=

ნაკვესი
პუბლიცისტური სინაარსის იუმორისტული ჟანრი, მოკლე, გონებამახვილური, მოსწრებული ხუმრობა. ნაკვესების უმეტესობა მომხდარი ფაქტების ანარეკლია, რომელსაც ახლავს მკვეთრი და გამიზნული, იუმორით სავსე სატირა.

ნაზურა
ლიტერატურული მიბაძვის ფორმა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მიბაძვა გულისხმობს სალექსო საზომის, რითმი შენარჩუნებას.

ნარატიული ლიტერატურა-თხრობითი ლიტერატურა.

ნარატოლოგია-თხრობის თეორია.

ნარატორი-იხ. *მთხრობელი*

ნარკვევი
დოკუმენტურ-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, უსიუჟეტო ან მარტივსიუჟეტიანი. ნარკვევში შეზღუდულია ავტორის ფანტაზია, წარმოსახვადა გამონაგონის როლი.

ნატარია
თხრობა და თემატური მასალის გადმოცემის სხვა სტილისტურ-კომპოზიციური საშუალებები: აღწერა, გადმოცემის მონოლოგური და დიალოგური ფორმები და სხვ.

ნატურალიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა, ცხოვრების მოვლენებს და რეალობას ასახავდა დეტალურად და შეუფარავად; ზუსტად და ობიექტურად აღწერდა ადამიანის ხასიათს, მისი ყოფა-ცხოვრების დეტალებს და ფსიქიკის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს. ნატურალისტებისათვის დამახასიათებელია არა შთაგონება, არამედ გრძნობების გაანალიზება.

ნატურიზმი
XIX საუკუნის 90-იანი წლების ფრანგი პოეტების დაჯგუფების ესთეტიკური პროგრამა. გამოვიდნენ სიმბოლიზმის წინააღმდეგ, ამავე დროს უპირისპირდებოდნენ ნატურალიზმსაც.

ნახევარტაეპი-იხ. *მუხლი*

ნეკროლოგი
მოკლე ბიოგრაფია რომელიც დაწერილია ამა თუ იმ პიროვნების გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ნეკროპოლი
ანტიკურ სამყაროში ლამაზად აშენებული და გაფორმებული სამარხი, სასაფლაო, რომელიც ზოგჯერ ქალაქს ემსგავსება. ამ ცნებას როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ნეოკლასიციზმი
მიმდინარეობა, რომლისტვისაც დამახასიატებელია ანტიკური ეპოქის, აღორძინებისა და კლასიციზმის ტრადიციებისაკენ მიბრუნება. წარმოიშვა XIX-XX სს. მიჯნაზე.

ნეოლოგიზმი
ენაში დამკვიდრებული ახალი სიტყვები, გამოთქმები ან სიტყვათა ახალი მნიშვნელობები. ნეოლოგიზმი მხატვრულ ენაში ხელს უწყობს გამომსახველობას, მხატვრული სახის ზუსტ დახასიათებას. დანისნულების მიხედვით განარჩევენ ორი სახის ნეოლოგიზმს: 1. ნეოლოგიზმი, რომელიც გარკვეული მხატვრული კინტექსტისათვის სეიქმნა და მის გარეშე აზრი ეკარგება; 2. ნეოლოგიზმი, რომელიც მხატვრული ლიტერატურიდან შემოვიდა საერთო-სახალხო ენაში და შეინარჩუნა ხატოვანება, ექსპრესიულობა და კავსირი პირვანდელ კონტექსტთან.

ნეომოდერნიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის მხატვრული კონცეფცია განსაზღვრა პირველი და მეორე მსოფლიო ომისტრაგედიამ , რამაც შეარყია ბედნიერი ცხოვრების ადამიანური იმედები და ეჭვქვეშ დააყენა თვიტ ადამიანის კეთილგონიერება; ხოლო რაკი ადამიანი ვერ უმკლავდება წუთისოფლის ზეწოლას, მხატვრულ ცნობიერებას ეუფლება სფოთვა და მღელვარება. ამიტომ ნეოლოგიზმის ყველა მხატვრული მიმართულება(დადაიზმი, ექსპრესიონიზმი,სიურეალიზმი, ცნობიერების ნაკადის ლიტერატურა) ამკვიდრებს მღელვარებითა და პესიმიზმით მოცული პიროვნებისა და სამყაროს კონცეფციას.

ნეორომანტიზმი
რეაქციული რომანტიზმის ახალი სახიტ აღორძინების, რეალიზმის წინააღმდეგ მიმართული იდეური შინაარსის გამომხატველი მიმდინარეობა ლიტერატურაში. იგი წარმოიშვა მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყიში.

ნექტარი

ტერმინი პოეზიაში გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება, რომლის ქვეშ იგულისხმება სიამოვნების მომნიჭებელი პოეტური ნაწარმოები. ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა ძველბერძნული მითოლოგიური რწმენით უკავშირდება ღმერთების სასიამოვნო სასმელს.

ნოელი-იხ. *სტროფი*

ნოვატორი
განმაახლებელი, გადამხალისებელი __ მეცნიერებაში, ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში სიახლის შემომტანი. (უდიდესი ნოვატორი - შოთა რუსთაველი, სამოციანელები, მთელი ეპოქის შემქმნელები ქართულ მწერლობაში.)

ნოველა
პროზაული ჟანრის მცირე ფორმა, მარტივი სიუჟეტის მქონე ეპიკური ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსიც აქცენთი გადატანილია ლაკონურ და დინამიკურ თხრობაზე, ასახავს ადამიანის ცხოვრების ერთ კონკრეტულ ეპიზოდს ან ასპექტს; აქვს მოულოდნელი ფინალი და გამოირჩევა ყოფითი დეტალებისა და პერსონაჟთა უკიდურესი სიმცირით.

ნონა-იხ. *სტროფი*

ნონსენი
მოჭორილი ამბავი, სიცრუე. ლიტერატურათმცოდნეობაში ხმარობენ ამ ცნებას ყოვლად გაუმართლებელი აშკარა ტყუილის მისათითებლად.

ნორიტო
ძველი იაპონური ლიტერატურული ჟანრი; მაგიურ მოძრაობათა თანხლებით შესასრულებელი ლოცვა. დამახასიათებელია სატრფიალო, საქორწილო და რელიგიური თემატიკა. ნორიტო შუალედური საფეხურია ლექსსა და რიტმულ პოეზიას შორის.

ნოტაბენე
შენიშნე კარგად, მიაქციე ყურადღება -ამ ტერმინის გამომსახველი ნიშანია N B და მიაწერენ ტექსტს ისეთ ადგილას, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამ ნიშანს იყენებენ როგორც მეცნიერულ შრომებში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში, ლიტერატურათმცოდნეობაში.

=ო=

ობიექტივიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა; გამორიცხავს ავტორის ყოველგვარ სუბიექტურ მსჯელობას; ინტერესდება საგნებს შორის კავშირით და ცდილობს იმგვარი კუთხით წარმოაჩინოს, რომ ნათელი გახადოს მათ შორის აქამდე დაფარული კავშირები. ობიექტივიზმი ობიექტურ რელობაში ხდის ფარდას შეუმჩნეველ ან შეგნებულად დაფარულ კავშირებს და ინტერესდება რეალობის სიმბოლური კავშირებით.

ოდა
ლირიკული პოეზიის ჟანრი; საზეიმო, პათეტიკური, მაღალი სტილის რიტორიკული ლექსი.

ოთხთავი
ძველი ქართული სახელწოდება სახარებისა, რომელშიც თითოეული სახარება ცალკე ტავად არის წარმოდგენილი.

ოთხტაეპიანი სტროფი-იხ. *სტროფი*

ოთხ-ხუთი ლექსი
ოთხ-ოთხი ტაეპისაგან შემდგარი ხუთსტროფიანი ლექსი. ასეთ ლექსში რითმა სამი პირველი ტაეპისა ერთნაირია, მასთან პირველი ტაეპი შინაგანრითმიანია, მეორე და მესამე გარეგანი-ბოლო კიდური. მეოთხე ტაეპი რეფრენია, ყოველთვის ერთნაირი რითმა აქვს და მეტრულად განსხვავდება სხვა ტაეპებისაგან.

ოთხჯერადი რითმა-იხ. *რითმა*

ოკაზიონალური
სიტყვის უჩვეულო მნიშვნელობა(მაგ., ,,ამსიყვითლე", დილისპირული" და მისთ.).

ომონიმები
განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის, მაგრამ ერთნაირი ჟღერადობის მქონე სიტყვები.

ომონიმური რითმა-იხ. *რითმა*

ონეგინის სტროფი
ა. პუშკინის მიერ შექმნილი 14-ტაეპიანი სტროფი; შედგება 3 კატნერისა და მრჩობლედისაგან. პირველ ოთხ ტაეპს ჯვარედინი რითმა აქვს(ქალური და ვაჟური), მომდევნოს-მოსაზღვრე(ორი ქალური, ორი ვაჟური), მესამე კატრენს-რკალური(ორი ვაჟური და ორი ქალური), ბოლო ორ სტრიქონს-მომიჯნავე(ვაჟური).

ორატორული ხელოვნება-(იხ. რიტორიკა)

ორგია
ძველ ბერძენთა საზეიმო დღე, დღესასწაული ღვინისა და მხიარეულების ღვთაების პატივსაცემად. მხატვრულ ლიტერატურაში ეს ტერმინი უზნეობის ხაზგამსმელი მხატვრული სახის წარმოსაჩენად იხმარება.

ორიგინალი
ამოსავალი ტექსტი თარგმანში

ორმარცვლიანი საზომები-იხ. *საზომი ლექსისა; ლექსთწყობა*

ორნამენტი
ორნამენტი ნიშნავს მხატვრულ გამშვენიერებას, მხატვრულ ჩარჩოს. ეგ ჩარჩო შეიძლება აზრისათვის იყოს ლამაზი სიტყვა, სხარტი და ემოციური ენა, ნაწარმოებისათვის-კომპოზიციური ჩარჩო, სიუჟეტური ორნამენტი. ორნამენტულია ხშირად წიგნი, მისი სხვადასხვა თავი, აბზაცის დაწყება. ორნამენტშია ჩასმული ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებსი მთავრული ასო.

ორტაეპიანი სტროფი=იხ. *სტროფი*

ორჯერადი რითმა-იხ. *რითმა*

ოქსიტონონი
მახვილი ცეზურის წინ პირველ და მესამე მარცვალზე.

ოქსიმორონი
სტილისტიკური ხერხი, ტროპის სახე; ემყარება ერთმანეთთან ,,შეუთავსებელ", ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა დაკავშირებას, კონტრასტული ნიშნის გადატანას, რითაც ახალი ცნება ან ახალი წარმდგენა იქმნება.

ოქტავა-იხ. *სტროფი*

ოქტიოხოსი
ჰიმნთა კრებული, რომელშიც მოთავსებული იყო შვიდეულის დღეთა საგალობლები.

=პ=

პათეტიკური
ეს ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს აწეულ განწყობილებას, მარალ მგრძნობელობას, მრელვარებას. პათეტიკურობა ლიტერატურაში შეიძლება გამოხატული იყოს ერთი მომენტითაც.

პათეტიკური მეტყველება
გამოსახვის ხერხი, ცხოვრების სინამდვილის მაღალი განცდებითა და აწეული ტონით გადმოცემის სიტყვიერი ფორმა. პათეტიკური მეტყველება მწერლისა და პერსონაჟის მაღალი განწყობილების პოეტური გამოვლენის ფორმის აღმნიშვნელია ლიტერატურათმცოდნეობაში.

პათოსი
ნაწარმოების ზოგადი ემოციური ტონალობა, მწერლის ემოციურ-შემფასებლური დამოკიდებულება მონათხრობის მიმართ, რომელსაც ზოგჯერ „მსოფლმხედველობით ემოციებსაც" უწოდებენ. პათოსი შეიძლება იყოს რომანტიკული, ტრაგიკული, კომიკური, გმირული, დრამატული და სხვ.

პალეოგრაფია
მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველ სამწერლო გრაფიკულ ნიშნებს, ასოთა მოხაზულობის ისტორიულ პროცესს, ზოგადად დამწერლობათმცოდნეობას. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია ივანე ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია".

პალიმფსესტი
პერგამენტზე დაწერილი ხელნაწერი, რომელიც შემდეგ წაშალეს და ახალი გადააწერეს.

პალინდრომი
სიტყვა, ფრაზა ან ლექსი, რომელც წაღმა და უკუღმა ერთნაირად იკითხება(მაგ., „აი რა მზის სიზმარია,/აირევი, ივერია...).
პალიტრა
თხელი ფიცარი, რომელშიც მხატვრები აზავებენ საღებავებს. ცნება გადატანითი მნიშვნელობით გამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობაა მხატვრის, კომპოზიტორისა და მწერლის

შემოქმედებაში. ლიტერატურათმცოდნეობაში იგი იხმარება ხელოვანის ოსტატობის მრავალფეროვნებაზე მისათითებლად და სხვა.

პამფლეტი
პოლემიკურ აგრესიული ტონის სატირული თხზულება, ძირითადად, პუბლიცისტური ხასიათისა.

პანეგირიკი
ვინმეს ან რამეს გადამეტებული ქება.

პანორამა
ცნება ლიტერატურაში დიდი სურათის მნიშვნელობით იხმარება. მაგ. ბუნების პანორამა, ქალაქის პანორამა, ცხოვრების პანორამა და სხვა.

პანტორითმა-იხ. *რითმა*

პანჩატანტრა
ინდური ზღაპრების, იგავ-არაკთა და თქმულებების ცნობილი კრებული, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

პარაბოლა
იგავი, ქარაგმა; ალეგორიული ნათქვამი.

პარადიგმა
ლიტმცოდნეობაში რომელიმე იდეის, აზრის შეხედულების ერთ ვარიანტად გაშვება.

პარადოქსი
1. აზრი, მსჯელობა მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც საერთო შეხედულებას არ ეთანხმება(მაგ., *„დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა“*); 2. აზრი, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით გარეგნულად გვეჩვენება უმართებულოდ, მაგრამ როცა დავაკვირდებით, ჭეშმარიტია(მაგ., *„ რასაცა გასცემ - შენია, რაც არა - დაკარგულია“*).

პარაკლიტონი-იხ. *ოქტიოხოსი*

პარალელიზმი
დამოუკიდებელი, თანაბარი მნიშვნელობის მოვლენების, საგნების, სიტუაციების შეფარდება-დაპირისპირება, რაც გამოიხატება ტექსტის მოსაზღვრე მონაკვეთებში ერთი და იმავე ან მსგავსი ლექსიკურ-სინტაქსური ხაზის, რიტმული წყობისა და სხვ. განმეორებით. შესაბამისად, განასხვავებენ სინტაქსურ პარალელიზმს, კომპოზიციურ პარალელიზმს, რიტმულ პარალელიზმს და სხვ. პირდაპირი პარალელიზმის გარდა არსებობს უარყოფითი პარალელიზმიც, რომლის პირველი ნაწილი უარყოფითი შინაარსისაა (მაგ., „ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,/ ნუ ვინ ჩივის თავის უთვისტომობას,-/საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:/ ძნელღა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!“).

პარალელური თარგმანები
ერთი ნაწარმოების ორი ან მეტი თარგმანი ერთ ენაზე.

პარალელური რითმა-იხ. *რითმა*

პარატექსტუალობა

ტექსტის დამოკიდებულება თავის სათაურთან, ეპიგრაფთან, წინასიტყვაობასთან და სხვა ელემენტებთან.

პარაფრაზი
ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტის ან მისი ნაწილის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით; სხვათა სიტყვების ახლებური განლაგება, გამოყენება.

პარნასი
1. პოეტური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს გრძნობებს და უპირატესობას ანიჭებს უპიროვნობას, არაპერსონალურობას (პოეტი არ უნდა უმღეროდეს საკუთარ „მე“-ს); პოეტი არ უნდა მიენდოს მხოლოდ შთაგონებას, არამედ უნდა იმუშაოს ფორმაზე; პოეტი უნდა ეძიებდეს მარადიულ, იდეალურ, აბსოლუტურ მშვენიერებას; 2. გადატანითი მნიშვნელობით ლიტერატურაში იგი იხმარება, როგორც შემოქმედების ძნელად მისაღწევი საფეხურის მინიშნება, პოეტური ნიჭის გაფურჩქვნის სიმბოლო, პოეზიის სამყარო საერთოდ.

„პარნასელები“
პოეტთა დაჯგუფება მე-19 საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში. მათს სამწერლო მოღვაწეობის შინაარსს განაპირობებს სინამდვილიდან გაქცევა პოეზიის პარნასზე, ანუ ცხოვრების ყოველდღიურობის უარყოფა, ადამიანის სიძულვილი - ეგოიზმი; დაბოლოს, ადამიანი არარაობაა- ნაწარმოები ყველაფერია. მწერლობის მაგიურ ძალად გამოცხადებულია რითმა. ბგერა, ფორმა, ბგერისა და სიტყვის თამაში - აი, პოეზიის აზრი.

პაროდია
ლიტერატურილ-მხატვრული იმიტაციის ჟანრი; ლიტერატურული მიმდინარეობის ან მიმართულების, ცალკეული ავტორის, ლიტერატურული სტილისა ან რომელიმე ნაწარმოების იმიტაცია მათი დაცინვისა და დისკრედიტაციის მიზნით, რიტაც განსხვავდება პერიფრაზისაგან.

პაროქსიზმი
რომელიმე გრძნობის მძაფრად, მაგრამ ემოციურად გამოხატვის ფორმა მხატვრულ ლიტერატურაში. პაროქსიზმი ენათესავება გრადაციას.

პაროქსიტონაცია
ტაეპის დამოლოება ბოლოდან მეორე მარცვალზე მახვილის მქონე სიტყვით.

პარცელაცია
სიტყვისათვის მეტი ექსპრესიის მისაცემად მხატვრულ ნაწარმოებში ფრაზის დანაწილება ცალკე სიტყვებად.

პასიური რეცესია
მკითხველთა ფართო მასების არქმა.

პასკვილანტი
ცრუ, დამბეზღებელი, შეურაცხმყოფელი, დაუმსახურებლად შემგინებელი ხასიათის ნაწარმოების მთხზველი.

პასკვილი
ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს განგებ შეთხზულ ცილისმწამებლურ დაცინვას რომელიმე პიროვნების (ჯგუფის, ორგანიზაციის) წინააღმდეგ.
პასტორელა-ლირიკული ნაწარმოები, რომელიც ყველაზე მეტად ატარებს ხალხურ ნიშნებს.

პაუზა-შესვენება მეტყველებაში. არსებობს პაუზის ორი სახეობა: აზრობრივი პაუზა და რიტმული პაუზა. პირველი ყოველგვარ მეტყველებაში გვხვდება, მეორე - მარტოოდენ ლექსში. რიტმული პაუზა აძლიერებს სიტყვის ინტონაციურ დამოკიდებულებასა და მეტყველების ემოციურ დაძაბულობას.

პასტიში
პაროდიის რედუცირებული ფორმა, ზველი ხელოვნების იმიტაციის ათასნაირი ნარევი.

პასტორალი
ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი, მწყემსური მშვიდი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოები, მწყემსური ლექსი მოთხრობა, დრამატული სცენა. ცნება ლათინური წარმოშობისაა და მწყემსური პოეზიის სინონიმურია.

პატერიკი
მამათა ცხოვრებანი. აგიოგრაფიული კრებულების შედგენისას მამათა ცხოვრებებს ზოგჯერ ცალკე წიგნად გამოჰყოფდნენ ხოლმე.

პაუზა
ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს.

პეგასი
გადატანითი მნიშვნელობით ლიტერატურაში იხმარება მეტაფორული გამოთქმა „შეკაზმე ცხენი“, რაც მინიშნებაა პოეტური აღმაფრენის, პოეტური შემოქმედების დასაწყისისა.

პეიზაჟი
მხარვრულ ნაწარმოებში ბუნების სურათის აღწერა, რომელიც შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული სიუჟეტის განვითარებასთან ან საერთოს არ იყოს მასთან კავშირში(ლირიკული პეიზაჟი), ჰქონდეს სიმბოლური მნიშვნელობა, ემსახურებოდეს პერსონაჟის ემოციების გამოხატვას და სხვ.

პეონი-იხ. *ლექსთწყობა*

პერგამენტი
დასაწერად გამზადებული, საგანგებოდ დამუშავებული ტყავი. ქაღალდის დამუშავების პროცესის მიგნებამდე უპირატესი საწერი მასალა იყო პერგამენტი. სახელწოდება მომდინარეობს იმ ქალაქის (პერგამა) სახელწოდებიდან, სადაც მას ამზადებდნენ.

პერიოდი
სინტაქსური ფორმა, რომელშიც მოვლენის გამოსახვის საშუალებად რთული ან გავრცობილი წინადადებები არის გამოყენებული. პერიოდის საშუალებით ადვილი ხდება რთული მოვლენის გამოხატვა და თვით წინადადებაც მაღალ კეთილხმოვანებას აღწევს. პერიოდი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. **მარტივი პერიოდია**: „რა ესმოდა მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“. **რთული პერიოდია**: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,/ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცითმონაბერითა,/ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,/მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. **რთული პერიოდის** სახეებია: **ადგილის გარემოებითი**(„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,/სად მამა–პაპა

მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი;/სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი”); **დროის გარემოებითი(**„როცა კი გაზაფხულდება, გამოიღვიძებს ქვეყანა,/სილაღე, სიმხიარულე დასეინობენ ყველგანა,/გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი ეკონებიან მწვანესა,/მინდია გაფაციცებით სულ მიმოივლის მთა–ველსა”); **მიზეზის გარემოებითი (**„ერთმა უგნურმა თაგუნამ,/იუკადრისა თაგვობა,/დასწყევლა თვისი გაჩენა,/ბუნების იწყო მან გმობა./ამ უსამართლო ბუნებამ,/თაგვად რად გამაჩინაო?/მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,/მან ჭერქვეშ მომცა ბინაო”); **მიზნის გარემოებითი(**„დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,/რომ ერისა მოძმე ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში”); დაპირისპირებითი(„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,/არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა”); **შედარებითი(**„ვით მამალი სხვის მამალსა, დამტერდეს და წაეკიდოს,/მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,/რა ორივე დაღალული ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს,/ეგრე ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!”); **დათმობითი**(„დაე, რისხვით ცამ იჭექოს, ელვამ გაჰკრას არე–მარეს,/ცა განრისხდეს, დაბლა ბარზე უგზავნიდეს ნიაღვარებს,/დაე, ბუი, გაჰკიოდეს, სდარაჯობდეს წყვდიად ღამეს,/გველ–ბაყაყნიც აიშალნენ და მოედვნენ არე–მარეს, –/მაინც ველით განთიადსა, განიბნევა ღამე ბნელი,/მზის სხივებზე აყვავდება, შეიმკობა მთა და ველი”); **პირობითი(**„ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,/სასხლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,/არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია”).

პერიპეტია

უეცარი ცვლილება, მოვლენათა მიმდინარეობის, გარდატეხის მომენტი ეპოსში, დრამაში.

პერიფრაზი

1. სტილისტიკური ხერხი, როცა რამდენიმე სიტყვით გამოიხატება ის, რაც ერთი სიტყვით შეიძლებოდა თქმულიყო; საგნის, ცნების, მოვლენის, თვისების პირდაპირი დასახელების ნაცვლად მრავალსიტყვაობით, მთელი წინადადებით აღწერა; გადაკვრით ან მინიშნებით ნათქვამი სიტყვა, თქმა. 2. ცნობილი ნაწარმოების ანალოგიური ფორმის სექმნა, გაშინაარსება... სხვა ავტორის ტექსტის თხრობა იუმორისტული ან სატირული მიზნით.

პერსონაჟი

ლიტერატურულ-ეპიკური ჟანრის თხზულებათა მოქმედი პირი. ლირიკაში, სადაც პოეტის სულიერი განცდების გამოხატული, პერსონაჟს ცვლის ლირიკული გმირი. პერსონაჟი როგორც სუბიექტის აღმნიშვნელი ტერმინი, უპირისპირდება „ ლირიკული გმირის“ ცნებას, რომელიც განცდის სუბიექტს აღნიშნავს. თავისი ფუნქციის მიხედვით პერსონაჟი შეიძლება იყოს მთავარი და მეორეხარისხოვანი. პერსონაჟი, როგორც ზოგადი გვარეობითი ცნება, მოიცავს კერძოობით დეფინიციებს: გმირი, ხასიათი, ტიპი.

პერსონაჟის ენა

მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი პირის ენა, სტილი, მეტყველება.

პერსონიფიკაცია

მხატვრული გამოსახვის საშუალება, ტროპის სახე. უტყვი არსებების, უსულო საგნებისა თუ აბსტრაქტული მოვლენების გაპიროვნება, მათთვის ადამიანური ნიშან-თვისებების მიწერა. რამდენადაც პერსონიფიკაცია თვისების გადატანას გულისხმობს, მას მეტაფორის თავისებურ სახედაც მიიჩნევენ.

პესიმიზმი

ისეთი სულიერი განწყობილება, იდეური მიდრეკილება ლიტერატურაში, რომლის საფუძველზე სინამდვილე დანახულია უკმაყოფილებისა და უიმედობის თვალით.

პიანისიმო
რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების პიანოზე ხმადაბლა, ძალიან ნაზად და სასიამოვნოდ შესრულება. ეს ტერმინი მწერლობაში, ლიტერატურათმცოდნეობაში გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. კ. გამსახურდიამ ალ. აბაშელის მაღალპოეტური ხმა ასე წარმოადგინა: *„...უნიჭო მომღერლები ბღავიან და ხავიან, ხოლო მომღერალთა შორის ისეთნი, რომელთაც ბულბულისებური ყელი აქვთ, პიანისიმოს მღერიან.“*

პიესა
დრამატული ნაწარმოები სცენაზე წარმოსადგენად.

პირაპირი
მხატვრული გამოსახვის საშუალება. ბგერათკომპლექსის, სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამეორება ლექსის ერთი ტაეპის ან სტროფის დასასრულსა და მომდევნოს დასაწყისში(მაგ., „ასეთია ნაზი **ბედი,/ბედი** რჩეულ ფერის...“).

პირდაპირი დახასიათება
გმირის უშუალო დახასიათება ავტორის, ან სხვა მოქმედი პირის მიერ.

პირდაპირი ნათქვამი
ავტორის მეტყველებაში ვისიმე ნათქვამის ციტირება.

პირდაპირი ექსპოზიცია-იხ. *ექსპოზიცია*

„პირველი დასი“-იხ. *თერგდალეულები*

პირობითი პერიოდი-იხ. *პერიოდი*

პირობითობა
ლიტერატურის დამახასიატებელი ნისანი. როდესაც ვკითხულობთ შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანს და ვამბობთ:,,ვკითხულობ სექსპირს“, ვიცავთ გარკვეულ პირობითობას-ქართულ თარგმანს ვაიგივებთ ოპიგინალთან.

პლაგიატი
სხვისი ლიტერატურული ნაწარმოების თავისად გამოცხადება. პლაგიატი __ ლიტერატურული ქურდი.

პლეონაზმი
ზედმეტი სიტყვების ან გამოთქმების ხმარება ამა თუ იმ მოვლენის გამოსახატავად.

პოეზია
1. სიტყვებით გამოხატული მხატვრული შემოქმედება, რომელიც სახეების საშუალებით ასახავს სინამდვილეს; 2. რიტმულად მოწესრიგებული მეტყველება, ლექსები; 3. რომელიმე ხალხის, ეპოქის პოეტთა ჯგუფის ან პოეტის ლექსთა ერთობლიობა.
პოემა-ეპიკური ან ლირო-ეპიკური ჟანრი, ლექსად დაწერილი საშუალო ფორმის ნაწარმოები.

პოემა

თხრობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები ლექსად.

პოეტი
შემოქმედი, ლექსთა მთხზველი.

პოეტიკა-იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა*

პოეტიკური სტილისტიკა
პოეტიკის დარგი, რომელიც სწავლობს ექსპრესიული მეტყველების საერთო ბუნებას, კერძოულ ხასიათს, თავისებურებას.

პოეტური ენა
სახეობრივი, სურათოვანი, ემოციური მეტყველება ზოგადად.

პოეტური თვითნებობა
მწერლის მიერ ლექსთწყობის წესების დარღვევა. მხატვრულ ნაწარმოებში, უმთავრესად ლექსში, ზოგჯერ სიტყვები შეკვეცილად არის ნახმარი, ზოგჯერ წინასწარი განზრახვით შეგნებულად არის გამოყენებული არალიტერატურული სიტყვები და გამოთქმები(მაგ., „ან შენ მაშინ რა იცოდი,/ან შენ გიჟმა რა იცოდა?”).

პოეტური ლექსიკა
მოიცავს განსხვავებულ სიტყვიერ მასალას: სტილისტურად შეფერილი ავტოლოგიური სიტყვებიდან(არქაიზმი, ნეოლოგიზმი, დიალექტიზმი, ჟარგონი..) ტროპებამდე(ეპითეტი, მეტაფორა, სედარება..).

პოეტური მიმართვა
სტილისტიკური ხერხი, როცა განწყობააწეული მწერალი მიმართავს თავის პერსონაჟს, რომელიმე საგანს, მოვლენას, ბუნების ძალებს ან საკუთარ თავს, რითაც მკითხველზე ახდენს ღრმა შთაბეჭდილებას და იწვევს მისი განწყობილების აწევას, მაღალ ემოციებს.

პოეტური სემანტიკა
პოეტიკური სტილისტიკის მტავარი შემადგენელი ნაწილი, რომელიც სიტყვის არაპირდაპირი ანუ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების სპეციფიკას, ხასიათს შეისწავლის.

პოეტური სინტაქსი
1. წინადადების თავისებური აგებულება აზრის მხატვრულად გამოსახვის მიზნით (მაგ., „*ატირდა ხარი ნიკორა/მარგალიტისა ცრემლითა*”); 2. როცა ერთ პოლუსზე მოთავსებულია წინადადების გაფორმების ნორმატიული საშუალებები, ხოლო მეორე პოლუსზე-სინტაქსური ფიგურები(*ინვერსია, გრადაცია, რიტორიკული მიმართვები და სხვ.*).

პოეტური ფიგურა
პოეტური სინტაქსის ერთ-ერთი სახე, სტილისტიკური ხერხი, მხატვრული გამოსახვის საშუალება, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ნავარაუდევი. პოეტური ფიგურის ყველა თავისებურება თავს იჩენს სიტყვათა ტონსა და ემოციურ იერში. პოეტური ფიგურა რამდენიმე სახითაა წარმოდგენილი: *ინვერსია, ინტონაცია, პოეტური შეკითხვა, პოეტური შეძახება, პოეტური მიმართვა, პოეტური შენყვეტა ანუ შეჩერება*(იხ. აღნიშნული სიტყვები).

პოეტური შეკითხვა

პოეტური შეკითხვის თავისებურება ისაა, რომ იგი პასუხს არ მოითხოვს, შემკითხველი კმაყოფილდება კითხვის დასმით, ან შეკითხვა ისეთ კონტექსტშია, რომ საჭირო არ არის პასუხის გაცემა, ზოგჯერ პასუხს თვითონ მწერალი აძლევს.

პოეტური შეძახება
ისეთი შეძახება, რომელიც აზრს, განცდას, განწყობილებას ძახილის წინადადების ფორმაში გამოხატავს. ინტონაციის ამ სახის გამოყენება პოეტს აძლევს შესაძლებლობას, უფრო მეტად იმოქმედოს ადამიანის განცდაზე, გააძლიეროს შთაბეჭდილება.

პოლემიკა
ძველი ქართული მწერლობის დარგი. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებასთან. პოლემიკის მიზანი იყო არაქრისტიანულ რელიგიათა და თვით ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილ მწვალებლურ მოძღვრებათა გაბათილება.

პოლიმეტრია
მრავალზომიანობა - პოეტური მეტყველების ისეთი ფორმა, როცა ერთ ლექსში სხვადასხვა სალექსო ზომაა ხმარებული.

პოლინდრომი
ლექსის ხელოვნური, უჩვეულო ფორმა, რაც ნიშნავს იმას, რომ სიტყვა ტაეპში ხშირად განლაგებულია საპირისპირო რიგით. ასეთ ლექსში წინადადება ერთნაირად იკითხება მარჯვნიდან და მარცხნიდანაც(მაგ., *„ატამი ითესა, ასეთი იმატა“*).

პოლიპტოტონი
ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმით განმეორება წინადადებებში მის შინაარსზე ყურადღების გასამახვილებლად (მაგ., *„მხოლოდ **თქვენ** სიტყვებთ/**თქვენვე** ინანებთ/**თქვენსვე** გულს უკბენს ასამართლობა!“*).

პოლისემია
მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა, საფუძვლად უდევს ტროპის სხვადასხვა სახეს.

პოლისინდეტონი
მრავალკავშირიანობა _ გრამატიკული კავშირის თავმოყრა წინადადებაში, იხმარება მეტყველების შესანელებლად. (მაგ. „ხან სროლა ქუხილნაირი, / ხან რხევა სამაისარი, / ხან საკვნესარი დაირა, / ხან ჩანგი მოდაისარი“).

პომპეზი(პომპა)
საზეიმო სვლა __ სანახაობა, გრანდიოზული ვითარება, თვალისმომჭრელი გარეგნული ბრწყინვალება მნახველის ყურადღების მისაქცევად. პომპეზის ხერხს ზოგჯერ მიმართავს ზოგიერთი მწერალიც, ამიტომაც ეს ცნება ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარება.

პოპკულტურა
ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთობლიობა, რომელიც მისაღებია ხალხის ფართო მასებისთვის და შეუძლია მოიტანოს კომერციული მოგება(ჩვეულებრივ, პრიმიტიულია და აგებულია საზოგადოებრივი შტამპების მიხედვით).

პორნოგრაფია

ლიტერატურულ სიტყვახმარებაში პორნოგრაფია აღნიშნავს თავშეუკავებელ ვნებიანობას, სქესობრივი ცხოვრების შიშველ აღწერას.

პორტრეტი
მოქმედი პირის გარეგნობის, სახის, ტანსაცმლისა და მოძრაობის აღწერა.

პორტრეტირება
ინდივიდუალური სტილის ინტონაციური მოდელის გადმოღება.

პორტრეტული დეტალი
პერსონაჟის გარეგნობის გამორჩეული შტრიხი, რომელიც მწერალს ეხმარება მისი შინაგანი სამყაროს გახსნასა და მისი გარეგნობის ორიგინალური ნიუანსის წარმოჩენაში.

პოსტკოლონიური ლიტერატურა
იმ ქვეყნის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც იყო და აღარ არის კოლონია.

პოსტმოდერნიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა. მისი ძირითადი ნიშნებია: ხელოვნების კომერციალიზაციისაკენ სწრაფვა, მასობრივ და ელიტარულ კულტურებს შორის ზღვარის წაშლა, კოლაჟური და დაშლილ-დანაწევრებული ტექსტები, ტაბუსა და საზღვრებზე უარის თქმა, ძველი ფასეულობების ირონიული გადაფასება, ჟანრების ჰიბრიდიზაციის ახალი ჟანრების შექმნა, ინტერტექსტუალობა, ციტატური აზროვნება.

პოსტსკრიპტუმი
ბოლოს მინაწერი, მას მოკლედ ასე წერენ __ P. S. პოსტსკრიპტუმს ნაწარმოების დამთავრებისა და ხელის მოწერის შემდეგ დაურთავენ ხოლმე: წერილს, სტატიას, მხატვრულ ნაწარმოებს.

პრელუდია
უპირველეს ყოვლისა, მუსიკალური ტერმინია, მაგრამ მაღალპოეტურ ნაწარმოებში იგი შესავალი პოეტური წინასიტყვაობაა.

პრეროგატივა
უპირატესობა, განსაკუთრებული უფლებამოსილება. ლიტერატურათმცოდნეობაში ამ სიტყვას ხმარობენ როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც.

პრესა
ლიტერატურაში პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა, იგულისხმება გაზეთი, ჟურნალი.

პრეციოზულობა
ლიტერატურული მიმდინარეობა, გამორჩეულობის სურვილი სამი მიმართულებით: ქცევა, ჩაცმულობა და მეტყველება. პრეციოზები დაუპირისპირდნენ არსებულ მენტალიტეტსა და წეს-ჩვეულებებს, მიზნად დაისახეს მათი „გაკეთილშობილება“. ისინი უარყოფდნენ ფულსა და ამბიციებს და ოცნებობდნენ პირველყოფილ, უცოდველ ცხოვრებაზე.

პროდუქციული რეცეფცია
ლიტერატორებისა და მწერლების არქმა.

პროვინციალიზმი

1. კუთხური(არალიტერატურული) სიტყვის ან კილოკავის გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში; ლიტერატურაში იხმარება ადგილობრივი კოლორიტის დასაცავად და მწერლები საგანგებოდ მიმართავენ მას. პროვინციალიზმის ხმარება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟის საუბრისთვის. (მაგ. ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მწერლისა და ლელთლუნიას დიალოგი). 2. ლიტერატურული ჩამორჩენილობა, ვიწრო ინტერესებისა და დაბალი გემოვნების მაჩვენებელი მოძველებული მოტივები, უადგილო პოეტიზმები, შეუსაბამო მაღალფარდოვნება და ა.შ.

პროზა
სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი ფორმა. ლექსიკური(პოეტური) ფორმისაგან განსხვავებით, პროზა თავისუფალია რიტმის, როგოეც სისტემისა, და რითმისაგან. პროზის მხატვრულობა მიიღწევა მეტყველების ინდივიდუალიზაციით, სიუჟეტის განვითარებითა და თხრობის თავისებური(არალექსური) რიტმულობის შექმნით.
პროზაიზმი
მხატვრულ ნაწარმოებებში სასაუბრო ან სამეცნიერო მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმების გამოყენება; ლექსში პროზაიზმის ინტონაციის შემოტანა.

პროზაიკოსი
პროზაული ნაწარმოების მთხზველი.

პროზაული
თხრობის ფორმით დაწერილი მხატვრული ნაწარმოები (*რომანი, მოთხრობა, ნოველა და სხვ.*).

პროზოპოპეა-იხ. *პერსონიფიკაცია*

პროზოსტიქი-იხ. *ლექსი პროზად*

პროლოგი
ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი, რომელიც სიუჟეტის ნაწილს არ წარმოადგენს და მოქმედების განვიტარებასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. მასში გადმოცემულია გარკვეული თვალსაზრისი ნაწარმოებში წარმოსახული მოვლენების, მოქმედი პირებისა თუ ავტორის მიზანდასახულობის შესახებ.

პროსოდია
მახვილი, ბერძნულსა და რომაულ პოეტიკაში, მეტრული ლექსთწყობის სისტემის შემსწავლელი მოძღვრების ვერსიფიკაციის შემადგენელი ნაწილი.
(იხ. ვერსიფიკაცია)

პროტოტიპი
ნამდვილი, რეალურად არსებული პიროვნება ან ლიტერატურული ტიპი/სახე, რომლის მიხედვიტაც ავტორი ქმნის კონკრეტულ ახალ ლიტერატურულ სახეს. ავტორი გმირის პროტოტიპს მიმსრთავს გარკვეული მხატვრულ-ესთეტიკური მიზნიდან გამომდინარე და ეს ტიპი/სახე დიდად განსაზღვრავს პერსონაჟის ხასიათს.

პროფესიონალიზმი
გარკვეული პროფესიის მქონე ადამიანების მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც შუალედური ადგილი უჭირავს ტერმინსა და საყოველთაო ლექსიკას შორის. პროფესიონალიზმი ჟარგონის ნაირსახეობაა, თუმცა ყველა ჟარგონი არ არის პროფესიონალიზმი(მაგ., „ადამიანის მარჯვენა გამოუხატავს კედელზე ოსტატს. **გონიო** უპყრია მას“).

პუანტი
სტილისტიკური ხერხი, რომელიც გამოხატავს: იგავ-არაკის, ანეკდოტის ან ეპიგრამის მოსწრებულ, მახვილგონივრულ დაბოლოებას, აფორიზმით ან მოულოდნელი დასკვნით დასრულება.

პუბლიკაცია
1. ცალკეული ნაწარმოების, ნაშრომის გამოქვეყნება; 2. რომელიმე გამოცემაში გამოქვეყნებული ტექსტი.

პუბლიცისტიკა
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე, აქტუალურ საკითხებზე. არ ითხოვს მხატვრულ საშუალებებს.

პუბლიცისტური პოეზია
თანამედროვეობის აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე დაწერილი ლექსი, სადაც მწერლის მისწრაფება, საერთო იდეური ტენდენცია აშკარადაა გამოხატული(მაგ., ი. ჭავჭავაძის „*პასუხის პასუხი*“).

პურიზმი
სტილისტიკური ხერხი, ენის სიწმინდის დაცვისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში.

პროტაგონისტი
მთავარი, პირველი მოქმედი პირი/პერსონაჟი.

პწკარედული თარგმანი
სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელსიც დაცულია თარგმანის ენის ლექსიკურ-გრამატიკული ნორმები და რომლის ფუნქციაა, მკითხველს ზედმიწევნით ზუსტად გააცნოს ოპიგინალის შინაარსი.

=ჟ=

=ჟამგულანი-იხ. *გულანი*

ჟამნი
ლიტერატურული წიგნი, ლოცვათა კრებული.

ჟამისწირვა-იხ. კონდაკი.

ჟანრი
ლიტერატურული გვარის საკლასიფიკაციო კატეგორია, რომელიც ეფუძნება კონკრეტული ლიტერატურული გვარის წიაღში არსებულ ფორმალურ, შინაარსობლივ და სტილისტურ განსხვავებებს.

ჟარგონი

არანორმირებული პირობითი ენის გამოყენება იმ ადამიანთა მეტყველებაში, რომლებსაც საერთო ინტერესები და საზოგადოებრივი მდგომარეობა აერთიანებთ. მას ზოგჯერ საიდუმლო ენასაც უწოდებენ და მისი მნიშვნელობა ესმის მხოლოდ იმ ჯგუფს, რომელიც მას ხმარობს ჩადენილი სიავის დასაფარავად. ჟარგონი უპირატესად ლექსიკაში გამოიყენება.

ჟირში
სახალხო მთქმელი ყაზახეთში. ხალხური პოეტი ადგილობრივ ინსტრუმენტზე ამღერებს ლირიკულ ლექსებსა და ეპიკური ჟანრის ხალხურ გადმოცემებს, ლეგენდებს.

ჟურნალი
პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა მრავალფუნქციური წიგნის სახით. გაზეთისაგან განსხვავებით, რომელშიც სადღეისო ამბებია გაშუქებული, ჟურნალი მეცნიერული მიღწევების გაცნობასა და პოპულარიზაციას ემსახურებ

=რ=

რავი
მთქმელი, დეკლამატორი ძველ არაბეთში, ძველი დროის პოეტებს არაბეთში ჰყავდათ პირადი დეკლამატორი იგივე *რავი*, რომლებიც იმახსოვრებდნენ და ზეპირად გადასცემდნენ ნაწარმოებებს ჩაწერის აკრძალვის გამო.

რაინდული რომანი
რომანი, რომელიც აღწერს რაინდების თავგადასავალს.

რაფსოდი
მთქმელი, მოხეტიალე მომღერალი, „ხალხური სიმღერების“ შემსრულებელი ძველ საბერძნეთში.

რაფსოდია
ეპიკური პოემა. ხალხურ მელოდიაზე აგებული თავისუფალი ფორმის საკრავიერი ნაწარმოები. ფანტაზიისაგან განსხვავდება თემის გადმოცემის და დამუშავების მეტი თავისუფლებით, კონკრეტული ეპიზოდებით.

რეალია
ტარგმანთმცოდნეობაში სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგნის/მოვლენის ცნებას, რომელიც არსებობს ამოსავალი ენის მატარებლების პრაქტიკულ გამოცდილებაში და არ არსებობს თარგმანის ენის მატარებლების პრაქტიკულ გამოცდილებაში და ამიტომ არ აქვს ამ ენაში ეკვივალენტი.

რედაქცია
1. ხელნაწერის გასწორება, ლიტერატურული დამუშავება და მომზადება დასაბეჭდად; 2. გარკვეული სახით დამუშავებული ტექსტი; 3. აზრის ჩამოყალიბება გარკვეული სახით, ფორმულირება.

რეალიზმი
ლიტერატურული მიმართულება. სინამდვილის ობიექტური, მართალი ასახვა მხატვრული შემოქმედების ამა ტუ იმ სპეციფიკური საშუალებებით. რეალიზმი ვლინდება სხვადასხვა კონკრეტული ფორმით(განმანათლებლური, კრიტიკული, სოციალური). რეალისტი მწერალი წარსულში ეძებს პასუხს თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, ხოლო

თანამედროვეობას იაზრებს, მთელი წინა ისტორიული განვითარების შედეგს; გმირი, ერთი მხრივ, კონკრეტული დროის შვილია და, მეორე მხრივ, სოგადსაკაცობრიო ტიპი.

რეალისტური სახე
ისეთი სახე, რომელშიც სინამდვილე მართებულად არის გამოხატული.

რედიფი
არმოსავლურ პოეზიაში სიტყვა ან წინადადება, რომლითაც თავდება თითოეული ტაეპი რითმის გარეთ(მაგ., *,,გადავიდა შენი დრო,* საიათნოვა/*რაღად გინდა:,,ოხო-ხო",* საიათნოვა").

რევიუ
სათეატრო რეცენზიის ჟანრი. პიესის მიმოხილვა, ანალიზი.

რევოლუციის მატიანე - იხ. *მატიანე*

რეზიუმე
ნაშრომის, მოხსენების სტატიისა და მისთ. მოკლე შინაარსი.

რეკვიემი
პოეზიაში - სამგლოვიარო ლექსი

რელიგიურ-ფილოსოფიური კონფლიქტი
კონფლიქტი, რომელიც წარმოიქმნება რელიგიურ და ფილოსოფიურ ნიადაგზე, როდესაც მხატვრულ ნაწარმოებში ხდება სიკვდილისა და სიცოცხლის დაპირისპირება, ყოფიერების კარდინალური საფუძვლების, ადამიანის ბედის და სხვა საკითხების გააზრება.

რემარკა
დრამატულ ნაწარმოებში ავტორისეული ახსნა-განმარტება, შენიშვნა, მითითება მოქმედების გაშლის ფონის, დროის, ადგილის, გმირის გარეგნობის, ქცევის, ჟესტების, მიმიკის, ხასიათის და მისთ. შესახებ.

რემინისცენცია
ლიტერატურაში სტილისტური ხერხი, გამიზნული მკითხველში ასოციაციების გამოსაწვევად და მით ახალი ნაწარმოების აღქმის გასაძლიერებლად. ლექსებში-რაიმე ნიშნები(მხატვრული სახე, სტილისტური ხერხი, სინტაქსური კონსტრუქცია), რომლებიც იწვევს სხვა მხატვრული ნაწარმოების გახსენებას.

რენესანსი(აღორძინება)
კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდი(XIV-XVI სს) ევროპის მრავალ ქვეყანაში. მისი კულტურის სპეციფიკური ნიშნებია: ჰუმანისტური მსოფლმხედველობა(იხ. *ჰუმანიზმი*), საერთო ხასიათი, ანტიკური კულტურული მემკვიდრეობისადმი დიდი ინტერესი(აქედანაა სახელწოდება ,,აღორძინება",რომელიც დამკვიდრდა XVIII საუკუნიდან); სამყაროს ცენტრად მიიჩნევს ადამიანს, როგორც ბუნების ნაწილს და ბუნებისავე ყველაზე სრულყოფილ ქმნილებას; ასკეტური, ,,ზეციური" ადამიანის მისტიკურ იდეალს დაუპირისპირეს მიწიერი, ბუნებრივ მოთხოვნილებებზე კანონიერი უფლების მქონე, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის კულტი. რომანტიზმი ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად ავსებდა და ასწორებდა ანტიკურ კულტურას.

რეპლიკა

მოქმედ პირთა მოკლე სიტყვებს, რომლებისგანაც დიალოგი შედგება, რეპლიკები ეწოდება.

რეპორტაჟი
საზოგადოებრივი ხასიათისა და მნიშვნელობის ამბების გადმოცემა, მიწოდება.

რეპორტიორი
საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენა-შემთხვევების შესახებ ცნობების მომტანი პიროვნება.

რეპროდუცირებადი რეცესია
იგულისხმენა კრიტიკა, კომენტარი.

რეტარდაცია
პოეტური გამოსახვის საშუალება, რომლის შინაარსი გაპირობებულია სიუჟეტის განვითარების, ამბის თხრობის შენელებით, შეჩერებით. რეტრადაცია ერთგვარი საპირისპირო ხერხია გრადაციისა, რადგან ამ უკანასკნელში განწყობილება მაღლა მიიწევს, ხოლო რეტრადაციაში კი, პირიქით, შეიმჩნევა ამბის განვითარების შენელება. მხატვრულ ნაწარმოებში თხრობის შეწყვეტა, შენელება ხშირად გამოყენებულია ბუნების სურათების, საყოფაცხოვრებო გარემოს აღწერის და სხვა გვერდითი მოვლენების წარმოსადგენად.

რეტროსპექტული
წარსულისადმი მიძღვნა. ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. (მაგ. „შალვა მშველიძის ინტერესი ისტორიული თემატიკისადმი არასოდეს არ ნიშნავდა რეტროსპექტივიზმს.“)

რეფერატი
საჯარო მოხსენება, რომლითაც გადმოცემულია შინაარსი, ძირითადი აზრი ამა თუ იმ საკითხზე, ლიტერატურულ ნაწარმოებზე.

რეფრენი
ლექსში ტაეპის ან ტაეპების გამეორება ყოველი სტროფის ბოლოს.

რექვიემი
პოეზიაში სამგლოვიარო ლექსი.

რეცენზია
მცირე ფორმის ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოები, შეფასება გარჩევა ახლად გამოქვეყნებული ნაწარმოებისა, სპექტაკლისა, კინოფილმისა თუ სამეცნიერო ნაშრომისა.

რეცეფცია
1. რაიმე პოეტური ნაწარმოების ზემოქმედება. 2.გენეტიკურ-კონტაქტური კავშირების ფორმა, რომელიც გულისხმობს მწერლის შემოქმედების, მისი კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების, მოტივის, სახის, სიუჟეტის ან მთელი ეროვნული ლიტერატურის აღქმას, შემოქმედებით ათვისებას, ახლებურად გააზრებას უცხოეროვნული კულტურულ-ენობრივი სამყაროს მიერ, რაც იძლევა ლიტერატურულ პროვესებში ახალი ნიშნების აღმოცენის საშუალებას.

რეციფიენტი
აღმქმელი, მიმღები, ადრესატი.

რვატაეპიანი სტროფი-იხ.*სტროფი*

რვეული
მრავალმარცვლიანი ლექსი. XIX საუკუნემდე ეს საზომი გვხვდებოდა როგორც 16-მარცვლიანი შაირის ნახევარსტროფი, თუმცა ზოგჯერ დამოუკიდებელი საზომიც არის-აქვს რითმა და ინტონაციური დამოკიდებულება.

რთული პერიოდი-იხ. *პერიოდი*

რთული პერიოდის სახეები-იხ. *პერიოდი*

რთული რითმა-იხ. *რითმა*

რიზომა
მთელის პრინციპულად არასტრუქტურული და არასწორხაზოვანი ორგანიზების საშუალება.

რითმა
ერთნაირი ან მსგავსი ბგერათკომპლექსების გამეორება(უპირატესად ტაეპის ბოლოს). რითმას საფუძვლად უდევს შემდეგი ტიპოლოგიური ნიშნები: **კლაუზულა**(ტაეპის მეტრული დაბოლოება), **ადგილმდებარეობა**(ტაეპსა და სტროფში), **ბგერითი შედგენილობა**(რითმის ევფონია), **მორფოლოგია(**რითმის მორფოლოგიური ელემენტების ერთგვარობა ან სხვაობა), **ლექსიკა**(სიტყვა და რითმა).

ა) რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით
ტაეპსა და სტროფში განლაგების მხრივ განარჩევენ ორ ჯგუფს: **გარეგანი(** ანუ **მთავარი)** და **შინაგანი** (ანუ **არამთავარი). გარეგანი რითმის სახეებია: მოსაძღვრე ანუ პარალელური,** რომლის სქემაა aa(ანუ **წყვილადი, მომიჯნავე** რითმა); **ჯვარედინი,**სქემა abab; **გარემომცველი ანუ რკალური,** სქემა abba; კიბური(წინა ტაეპის ბოლო ერითმება მომდევნო ტაეპის დასაწყისს), სქემა (a)a(a)b(a)a(a)b; **ტერნალური(ინტერვალიანი)**, სქემა aab; **კვატერნალური**, სქემა aaab; **გარეგანი და ინტერვალიანი(**x-ით აღნიშნულია გაურითმავი ტაეპი), სქემა xaxa, aaxa, xaaa.. **შინაგან რითმებში** განარჩევენ **მუდმივსა და შემთვევითს. მუდმივი** შინაგანი რითმა სამნაირია; 1. **ცეზურული**; 2. **წინაცეზურული**; 3. **უკანაცეზურული**. შინაგან რითმაში სიტყვები ტაეპის შიგნითაა გარითმული, **შინაგან-გარეგან რითმაში** შეთანხმებულია ტაეპის მუხლების და დაბოლოებების; **პანტო** რითმაში ტაეპში გარითმულია ყველა სიტყვა.

ბ) რითმა ბგერითი შემადგენლობის მიხედვით
ამ მხრივ გამოყოფენ ორი სახის რითმას: 1. **ზუსტი(**მეორდება კლაუზულის ყველა ბგერა: იწვის-წ/იწვის): **მდიდარი**(კლაუზულის ყველა ბგერასთან ერთად ერთიმეორეს ემთხვევა მახვილისწინა თანხმოვნები: თებო-მტებო); **ღრმა**(მახვილისწინა ხმოვნები-და ზოგჯერ თანხმოვნებიც,-ერთნაირია:ეკლესია-ერეკლესია). 2. **არაზუსტი** რითმის სახეობებია: **ასონანსი** (კლაუზულის ხმოვნები ერთნაირია, თანხმოვნები-სხვადასხვანაირი: შატილის-ჩადის); **დისონანსი:** I. **არათანაბარმახვილიანი (**ტყვეა-ტყვია); II. **არათანაბარმარცვლიანი (**არმიით-ქარში); III. **ღია** (კლდოვანი-ძალგულოვანი); IV. **დახურული**(დამამხობელმან-მშობელმან).

გ) რითმა გარითმულ ტაეპთა ჟღერადობის მიხედვით
ორჯერადი, სადაც ორ-ორი ტაეპია გარითმული(მაგ., ,,დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზაღა/და მტერთ საომრად ჯარი შეჰყარა“); **სამჯერადი**(მაგ., ,,კაცნო, გიყვარდეს,/ცათ შემოსძახეს,/როს

მათ დამბადეს..“); **ოთხჯერადი**(,,ვეფხისტყაოსნის“ რითმათა ჯღერადობის პრინციპი); **მონორითმი(მონორიმი)**-რითმა ლექსის ბოლომდე ერთია.

დ) რითმა კლაუზულის მიხედვით

კლაუზულათა ანუ შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობის მიხედვით რითმა არის: **დაქტილური**(ანუ **სამმარცვლიანი**, მახვილი ბოლო მარცვალზე), **ქალური** (ანუ **ქორეული, ორმარცვლიანი**), **ვაჟური** (ანუ **ერთმარცვლიანი**), **ზედაქტილური(სამზე მეტი** მარცვალი), **ჰიპერდაქტილური**.

ე) რითმა ფორმის მიხედვით

ფორმის მიხედვით განირცევა შემდეგი რითმები: **მარტივი**(მაგ., ,,სერზე შევდეგ, ჭმუნვის ალი მენელა“), **რთული**(მაგ., ,,აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“), **კვეთილი**(მაგ., ,,თოვლის ფიფქი წამოვიდა/და დამადნა ტუჩის ქიმზე,/საქართველოს მომავალი/ბადნიერი თვალით მიმზერს“).

ვ) რითმა შინაარსის მიხედვით

მაჯამური(ომონური) (მაგ., ,,..ქებად უშენოსა,/...მომკალ უშენისა../ბაღჩად უშენოსა,/ ..ჰმართებს უსენოსა“); **ტავტოლოგიური(**მაგ., ,,ნეტავ ვინ ააგო,/რა ნიწმა ააგო,/ რა ხელმა ააგო..“).ტავტოლოგიური რითმის ერთ-ერთი სახეა **რედიფი**.

რიტმი-მხატვრულ ლიტერატურაში ტექსტის ელემენტების თანაზომიერი მონაცვლეობა. პოეზიაში რიტმი იქმნება თანაზომადი ერთეულების პერიოდული და დაკანონებული მონაცვლეობით.

რიტმი

თანაზომიერება, მწყობრი მოძრაობა. რიტმი პოეზიაში არის თანაზომიერი სამეტყველო ერთეულების კანონზომიერი პერიოდული გამეორება.

რიტმიკა

1. პოეტური მეტყველების დონე, რომელშიც შედის ყველანაირი რიტმის წარმომქმნელი ფაქტორი: სილაბურ-ტონური მეტრიდან და კანონიკური სტროფიდან დაწყებული გრაფიკული და სინტაქსური საშუალებებით დამთავრებული; 2. პოეტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ლექსის რიტმული წყობის სისტემას. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოეტიკას.

რიტმული პარალელიზმი-იხ. *პარალელიზმი*

რიტმული პაუზა-იხ. *პაუზა*

რიტმული პროზა

1. ფონეტიკურ-ინტონაციურად ორგანიზებული პროზა; 2. მეტრულად მოწესრიგებული პროზა, სადაც მახვილი, ჩვეულებრივ, ყოველ მესამე მარცვალზე მოდის და დაქტილური მეტრი აქვს.

რიტორი

მჭევრმეტყველი, ორატორი საერთოდ.

რიტორიკა

კლასიკური გაგებით, მჭევრმეტყველების, კაზმულსიტყვაობის თეორია.

რიტორიკული მიმართვა

მიმართვა, რომელიც არ შეიცავს მითითებას კონკრეტულ ადრესატზე, არ შეიცავს შეკითხვას, არ მოითხოვს პასუხს და აქვს პირობითი ხასიათი; მწერალი იყენებს ექსპრესიულობისათვის .

რიტორიკული შეკითხვა
კითხვა, რომლის პასუხი წინასწარაა ცნობილი; სეკითხვის ფორმით გამოხატული მტკიცება, რომელსაც მწერალი იყენებს მხატვრულ მეტყველებაში მეტი ექსპრესიულობისათვის.

რიტორიკული შეძახილი
ასახავს გრძნობების კულმინაციას, ასახულის მიმარტ ექსპრესიულ და ემოციურ დამოკიდებულებას.

რიტუნტელი-იხ. *სტროფი*

რკალური რითმა-იხ. *რითმა*

რობაი
ლირიკული პოეზიის ჟანრული ფორმა, მეტწილად სამიჯნურო და ფილოსოფიური ხასიათისა; შედგება ორი ბარათისაგან. გარიტმულია სქემით: aaba ან aaaa.

რომანი
ეპიკური ჟანრის დიდი ზომის ნაწარმოები, რომლის ცენტრშია ინდივიდუალური პიროვნება ყველა მის მიმართებაში გარე სამყაროსთან. რომანში ინდივიდის ცხოვრება და საზოგადოებრივი ცხოვრება კომპოზიციურად წარმოსახულია როგორც ორი დამოუკიდებელი სამყარო, რომლებიც ურთიერთკავშირშია. რომანისათვის დამახასიატებელია ვრცელი ამბავი-გაშლილი დროის დიდ მონაკვეთში, კომპოზიციური სირთულე, რამდენიმე სიუჟეტური ხაზი, პერსონაჟთა სიმრავლე.

რომანის ძირითადი სახეები
ისტორიული(ასახავს რომელიმე ისტორიული ეპოქის კონფლიქტს), **სოციალური(**ასახავს ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს, საზოგადოებრივ მოვლენებს, **ფსიქოლოგიური** (წარმოაჩენს ადამიანის სულიერი ცხოვრების ისტორიას), **საყოფაცხოვრებო**(აღწერს ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს), **ფილოსოფიური**(წარმოაჩენს იდეების ან კონცეფციების ერთი ან რამდენიმე ოჯახის ცხოვრებას), **სასიყვარულო**(ასახავს სასიყვარულო ისტორიას), **სამოგზაურო-სათავგადასავლო ანუ ავანტურისტული**(აღწერს გამოგონილი ან რეალურად არსებული მოგზაურობის ისტორიას, მთავარი გმირის დაღუპვისა და გადარჩენის მიჯნაზე ხშირად ყოფნას), **ფანტასტიკური**(წარმოაჩენს მომავლის მეცნიერულ მიღწევებს და ტექნოლოგიებს, ადამიანის მოგზაურობას დროსა და სივრცეში და ა. ს.) **სატირული**(დაცინვითაა მხილებული საზოგადოებრივი ცხოვრების ესათუ ის მანკიერი მხარე), **ავტობიოგრაფიული**(ავტორის მიერ მოთხრობილია საკუთარი ცხოვრევის შესახებ).

რომანსი
სასიმღეროდ განკუთვნილი სატრფიალო შინაარსის ლირიკული ლექსი.

რომანტიზმი
ლიტერატურული მიმარტულება XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX ს-ის პირველ ნახევარში. წარმოშვა ისტორიული პერიოდის რევოლუციების დამარცხებამ(ევროპაში) და ამის შედეგად იმედგაცრუებამ. რომანტიკოსთა მსოფლმხედველობით, ბოროტება ცხოვრებისეულია და მისგან განუყოფელი. რომანტიკოსისათვის მთავარიაის, რაც შეიძლება მოხდეს და არა ის, რაც არის სინამდვილეში; ისინი სინამდვილეს გამოსახავენ არა ისე, როგორც არის, არამედ ისე, როგორც მათ წარმოსახვაშია. ბუნებასაც კი საკუთარი განწყობის შესაბამისად ხედავენ: ბუნება მშვენიერია მაშინ, როდესაც სათანადო განწყობა აქვს რომანტიკოსს, პირქუშია-როდესაც თვითონ

დაღვრემილია; ისინი მიიჩნევდნენ, რომ მთავარია სემოქმედის პიროვნული ,,მე“-ს შეუზღუდავობა; მიაჩნდათ, რომ ხელოვნება და ხელოვანი მაღლა დგას სინამდვილეზე.

რომანტიკა რევოლუციური
სასურველი, უკეთესი მომავლის მაღალი მხატვრული ფორმოთ, მაღალი იდეური შინაარსით გამოხატვა.

რომანტიკა
აწეული პოეტური განწყობილება, აღტაცება, აღფრთოვანება. სასურველის, ფანტაზიით დაშვებულის, ოცნებაში წარმოდგენილის მხატვრული გამოსახვა.

რომანტიკოსი
რომანტიზმის მიმდევარი, რომანტიკულად განწყობილი, მეოცნებე, წარსული ცხოვრების ფერად სურათებში წარმომდგენი. კეთილი სურვილებისა და ოცნების ნისლში მცურავი.

რომანტიკული სახე
ისეთი სახე, რომელიც სინამდვილეში არსებულის ნაცვლად ოცნებით გამოგონილსა და სასურველს გვიხატავს, ან გვიხატავს ისეთ სასურველს, რომელიც გამოსახვის მომენტში ერთეული, გამონაკლისია.

რონდელი-იხ. *სტროფი*

რონდო-იხ. *სტროფი*

რონსარის სტროფი-იხ. *სტროფი*

რუსთაველის სტროფი-იხ. *სტროფი*

=ს=

საბავშვო ლიტერატურა
ბავშვებისათვის განკუთვნილი წიგნები და ნაწარმოებები.

სააგიტაციო მჭერმეტყველება
საორატორო პროზის სახეობა, იგი არ კმაყოფილდება მსჯელობის საგნთან მიმართებით მსმენელის მიერ გარკვეული დასკვნის მიღებით, მთავარ მიზნად ისახავს მასში გარკვეული მოქმედების აღძვრას.

საგა
1. ძველ სკანდინავიურ და ძველ ირლანდიურ ლიტერატურაში – ისტორიული, საგმირო ან მითოლოგიური შინაარსის თქმულება პროზად. 2. გადატ. თქმულება, ლეგენდა.

საგალობელი
ლიტერატურული ტერმინი. ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დიდ როლს ასრულებდა გალობით წარმოთქმული ჰიმნები. ჰიმნებს ქარტულად გალობა ანუ საგალობელი ეწოდებოდა.

სადისკუსიო მჭერმეტყველება

საორატორო მჭერმეტყველების სახეობა, რომელიც ითვალისწინებს რომელიმე პიროვნების, მომხმარებლის ან მეცნიერის დებულების დასაბუთებულ უარყოფას, ან მოწონებას.

საზომი ლექსისა-იხ. *ლექსთწყობა*

სათავგადასავლო რომანი-იხ. *რომანი*

სათაური
ნაწარმოების ან მისი ნაწილის, გამოცემის ან კრებულის სახელწოდება.

საკარო პოეზია
სახოტბო პოეზია, რომელსაც ქმნიდნენ სამეფო კარის პოეტები. საკარო პოეზიის ძირითადი ჟანრია-ოდა(მაგ., იოანე შავთელის „აბდულმესია“, ჩახრუხაძის „თამარიანი“).

სამგლოვიარო მჭერმეტყველება
საორატორო პროზის ისეთი სახე, რომელიც მიზნად ისახავს, მსმენელში გამოიწვიოს მოკრძალება და პატივისცემა იმ ადამიანისადმი, რომელიც აღარ არის, მაგრამ მისი პირადი ცხოვრების მაგალითით მსმენელს აღაფრთოვანებს.

სამეცნიერო ფანტასტიკა
ლიტერატურის ჟანრი, ფანტასტილის ერთ-ერთი სახე. მასში ფიგურირებენ გამოგონილი ზებუნებრივი ადგილები, მომავლის მეცნიერული მიღწევები და ტექნოლოგიები, მოგზაურობადროსა და სივრცეში, უცხოპლანეტელები და პარანორმალური შესაძლებლობები. სამეცნიერო ნოვატორული გამოგონებებოს კვლევა არის სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი მიზანი, რაც მას „იდეების ლიტერატურად“ აქცევს.

სამოგზაურო- სათავგადასავლო რომანი-იხ. *რომანი*

სამი ერთიანობის პრინციპი
ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპი(იხ. *კლასიციზმი*)

„სამოციანელები“-იხ. *თერგდალეულები*

სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზია-იხ. *ჰიმნოგრაფია*

სამტაეპიანი სფროფი-იხ. *სტროფი*

სამჯერადი რითმა-იხ. *რითმა*

საორატორო მჭერმეტყველება
პროზის ისეთი დარგი, რომელიც თავის მიზნად ისახავს მსმენელზე ზეგავლენის მოხდენას. ორატორი თავის მსჯელობას, აზრების დალაგებას და მეტყველების ყოველგვარ სხვა საშუალებას წარმართავს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს მსმენელში მისთვის სასურველი დასკვნა, გადაწყვეტილება მსჯელობის საგნის შესახებ, წარმართოს მსმენელი ისეთი მოქმედებისაკენ, რასაც თვით ორატორი ისახავს მიზნად და შექმნას მსმენელში ზემოაღნიშნულისათვის შესაფერი განწყობილება.

საოჯახო-ყოფითი რომანი-იხ. *რომანი*

სარკაზმი
სტილისტიკური ხერხი; მწარე დაცინვა, გესლიანი დახასიათება, ზიზღით ლაპარაკი ადამიანის ქცევასა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენაზე, გამქირდავი ენა.

სასიყვარულო-პირადული კონფლიქტი
შეიძლება წარმოიქმნას მხატვრულ ნაწარმოებში სასიყვარულო კოლიზიების არსებობისას.

სასიყვარულო რომანი-იხ. *რომანი*

სასულიერო მწერლობის ჟანრები
სასულიერო მწერლობის ძირითადი ჟანრებია: ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა.
სატირა
მხატვრული ასახვის პროცესში გამოაშკარავება და მკაცრი გაკიცხვა იმისა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების სოციალურ, მორალურ და ესთეტიკურ იდეალებს. სატირა უარყოფს ყოველგვარ დრომოჭმულ, მანკიერ, წარმავალ მოვლენას და სიცილის საშუალებით გვიჩვენებს მათ შინაგან სიცარიელესა და ცხოვრების განვითარების ძირითად ტენდენციებთან შეუსაბამობას.

სატირული ლირიკა
ლირიკული პოეზია, რომელშიც პოეტი გამოხატავს დაცინვას რაიმე მოვლენისადმი. სატირული შინაარსით განსაკუთრებით მდიდარია ხალხური პოეზია.სატირული ლირიკის ნიმუშები უმეტესად მცირე ზომისაა. სატირული ლირიკის ძირითადი ფორმებია **ეპიგრამა** და **პამფლეტი**.

სატირული რომანი
ისეთი რომანი, რომელშიც ავტორი გვიხატავს ამა თუ იმ პიროვნებას ან საზოგადოებრივ ცხოვრებას დაცინვის მიზნით.

სატურა
ძველი რომაული ლიტერატურის ჟანრი, სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ლექსების ან პროზაული ნაწარმოებების ნარევი. გაიუს ლუცილიუსის სატურას ჰქონდა მამხილებელი ხასიათი, რაც ჩვ. წ. I და II სს-ში საფუძვლად დაედო ტერმინს „სატირა“.

საყოფაცხოვრებო რომანი
ისეთი ხასიათის რომანი, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვეულებრივ ადამიანთა კერძო ცხოვრების ასახვას. საყოფაცხოვრებო რომანების ავტორები მიზნად ისახავენ მკითხველის მორალურ აღზრდას. ძველ საყოფაცხოვრებო რომანებში ხშირად ადგილი აქვს ადამიანის დადებითი მხარეების გაზვიადებულად გამოხატვას. ეს მოვლენა ხელს უშლის სინამდვილის მართებულად გადმოცემას. საყოფაცხოვრებო რომანებს საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის ინგლისში.
სახეთა სისტემა-მხატვრულ ნაწარმოებში არსებული ლიტერატურული გმირების ერთობლიობა. მათი საშუალებით მწერალი აგებს ნაწარმოების სიუჟეტს და ახორციელებს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს.

სახე
ასახვის სპეციფიკური ფორმა. ადამიანების, ზოგადად, ცხოვრების, მოვლენების მხატვრული სურათი, ხატი. მწერალი ცხოვრების განზოგადებული მხტვრული სურათების შექმნის დროს იყენებს მოვლენათა დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშნებს, ხატავს ადამიანის გარეგ*ნობას*

(პორტრეტს), ბუნების სურათებს (*პეიზაჟს*), ქმნის ადამიანთა ხასიათებს (*ტიპებს*). იხ. *მხატვრული სახე*

სახეთა სისტემა
პერსონაჟები, პორტრეტები, დიალოგი და მონოლოგი.

საჯი
არაბულ-სპარსული პოეტიკის ხერხი, გარკვეული წესების მიხედვით ორგანიზებული მეტრულ - რითმული პროზაული ტექსტი.
სენტენცია
მორალური ხასიათის გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება.

სენტიმენტალიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა. მისი მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია ეყრდნობა ანტირაციონალიზმს; გმირები არიან ემოციური ადამიანები, რომლებსაც გულს უჩუყებთ სათნოება, ზნეკეთილობა და აძრწუნებთ ბოროტება; პირველადი არის გრძნობა, მეორადი-ბუნება, რომელიც გამოიყენება ადამიანის ემოციების წარმოსაჩენ ფონად; სენტიმენტალიზმის მიერ დახატული სინამდვილე იდეალურია და გულუბრყვილო; პრიორიტეტულია უბრალო ადამიანის სულის, შინაგანი სამყაროს ჩვენება.

სენტიმენტალური რომანი
რომანის ერთ-ერთი სახეობა. წარმოიშვა მე-18 საუკუნის ინგლისში. სენტიმენტალური რომანების ჟანრულ ბუნებას ახასიათებს გადაჭარბებული მგრძნობელობა, ცრემლიანი შემბრალებელი ტონი და არა რაიმე კომპოზიციური თავისებურება.

სენტიმენტალურობა
მეტისმეტი მგრძნობელობა, გადაჭარბებული გულაჩუყებულობის გამიმჟღავნება-გამოხატვა.

სეპტიმა-იხ. *სტროფი*

სერენადა
ტრუბადურთა „მწუხრის სიმღერა“ , სამიჯნურო ხასიათისა.

სექსტინა-იხ. *სტროფი*

სვინაქსარი
ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი სახე, მცირე ფორმის მოთხრობა, საკითხავები გამოჩენილ ქრისტიან მოღვაწეთა ცხოვრებაზე.

სილაბური ლექსთწყობა-იხ. *ლექსთწყობა*

სილაბურ-ტონური -იხ. *ლექსთწყობა*

სილეპსი
სიტყვების შეთანხმება წინადადებაში არა გრამატიკულად, არამედ აზრობრივ საფუძველზე (მაგ., *„ხალხი გიყურებს და არავინ არა გშველიან“*).

სიმბოლიზმი

მოდერნიზმის ეპოქის მხატვრული მიმართულება. იგი ემიჯნება სინამდვილეს, რეალობას, სინამდვილეს სიმბოლოებით მოიაზრებს. სიმბოლისტების აზრით, ეს ქვეყანა უვარგისია, ცხოვრება გვდევნის ამიტომ მათთვის მისაღებია დაისი, მწუხრი, სასაფლაო, ლანდი, ბოჰემა და ა. შ. მათთვის ნაწარმოებში მთავარია ბგერწერა, ჟღერადობა, მუსიკა, რიტმი. ხშირად მათი სიტყვა და აზრი გაუგებარია, ამოუცნობი, ე.ი., ლექსი მუსიკალურია, მაგრამ - გამოუცნობი.

სიმბოლიკა

სურვილის, განწყობილების გამოხატვა რაიმე საგნით, პირობითი ნიშნებით(მაგ., „ვეფხისტყაოსანში ტარიელისათვის ვეფხვი, ვეფხისტყავი-სასურველის, ყველაზე ძვირფასისა და საყვარელი ადამიანის-ნესტანის სილამაზის მინიშნებაა, სიმბოლიკაა).

სიმბოლისტი

სიმბოლოზმის მიმდევარი, სიმბოლისტური განწყობილების გამომხატველი.

სიმბოლო

ის შეიძლება იყოს სიტყვა, სიტყვათა რიგი, წინადადება ან მხატვრული სახე(მაგ., ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“ გველი სიბრძნის სიმბოლოა, ნ. ბარათაშვილის მერანი კი-ბედთან დაუმორჩილებლობის).

სიმბოლური დეტალი

მხატვრული დეტალი, რომელსაც აქვს მხატვრული სიმბოლოს ფუნქცია. გააზრებულია ემოციურ-ქარაგმულ ფენომენად, რაც ეფუძნება გარკვეულ ცხოვრებისეულ მოვლენებთან მსგავსებას.

სიმღერა

1.პატარა ლირიკული ლექსი, რომელიც იქმნება სიმღერისათვის და მისი ტექსტი მარტივია, დაცულია სტროფიკა, ზუსტი რითმა, ხშირად აქვს რეფრენი; 2. ეპიკური ან ლირო-ეპიკური ნაწარმოები ისტორიულ ან საგმირო თემაზე(მაგ., „სიმღერა როლანდზე“).

სიმპლოკე

ლექსი, რომელიც ერთდროულად შეიცავს ანაფორასა და ეპიფორას. (მაგ. *„მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი, / მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.“*)

სინაფია-(იხ. *გადატანა*)

სინერესი

ანტიკურ მეტრიკაში ორი მოკლე მარცვლის შერწყმა ერთ გრძელ მარცვლად. ქართულ სილაბურ-ტონურ ლექსში მისი შესატყვისია ორი მეზობელი ხმოვნის ერთ მარცვლად შერწყმა მეტრული მოსაზრებით. (მაგ. *„მოდის, მოცურავს შვა (შუა) ღამის ბინდი“*).

სინეკდოქე

მეტონომიის ერთ-ერთი სახე. სინეკდოქეში ერთი ცნება შეცვლილია მეორეთი, რაოდენობითი დამოკიდებულების საფუძველზე. სინეკდოქეს შინაარსს ქმნის: ა)ნაწილის ხმარება მთელის ნაცვლად(მაგ., „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ-ღლიღვი, დიდო, ქისტი,/**სრულად** ქართლის მტერნი იყვნენ...“); ბ) მთელის ხმარება ნაწილის ნაცვლად(მაგ., „ნეტავი იმას, **ვისაც** კი/მადლიერი ჰყავს ქვეყანა“); გ) ზოგადი ცნების ხმარება კონკრეტულის ნაცვლად. ორატორულ ხელოვნებაში სინეკდოქე გამოყენებულია დაცინვის მიზნით(გვარის მრავლობითში ხმარება).

სინკრეტიზმი

ხელოვნების სხვადასხვა დარგის (პოეზია, მუსიკა, ცეკვა) შერწყმა (მაგ., „ცანგალა და გოგონა“).

სინონიმური სახეები
ადამიანთა ტიპები, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან. „ბახტრიონში" ზეზვა და ლუხუმი სინონიმური სახეებია, კვირია და წიწოლა – კონტრასტული.

სინტაქსური პარალელიზმი-იხ. *პარალელიზმი*

სირვენტა
სტროფული სიმღერა ან პოლემიკური ხასიათის ლექსი, ძირითადად პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე.

სისტოლე
ანტიკური მეტრიკის ტერმინი, აღნიშნავს მეტრულ ლექსში ტერფის სუსტ ნაწილზე მახვილიანი მარცვლის განლაგებას.

სიტუაცია
ნაწარმოების კონკრეტულ ეპიზოდში მოქმედ პირთა ურთიერთდამოკიდებულება და მდგომარეობა.ყოველი ახალი სიტუაცია გულისხმობს პესონაჟთა ხასიათებისა და ურთიერთობის ახალ ეტაპს, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს შემდგომი სიტუაციის წარმოშობას.

სიტყვა
საჯარო სიტყვა რომელიმე მოღვაწის მიმართ ან საზოგადოებრივ შემთხვევაზე; საკუთარი აზრის გამოთქმა კრებაზე ან დისპუტზე გასარჩევად დასმული საკითხის შესახებ.

სიტყვასიტყვითი თარგმანი
ორიგინალის ენის სიტყვების მექანიკური ჩანაცვლება თარგმანის ენის სიტყვებით, როგორც ეკვივალენტებით, რომლის დროსაც ხდება ორიგინალის ენის კონსტრუქციის შენარჩუნება და უგულებელყოფილია ორ ენას შორის არსებული განსხვავებები, რასაც ეწირება ორიგინალის შინაარსი.

სიურრეალიზმი
მხატვრული მიმართულება. მისი კონცეფციის საფუძველია აგნოსტიციზმი(მოძღვრება, რომლის თანახმადაც შეუძლებელია ობიექტური სამყაროს შეცნობა), ე. ი. ადამიანი ამ სამყაროში მოცულია შეუცნობადი საგნებიტა და მოვლენებით, ხოლო სინამდვილის მიღმა არსებობს ზერეალური ანუ სიურრეალისტური. სიურრეალიზმის ამოცანაა, ადამიანი დაუპირისპიროს იდუმალ, შეუცნობად, აფორიაქებულ სამყაროს, ხოლო თავისუფალი შემოქმედი მიმართოს ქვეცნობიერისაკენ, შემთხვევითობისა და ილუზიისაკენ. სიცხადე მისთვის სისულელეა. სიურეალისტების მიერ ჭარბად გამოყენებული მეტაფორები ხელს კი არ უწყობს შემეცნებას, არამედ ბინდავს და იდუმალს ხდის სინამდვილეს.

სიუჟეტი
მოვლენათა და მოქმედებათა თანმიმდევრობა მხატვრულ ლიტერატურაში; ამბის გადმოცემა გარკვეული წესების დაცვით; ნაწარმოების ფორმის საფუძველი.
სიუჟეტის განვითარების ეტაპები-სიუჟეტის განვითარების ეტაპებია: კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა.

სიცილიანა
შუა საუკუნეების იტალიური 8-ტაეპიანი ლექსი, აღმოცენდა იტალიური ხალხური სიმღერიდან და კანონზომიერ ფორმად იქცა XIII საუკუნეში, მაგრამ არ გავრცელებულა და ადგილი დაუთმო ოქტავას, რომლისგან განსხვავდება გარითმვის ხერხით.

(იხ. ოქტავა). იხ. *სტროფი*

სკანდირება
ლექსის წაკითხვა მისი რიტმული ინტონაციით, რაც ნიშნავს ხმის აწევ-დაწევას ისე, რომ ამით იგრძნობოდეს ამ ლექსის ზომის ხასიათი.

სკეტჩი
სასცენო კომპოზიციის მცირე ფორმის ნაწარმოები, სახუმარი, სასიმღერო სცენები, ზოგჯერ სატირული ხასიათის მოკლედ წარმოდგენა.

სოკუ-იხ. *სტროფი*

სოლეციზმი
სინტაქსურად არასწორი გამოთქმა, რომელიც არ შეესაბამება აღებული ენის ბუნებას და გამოწვეულია უცხო ენის გავლენით.

სონეტი
მყარი სალექსო ფორმა, 14 -ტაეპიანი ლექსი, რომელიც 2 კატრენისა და 2 ტერცეტისაგან შედგება. სონეტის კომპოზიციურ-შინაარსობრივი დაყოფა ხაზს უსვამდა აზრის დიალექტიკას და იტევდა მრავალფეროვან შინაარსს.

სოციალური გარემო
საზოგადოებრივი პირობები, რომელშიც ცხოვრობს და მოქმედებს გმირი და რომელიც დიდ გავლენას ახდენს გმირის, როგორც პიროვნების, ფორმირებაზე.

სოციალური რეალიზმი
XX ს-ის 20-იანი წლებიდან სოციალურმა წყობილებამ ბრძოლა გამოუცხადა სინამდვილის ასახვის ყველა ფორმას და დაამკვიდრა სოციალური რეალიზმი. მწერალს არ ჰქონდა უფლება, ეჩვენებინა სინამდვილე. ყველაფერი უნდა ყოფილიყო შელამაზებული, უნდა ეჩვენებინათ ბედნიერი ხალხის ბედნიერი ცხოვრება. ბევრი მწერალი შეინირა იმ დროებამ.

სოციალურ-ფსოქოლოგიური რომანი - იხ. *რომანი*

სოციალურ-ყოფითი კონფლიქტი
მხატვრულ ნაწარმოებსი სოციალური ურთიერთობების დროს წარმოქმნილი კონფლიქტი.

სპენსერის სტროფი-იხ. *სტროფი*

სპონდე
ორი გრძელი მარცვლისგან შედგენილი ტერფი ანტიკურ ლექსწყობაში, სილაბურ-ტონურ ლექსწყობაში - ორი მახვილიანი მარცვალი.

სტანსი
მრავალსტროფიანი (უმეტესად ოთხიდან თორმეტამდე), 4-ტაეპიანი ლირიკული ლექსი. მისი თითოეული სტროფი კომპოზიციურად დამთავრებული და მომდევნოსაგან დამოუკიდებელია. სტანსში არ მეორდება რითმა. მასში ერთი სტროფის მეორეში გადატანა ან დამთავრება დაუშვებელია. სტანსები ქართულ პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძესთან გვხვდება.

სტილი

ლიტერატურის განვითარების შემადგენელი კომპონენტების-შემოქმედების მეთოდის, მიმდინარეობისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის-ნიშანდობლივ თვისებათა ერთობლიობა, სპეციფიკური კომპონენტების გამოვლენის მთლიანობა. გულისხმობს მასალისა და მისი ესთეტიკური ორგანიზაციის გარკვეულ ტიპს, თემისა და მისი განსახოვნების ხერხებისა და საშუალებების გარკვეულ სისტემას, რომელიც მოცემულია კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებში.

სტილიზაცია
რომელიმე ავტორისათვის, ჟანრისა და მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი სტილის წინასწარ განზრახული იმიტაცია; მხატვრული ხერხი, რომელიც გულისხმობს არსებული სტილის გამეორებას, ,,მიბაძვას", ,,არდგენას". სტილიზაციას მიმართავენ ისტორიული კოლორიტის სესაქმნელად, მხატვრული სახის საშენ მასალად ან ფაბულურ მოტივად; ამა თუ იმ სტილის ხაზგასმული იმიტაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ორიგინალური შემოქმედების სერიოზული ინსტრუმენტი.

სტილის თეორია - იხ. *ლიტერატურათმცოდნეობითი სტილისტიკა*

სტილისტიკა
ლიტერატურის თეორიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ამა თუ იმ მწერლის, ლიტერატურული მიმდინარეობის მხატვრულ ნაწარმოებთა ენის თავისებურებებს.

სტილისტიკური ნეოლოგიზმი
მხატვრული მიზნით შექმნილი ნეოლოგიზმი.

სტიმპანკი
ლიტერატურული მიმდინარეობა, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრი. სეიქმნა 1990-იან წლებში კიბერპანკის საპირწონედ. მისი სიუჟეტი მოიცავს მე-19 საუკუნის ფიქტორიანული ეპოქის ან ამერიკის ველური დასავლეთის ალტერნატიულ ისტორიას, სადაც მასიურად გამოიყენება ორთქლის მანქანები და წარმოუდგენელია ქალაქის დამახასიათებელი პეიზაჟები და კონტრასტული სოციალური ფენები.

სტიქარონი
მცირე ზომის საგალობელი, თავისი წყობით მთლიანი.

სტრამბოტო
სამხრეთ-იტალიური ხალხური პოეზიის სასიყვარულო ლექსის ფორმა, რომლის სტროფი 6-8 ტაეპისაგან შედგება და თავდება 2-ტაეპიანი რეფრენით. სტროფთა რაოდენობა განუსაზღვრელია.

სტროფი
ლექსში ტაეპთა ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს შინაარსის, კომპოზიციის მთლიანობის, ზომისა და რითმის ერთგვარობა; სტროფი არის **ორტაეპიანი**-*მრჩობელი*; **სამტაეპიანი**-*ტერცეტი, სოკუ, რიტურნელი*; **ოთხტაეპიანი**-*კატნერი, შაირი, რუსთაველის სტროფი, დებაითი, რობაი*; **ხუთტაეპიანი**-*იამბიკო, მუხამბაზი, მუხამასი, ტანკა*; **ექვსტაეპიანი**-*სექსტინა, რონსარის სტროფი, მუსამსადი*; **შვიდმარცვლიანი**-*სეპტიმა, ჩოსერის სტროფი*; **რვატაეპიანი**-*ოქტავა, სიცილიაანა, რონდო, ნოელი, ტრიოლეტი*; **ცხრატაეპიანი**-*ნონა, სპენსეტის სტროფი*; *ათტაეპიანი-დეციმა*; **ცამეტტაეპიანი**-*რონდელი*; **თოთხმეტტაეპიანი**-*სონეტი, ოგენინის სტროფი.*

სტროფიკა
1. ლექსტმცოდნეობის დარგი, რომელიც სწავლობს სტროფს; 2. სალიტერატურო სკოლის, პოეტის, ცალკეული ნაწარმოების სტროფული ფორმების ერთობლოიბა.

სტროფული ანჟამბემანი
არის სხვადასხვა სახის: ა) მთელი სტროფის აზრობრივ-ფრაზეოლოგიური კომპოზიცია სრულდება მომდევნო სტროფის პირველ ტაეპში; ბ) მთელი სტროფი აგებულია ანჟამბემანის პრინციპზე(იხ. ანჟამბემანი).

სტრუქტურა
მხატვრული ნაწარმოების აგებულება, მისი სინაგანი და გარეგანი ორგანიზაცია, მისი შემადგენელი ელემენტების შეკავშირების ხერხი.

სტრუქტურალიზმი
ფორმალიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა, რომელიც მხატვრულ სახეს განიხილავს როგორც სამეტყველო სტრუქტურას ხოლო ნაწარმოების ანალიზის დროს გამორიცხავს მასში ასახულ რეალურ სინამდვილეს და ლიტერატურულ ქმნილებას მიიჩნევს ცარიელ ნისანთა დახშულ, ფორმალურ სტრუქტურად; ტექსტს ანაწევრებს ელემენტების წყებად: თითოეულ გამოთქმას-სიტყვებად, სიტყვებს-მარცვლებად, მარცვლებს- ფონემებად. შემდეგ კი მიმართავს მის ხელახალ აღდგენას, რეგენერაცას. სტრუქტულარული ლიტმცოდნეობის მიხედვით, ნაწარმოები არ არის ცოცხალი ადამიანის შემოქმედების ნაყოფი, არამედ მისტიკური, არაცნობიერი საწყისის სიღრმიდან მომდინარე, წინასწარ კონსტრუირებული ფორმალური სტრუქტურა. სტრუქტურალიზმი არ არის გარკვეული პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებული თანამიმდევრული მოძღვრება.

სურათი
1. დრამატული ნაწარმოების მოქმედების ერთი ნაწილთაგანი. (მაგ. შექსპირის ტრაგედია „ოტელოს პირველი მოქმედება შედგება სამი სურათისგან; 2. ყოფის, მოვლენის, ცხოვრების რომელიმე მხარის მოკლე მხატვრული აღწერა. (მაგ. ვაჟა-ფშაველას „სოფლის სურათი“)

სუფიზმი
ისლამური რელიგიის ერთ-ერთი განშტოება, რომლის მიმდევრებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

სფრაგიდი
ლექსში მისი ავტორის ვინაობის ჩართვა. სათავეს იღებს ჯერ კიდევ ანტიკური პოეზიიდან, ხშირია ქართულ პოეტიკაშიც. (მაგ. მუხრან, ძროხა გადააბი, / დაგენაცვლოს მამიდაო“ - მუხრან მაჭავარიანი).

სქოლიო
შენიშვნა, განმარტება რაიმე ტექსტში; იწერება, ჩვეულებრივ, გვერდების ბოლოში, კიდეებზე.

სცენარი
1. დრამატული ნაწარმოების მოკლე სქემატური შინაარსი; 2. კინოპიესა-ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის საფუძველზეც იქმნება ფილმი. კინოდრამატულ ნაწარმოებს თავისი დამოუკიდებელი ლიტერატურული მნიშვნელობაც აქვს.

სხარტულა

მოსწრებულად, სხარტად, მოკლედ თქმული ოხუნჯობა ვინმეს დაცინვის, გაკილვის მიზნით. ქართულ ლიტერატურაში ამ ტერმინის შემოღება ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. (მაგ. ი.ჭავჭავაძის სხარტულები: *„რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“*).

=ტ=

ტაეპი
ლექსის ზირითადი რიტმული ერთეული, ლექსის სტრიქონი, ლექსის რიტმულ-ინტონაციური პროცესის მეტრულად განმსაზღვრელი ფონიკური და გრაფიკული ნორმა(იხ. *ლექსთწყობა)*.

ტაეპური ანჟამბემანი
არის სხვადასხვა სახის: ა) ფრაზა ავსებს პირველ ტაეპს და მთავრდება მეორის დასაწყისში(მაგ., ,,შორეული ქალის ეშხი/ მოვა, მაგრამ როდის?“); ბ) ფრაზა იწყება ტაეპის ბოლოს და ავსებს მეორე ტაეპს(მაგ., ,,ბაღში გავიდა.. იქაც ბილიკზე/ფენილი იყო ფოთოლი რბილი“); გ) ფრაზა იწრება პირველი ტაეპის ბოლოს და მთავრდება მეორე ტაეპის დასაწყისში(მაგ., ,,მოვედი სახლსი. ქორწილი/გაჩარებულა, მღერიან“).

ტავტოლოგია
ერთი და იმავე ცნების, აზრის ან გრძნობის გამოხატვა სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით. პოეტურ ენაში ტავტოლოგია ვლინდება როგორც გამეორების ერთ-ერთი სახე, რომელიც აზლიერებს სიტყვის ემოციურ-მხატვრულ გამომსახველობით ღირსებას, ანიწებს მას ესთეტიკურ მნიშვნელობას. საერთოდ კი, ტავტოლოგია ხასიათდება სიტყვათ აუადგილო, უფუნქციო გამეორებით (მაგ., ტავტოლოგიურია გლახა ჭრიალაშვილის მეტყველება ი. ჭავჭავაძის ,,გლეხთა განთავისუფლების სცენებში“).

ტავტოლოგიური რითმა-იხ. *რითმა*

ტავტოგრამა
ლექსი, რომლის ყველა სიტყვა ერთსა და იმავე ასოზე იწყება. ამ ფორმის ლექსს ეწირება მხატვრულობა, მაგრამ გარკვეული მიზნით გამოიყენება, როგორიცაა: ანბანის შესწავლა, ლიტერატურული პაექრობა და სხვა. საყურადღებოა არჩილ მეფის ანბანთქება, რომელშიც პირველი სტროფის ყველა სიტყვა იწყება ანით, მეორე სტროფის ყველა სიტყვა კი ბანით და ა.შ. გრძელდება.

ტალია
ლიტერატურათმცოდნეობაში იგი გადატანილი მნიშვნელობითაა გამოყენებული, როგორც კომედიის ცნების შემცვლელი სიტყვა, სიმბოლური მინიშნება კომედიოგრაფის პოეტური შთაგონებისა.

ტანკა
ხუთტაეპიანი, ურითმო და მკაფიოდ გამოკვეტილი, საგრძნობი მეტრის გარეშე გამოკვეთილი სალექსო ფორმა იაპონურ პოეზიაში. ტანკას პირველი სამი ტაეპი ხუთმარცვლიანია, ხოლო დანარჩენი ორი-7-7- მარცვლიანი; ტანკას მთავარი აზრი ჩამოყალიბებულია პირველ სამ ტაეპში, ხოლო დასკვნას ბოლო ორი ტაეპი ეთმობა.

ტენსონა(ტენცონა)
პროვანსული პოეზიის თავისებური ჟანრი. თავიდან გულისხმობდა ორ პოეტს შორის ლექსითი ნაწარმოებებით პაექრობას. X-XI საუკუნეებში კლასიკური ტენსონა გაიგება, როგორც ორი

პოეტის მიერ კანცონის ფორმის შესატყვისად რიგრიგობით შეთხზული სტროფები. ტანსონას საერთო სახე უახლოვდება ამებეურ კომპოზიციას.

ტერნალური რითმა-იხ. *რითმა*

ტერიტორიული დიალექტი
ენის ისეთი განშტოება, რომელიც ამა თუ იმ კუთხის ან ტერიტორიის მცხოვრებთ ახასიათებთ(მაგ., გურული დიალექტი, იმერული დიალექტი, ქართლ–კახური დიალექტი, რაჭული, ფშავური, მოხევური და სხვ.). მწერალი კუთხურ ენას ტიპიზაციის მიზნით მიმართავს.

ტერფი
ლექსთწყობაში სალექსო სტრიქონის მარცვალთა ჯგუფი, რომელთაგან ერთი მახვილია, დანარჩენი-უმახვილო(იხ. *ლექსთწყობა).*

ტერცეტი
სამსტრიქონიანი სტროფი სონეტში(იხ. *სტროფი).*

ტერცინა
სამტაეპიანი სტროფებისაგან (ხანებისაგან) შედგენილი და ჯვარედი რითმებით დაწერილი ლექსი. იგი ძველი იტალიური ლექსის ფორმაა. ტერცინით იწერება როგორც პოემები, ასევე ლირიკული ლექსები. ტერცინა გავრცელებულია თითქმის ყველა კულტურულ ქვეყანაში.

,,ტეტიათა მოტრფიალენი"-იხ. *ხალხოსნები*

ტეტრალოგია
ოთხი ლიტერატურული ნაწარმოები, რომლებსაც ერთი საერთო დედააზრი აერთიანებთ.

ტექსტი
1. წინადადების, სიტყვების თანმიმდევრობა, რომელიც აგებულია მოცემული ენის წესების მიხედვით და გვაწვდის რაიმე ცნობას; 2. ავტორის დაწერილი ან დაბეჭდილი დასრულებული მხატვრული ნაწარმოები, ისტორიული დოკუმენტი და სხვ.

ტექსტის ადაპტირება - იხ. *ადაპტირება*

ტექსტის ეკვივალენტი
პოეტურ ან პროზაულ ნაწარმოებში ავტორის მიერ განზრახ გამოტოვებული ადგილი, რომელსაც მნიშვნელობითი მხარე არ გააჩნია, მაგრამ პოტენციურად აღიქმება ტექსტის ბადალ ერთეულად.

ტექსტის ხელახალი კოდირება თარგმანის ენაზე
თარგმანის ტექსტის შექმნა.

ტექსტოლოგია
ფილოლოგიის დარგი, ლიტმცოდნეობითი დისციპლინა, რომელიც კრიტიკულად შეისწავლის დამწერლობას, ლიტერატურისა და ფოლკლორის ძეგლებს მათი მეცნიერულად გამოცემის მიზნით.

ტიმონი

(ბერძნ. დაფასება, პატივისცემა)-ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. (მაგ. *„სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ძალოვანი მკლავით შემოაბრუნა ტიმონი ქართული მეტყველებისა და ქართული ენა კვლავ აზიარა თავის პირველად სათავეებს“*).

ტიპი
ტიპური ხასიათი, რომელიც გამოხატავს ზოგადს ინდივიდუალური სახემოსილებით.

ტიპიური
სინამდვილის მხატვრულად განზოგადებული სახე ადამიანისა, საზოგადოებრივი ვითარება, - ნაჩვენები ლიტერატურაში, რომელიც თავის თავში მოიცავს ცხოვრების მოვლენების თუ ადამიანთა ჯგუფის ნიშანთვისებათა ერთობლიობას.

ტიპიკონი
საეკლესიო-სამონასტრო წესდება, რომელშიც აღნუსხული იყო ღვთისმსახურების გარკვეული და ყველასთვის სავალდებულო წესი.

ტიპოლოგია - იხ. *ტიპოლოგიური მეთოდი*

ტიპოლოგიური მეთოდი
განზოგადებული მოდელების, პარადიგმების ან მატრიცების შექმნის მიზნით ლიტერატურული მოვლენების დალაგება ზოგადი და განსხვავებული ნიშნების მიხედვით.

ტირადა
ქედმაღლური, აწეული ტონით წარმოთქმა მაღალფარდოვანი ფრაზებისა. (მაგ. მგზავრის წერილებში“ რუსი ოფიცრის საუბარი ილიასთან ტირადის კლასიკური ნიმუშია).

ტონური ლექსთწყობა-იხ. *ლექსთწყობა*

ტონური ლექსი-იხ. *აქცენტური ლექსი, ლექსთწყობა*

ტრაგედია
ტრაგიკული პათოსით გამსჭვალული დრამატული ჟანრი, რომელსაც საფუძვლად უდევს მძაფრი, შეურიგებელი და გადაუჭრელი ცხოვრებისეული კონფლიქტები, ტრაგიკული კოლოზია, ამაღლებული ტრაგიკული ხასიათები.

ტრაგიზმი
მხატვრული ნაწარმოების გმირის ცხოვრებასა და მოქმედებაში საბედისწერო მდგომარეობა. ტრაგიზმი ნიშნავს აგრეთვე მძიმესა და დამღუპველ ვიტარებას საერთოდ.

ტრაგიკოგრაფი
მწერალი, რომელიც თხზავს დრამატული ჟანრის დიდ ნაწარმოებს - ტრაგედიას.

ტრაგი-კომედია
დრამატული ჟანრის ერთ-ერთი სახეობა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური სიტუაციები(იხ. *ტრაგედია, კომედია).*

ტრაგიკული სახე

ადამიანის ისეთი ტიპი, რომელიც განწირულ ბრძოლას აწარმოებს უმძიმეს და, უფრო ხშირად, გარდუვალ დაბრკოლებებთან.

ტრადიციული სიუჟეტები და სახეები
სიუჟეტები და სახეები რომლებიც გადადიან ერთი ნაწარმოებიდან მეორეში და ქმნიან ლიტერატურული დისკურსის მთელ ინვარიანტულ არსენალს.
ტრავესტი
იუმორის ფორმით ფადმოცემული სერიოზული აზრი. მხატვრულ ლიტერატურაში ტრავესტი ეწოდება იუმორისტული ხასიათის იზეთ ნაწარმოებს, რომლის შინაარსი დიდ საქვეყნო მნიშვნელობაზე მიუთითებს(მაგ., ი. ჭავჭავაძის *„ბედნიერი ერი“*).

ტრავიალური
გაცვეთილი, გაუბრალოებული, უშვერი, უხამსი ნაწარმოების შინაარსი თუ პერსონაჟის მოქმედება, რომელიც მოკლებულია სიახლეს, ორიგინალურობასა და ესთეტიკურობას, უფრო მეტად იგი ვულგარულიცაა.

ტრანსკრიფცია
ფონეტიკურ პრინციპზე დაფუძნებული თარგმნის ხერხი. უცხოური სიტყვის ჟღერადობის მაქსიმალური დაახლოება მიმღების ენის ჟღერადობასთან.

ტრანსლატოლოგია - იხ. *თარგმანთმცოდნეობა*
ტრანსლატორი
გადამცემი ადრესანტი.

ტრანსლიტერაცია
უცხო ენის სიტყვის ასოების გადმოცემა მშობლიური ენის ანბანის ასოებით.

ტრანსპლანტაცია
გარკვეული ტრანსპლანტატის(სტილი, თემა, იდეა, ჟანრი, სიუჟეტური სქემა, პერსონაჟი და ა. შ.) სესხება მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

ტრაფარეტი
შემოქმედებითი მომენტის გარეშე, მექანიკურად გადატანა თარგების საშუალებით, ერთხელ აღებული ნიმუშის წაბაძვა. მხატვრულ ლიტერატურაში ტრაფარეტი ნიშნავს შემოქმედებითად აუთვისებელი ტრადიციის გამოსახვის საშუალებათა პირდაპირ გადატანას, სხვისი გაკაფული გზით სიარულს, მწერლობაში ცნობილისა და დამუშავებულის ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადატანას.

ტრიპტიქი
სამმაგი, ერთიანი კომპოზიციური ჩანაფიქრით გაერთიანებული მხატვრული ნაწარმოები. ასეთი შეიძლება იყოს ფერწერული, ლირიკული თუ პროზაული ქმნილება. პროზაში ამ ტერმინს ცვლის *ტრილოგია*(იხ).

ტრისტიქი
სამტაეპიანი ლექსი, რომლითაც უპირატესად ლექსები იწერებოდა ევროპულ ენებზე. სამტაეპოვანი ლექსის ფორმის სახეობის აღსანიშნავად პოეტიკაში გამოიყენება ცნება *ტერცეტი*(იხ).

ტრეში

ლიტერატურული ტალღა, ჩაისახა ამერიკაში 1970-იანი წლების ბოლოს. ტრეში ცდილობს არა სამყაროს შეცვლას, არამედ მის, რაც შეიძლება მწვავედ, უხეშად ასახვას. უწმინდურობა, პორნო, შიში-ესენია აღნიშნული მიმართულების მთავარი თემა.

ტრილოგია
ერთი ავტორის სამი დრამატული ან დიდი ფორმის ეპიკური ნაწარმოები, რომლებიც გაერთიანებულია ერტი თემიტ, იდეური შინაარსიტ, პერსონაჟებითა და მოქმედების განვითარების ძირითადი მიმარტულებით. ტრილოგიის სამივე წიგნს შეიზლება ჰქონდეს როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა სახელწოდება.

ტრიოლეტი
რვატაეპიანი ლექსი, რომელშიც პირველი ტაეპი სამჯერ მეორდება, მერვე ტაეპი იმეორებს მეორეს. ტრილოგიის რითმა ორი სახისაა: I, III, IV, V, VII ტაეპები ერთ რითმას ატარებს, II, VI და VIII-მეორეს. რითმული წყობა ასეთია: abaaabab. ლექსის ყველა მყარ ფორმათა სორის ტრიოლეტი ყველაზე უფრო სეზღუდული ფორმაა და, ამდენად, უფრო გასართობი პოეზიისათვის არის განკუთვნილი.

ტროპარი- იხ. *დასდებელი*
ტროპი
გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები და გამოთქმები. ზოგიერთი სიტყვა, ფრაზა გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება, ზოგჯერ კი ზემოაღნიშნულს (სიტყვას, ფრაზას, გამოთქმას) გადატანითი მნიშვნელობა აქვს. „ტროპი" ბერძნული სიტყვაა და პირდაპირი გაგებით შემოვლას, ე.ი. გადაკრულად რამეს თქმას ნიშნავს.

ტროპის ძირითადი ფუნქციები
1. ადამიანის, საგნის, მოვლენის მხატვრული დახასიათება; 2. ავტორის პოზიციის ჩვენება; 3. ასახული საგნის, მოვლენის, ადამიანის ექსპრესიული შეფასება.

ტრუბადური
მოხეტიალე პოეტ-მომღერალი ძველ საფრანგეთში.

ტყუპები
თარგმანი და ორიგინალი თარგმანთმცოდნეობაში.

=უ=

უარყოფითი გმირი-(იხ. *ლიტერატურული გმირი*)

უეკვივალენტო ლექსიკა
ლექსიკური ერთეულები, რომელთაც თარგმანის ენაში არ აქვთ არც სრული და არც ნაწილობრივი ეკვივალენტები. უეკვივალენტო ლექსიკას მიეკუთვნება *რეალიები*(იხ.)
უვერტიურა
ოპერის, ოპერეტის, ბალეტისა და სხვა მუსიკალურ ნაწარმოებთა შესავალი. ეს ცნება შემოვიდა ლიტერატურისმცოდნეობაში, როგორც პოეტური შესავლის გამომხატველი ნაწილი.

უკანაცეზურული რითმა-იხ. *რითმა*

უკონფლიქტობის თეორია

ისეთი შეხედულება ლიტერატურის თეორიაში, რომელიც ჩქმალავს კონფლიქტის არსებობას და ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობოს ჩვენების ნაცვლად სინამდვილის შელამაზებული სახით წარმოდგენის პრინციპს ემყარება.

უკუქცევითი ექსპოზიცია-იხ. *ექსპოზიცია*

უნანიზმი
მიმდინარეობა ფრანგულ ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისში. უნანიზმის წარმომადგენლები გაემიჯნენ რა სიმბოლიზმს, წინ წამოსწიეს სოციალური თემატიკა. ისინი მოითხოვდნენ სინმდვილის შეულამაზებელ გადმოცემას.

უნივერსალურ-ტიპოლოგიური მიდგომა
მიდგომა ლიტერატურათმცოდნეობაში, როცა აქცენტი კეთდება ზოგად ტიპოლოგიურ ნიშნებზე და ხდება ეროვნული სპეციფიკის იგნორირება.
ურბანიზმი
მიმდინარეობა ხელოვნებაში, ლიტერატურაში. მის იდეურ შინაარსს წარმოადგენს ქალაქური ცხოვრების ქება-დიდება. ურბანიზმის ცნების შინაარსის გააზრება დაკავშირებულია ფუტურიზმის სახელთან.

ურბანისტი
ქალაქური ცხოვრების აღმწერი შემოქმედი, პოეტი.

უტოპია
ნაოცნებარი, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. ინგლისელმა მწერალმა თომას მორიმ უტოპია უწოდა ტავის ფანტასტიკურ მოთხრობას, რომელშიც არარსებულ კუნძულზე (უტოპიაზე) ადამიანთა ცხოვრების იდეალური სურათი წარმოსახა.

უქრონია
ალტერნატიული ისტორია.

უშუალო კავშირი
კავშირი, როცა კონტაქტი ხორციელდება ერთი ლიტერატურის მეორეზე პირდაპირი გავლენის გზით.

უცეზურო ლექსი
ლექსი, რომელიც არ იყოფა ცეზურებად, იგივე რიტმულ პაუზებად.

უცხოეროვნული თემატიკა
1. მხატვრულ ნაწარმოებში უცხოეროვნული გარემოსა და პერსონაჟების წარმოჩენა; 2. ლიტერატურული ურთიერთობების ფორმა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოეროვნული სამყაროს წარმოჩენის, ხალხთა ურთიერთგაცნობისა და ურთიერთ დაახლოების თვალსაზრისით.

უცხოეროვნული ლიტერატურის აღქმა
მკითხველის/მკვლევრის/მთარგმნელის/მწერლის გონების მიერ უცხოეროვნული ლიტერატურის ფაქტებისა და მოვლენების ასახვა, გააზრება, შემოქმედებითი ათვისება, ინტერპრეტირება.

=ფ=

ფაბლიო
შუა საუკუნეების ფრანგული ქალაქური ლიტერატურის სატირულ-იუმორისტული ჟანრი. ფაბლიოს ქმნიდნენ ჟონგლიორები. მან გავლენა იქონია იტალიური *ფაცეციისა* და *ნოველის* ჩამოყალიბებაზე. უახლოვდება *ფარსს.*

ფაბულა
მოვლენათა და მოქმედებათა მიზეზობრივ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მხატვრულ ნაწარმოებში.

ფაბულარული ორნამენტი
ეს ტერმინი აღნიშნავს იმას, რომ ხელოვნების ძეგლის გასაფორმებლად გეომეტრიული ფიგურების ნაცვლად ხმარობენ ცოცხალ არსებებს: ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს... ამ ხერხს ლიტერატურაც მიმართავს. ამბების განვითარებაში ცხოველთა და ადამიანთა ერთობლივი ჩვენება, მოქმედების ერთობლივი წარმოდგენა მხატვრულ ლიტერატურაში საინტერესოს ხდის ნაწარმოებს. ამიტომ მწერლები ამ ხერხს ხშირად მიმართავენ(მაგ., *„ვეფხისტყაოსანი“*).

ფანტაზია
პოეტური ოცნება, მხატვრული გამონაგონი, ობიექტური სინამდვილის შემოქმედებითი წარმოსახვა.

ფანტაზიორი
მეოცნებე, განუხორციელებელი აზრებით, იდეებით, შეუძლებელ საქმეზე ფიქრით გართული, არარეალური სურვილებით გატაცებული გმირი მხატვრულ ლიტერატურაში.

ფანტასტიკა
უცნაური, უჩვეულო მოგონება, ოცნებით წარმოდგენა შეუძლებელისა და განუხორციელებელისა. ფანტასტიკურია ისეთი ხასიათის ნაწარმოები, რომელიც ემყარება არა სინამდვილეს, შესაძლებელს, არამედ გამონაგონს, შეუძლებელს.

ფანტასტიკური
უცნაური, წარმოსახვით შექმნილი, ნამდვილად არარსებული. ოცნებით წარმოდგენილი რარაც ისეთი, რომელიც მართალს არ ჰგავს. ნაწარმოების გმირთა დაუჯერებელი მოქმედება.

ფანტასტიკური რომანი-იხ. *რომანი*

ფარსი
XIV-XVI სს-ის დასავლეთევროპული ხალხური კომედია, რომელსაც სატირული მიმართულება, რეალისტური კონკრეტულობა და ცხოველმყოფელი აზრი ჰქონდა. ფარსის თემატიკა მხოლოდ ქალაქურ ცხოვრებას უკავშირდება. გლეხები და წვრილი აზნაურობა დაცინვის ობიექტად იყო ქცეული. პერსონაჟი ინდივიდუალურ საწყისს მოკლებული ნიღბებია(მაგ., სულელი ქმარი, ბუზღუნა ცოლი და ა.შ.). ფარსი ახალი პიროვნების მსოფლმხედველობას ამკვიდრებდა, ძველი ადათ-წესების დამცველნი დამარცხებული და გაკილული იყვნენ. იგი მორალურ დიდაქტიკურ შინაარსსმოკლებული იყო.

ფატუმი
ბედისწერა, ზეციური განაჩენი. პოეზიაში მხატვრული წარმოსახვის გასაძლიერებლად იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. (მაგ. *„მე მჯერა, ჩვენს ცხოვრებას რომ რაღაც ბნელი ფატუმი განაგებს“*).

ფაქტობრივი დეტალი
დეტალი, რომელსაც მწერალი აფიქსირებს, როგორც მხატვრული სინამდვილის კონკრეტულ ფაქტს.

ფაცეცია
მახვილი, მხიარული ხუმრობა, მოკლე იუმორიტული ლექსი ან თხრობა. ფაცეციებს მიეკუთვნება ხალხური ლექსები, ანეკდოტები, ნაკვესები.

ფეერია
ფანტასტიკური შინაარსის დრამატული ნაწარმოებია. ფარსის მსგავსად, ისიც გარეგნულ ეფექტს იყენებს.

ფელეტონი
იუმორით დაწერილი მცირე ზომის ნაწარმოები, რომელიც უფრო ხშირად ნაკლოვანი მხარეების მხილებასა და კრიტიკას გულისხმობს.

ფენიქსი
მხატვრულ ლიტერატურაში სიმბოლო მარადიული განახლების, ჩაფერფვლის, მიხრწნისა და კვლავ გაახალგაზრდავებისა.

ფეტიში
ზებუნებრივი ძალის მქონე საგანი, რომელსაც პირველყოფილი ადამიანები სცემდნენ თაყვანს. ფეტიშის ცნება მხატვრულ ლიტერატურაში იხმარება არაპირდაპირი მნიშვნელობით და გამოიყენება პოეტური წარმოსახვის გასაძლიერებლად.

ფიგურალური გამოთქმა-იხ. *ფრაზეოლოგიზმი*

ფიგურები
სახე, ფორმა, პოეტური სინტაქსის სხვადასხვა სახეობა. ფიგურების მთავარი სახეებია: რიტორული მიმართვა, შეძახება, შეკითხვა ანტითეზისი კონტრასტი და სხვ.

ფიგურული ლექსი
ლექსი, რომლის სტრიქონები დალაგებულია რომელიმე ფიგურის, კერძოდ, სამკუთხედის, ჯვრის, ვარსკვლავის და სხვათა სახით. ქართული ლიტერატურის ძველ ხელნაწერებშიც გვხვდება ფიგურულად დალაგებული პროზაული ტექსტი. აღნიშნული ცნება ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარება როგორც პირდაპირ, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

ფილოლოგია
1. ვიწრო გაგებით -ამა თუ იმ ხალხის ენისა და ლიტერატურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა; 2. ფართო გაგებით -ამა თუ იმ ხალხის (ან მონათესავე ხალხების) კულტურის შემსწავლელ მეცნიერებათა ერთობლიობა (მისი საგანია: ენა, ლიტერატურა, მასში შედის ეთნოგრაფია და არქეოლოგია, ფოლკლორი...).

ფილოსოფიური რომანი-იხ. *რომანი*

ფინალი
ლიტერატურული, მუსკალური ან თეატრალური ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი.

ფიორიტურა
მელოდიების შემამკობელი ჩართული პასაჟები მუსიკალურ ნაწარმოებში, გრძელი და მოკლე ბგერების მონაცვლეობა, ორნამენტულობა. ეს ტერმინი ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით სტილისტიკური ორნამენტულობის, მეტყველების შემკობის თვალსაზრისით.

ფისტიკაური(*ბისტიკაური*)
20-მარცვლიანი 4-ტაეპიანი ქართული ლექსი, რომელსაც საერთო გარე რითმა აქვს. ცეზურებით ოთხ თანაბარ ნაწილად იყოფა.

ფოლკლორი
ხალხური შემოქმედების აღმნიშვნელი ტერმინი; აერთიანებს ხალხის სულიერი და მატერიალური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს: წეს-ჩვეულებებს, რწმენებს, ტრადიციებს, ხელოვნების დარგებსა და ა. შ.

ფოლკლორისტიკა
მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ფოლკლორს.
ფონიკა-ლექსის თეორიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ლექსების ბგერითი ორგანიზების თავისებურებებს.

ფონიკა
პოეტიკის ქვედარგი, რომელიც მხატვრული ენის ბგერითი ორგანიზაციის ფორმებს სწავლობს.

ფონური ცოდნა
1. სიტუაციის, გარემოს, გარემოცვის ცოდნა, რომელშიც ხდება მოქმედება; 2. მტქმელისა და მსმენელის/მკითხველის მიერ რეალიების ცოდნა; 3. არავერბალური კონტექსტი.

ფორმა(ნაწარმოებისა)
ნაწარმოების ყველა შემადგენელი ელემენტისა და ტენდენციის გარეგნული გამოხატულება.

ფორმა და შინაარსი-(იხ. *შინაარსი* და *ფორმა*)

ფორტუნა
მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვა *ფორტუნა* იხმარება გადატანითი მნიშვნელობით - ბრმა შემთხვევის, ბედისწერის, ბედნიერებისა და უბედობის სიმბოლოდ. ფორტუნა წარმოდგენილია პოეტურად, როგორც ადამიანის ბედის გამგებელი.

ფრაზა
დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა.

ფრაზეოლოგიზმი
ენაში დამკვიდრებული სიტყვათა მყარი შეთანხმენა. ფრაზეოლოგიზმში სიტყვები ისეა დაკავშირებული, რომ გაიგება მთელი ფრაზის მნიშვნელობა და არა მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა.

ფრთიანი სიტყვა
მოსწრებული გამოთქმა, აზრის მახვილად გამოხატვა, რომელსაც ახასიათებს ლაკონურობა.

ფსალმუნი
რელიგიური საგალობელი, «დავითნის» ცალკეული თავი.

ფსევდოეპიგრაფი
არანამდვილი ავტორი. ცრუ სახელის განგებ მიწერა რომელიმე თზხულებისათვის დიდი დამაჯერებლობისა და ავტორიტეტის მისაცემად.

ფსევდოკლასიციზმი - იხ. *კლასიციზმი*

ფსევდონიმი
გამოგონებული სახელი ან გვარი, რომელსაც თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის მაგივრად ირქმევს ზოგიერთი მწერალი, ხელოვანი ან სხვა საზოგადო მოღვაწე.

ფსიქოლოგიური ანალიზი
პერსონაჟის სახის შესაქმნელად მწერალი მიმართავს მისი ხასიათის ფსიქოლოგიურ ანალიზს, ზედმიწევნით ზუსტად ხატავს მის შინაგან სამყაროს, გრძმობებს, აზრებს, ემოციებს, ფსიქოლოგიურ პორტრეტს.
ფსიქოლოგიური დეტალი
დეტალი, რომელიც ეხმარება მკითხველს, სიღრმისეულას ჩასწვდეს პერსონაჟის შინაგან სამყაროს და უკეთესად გაიაზროს მისი ხასიათი.

ფსიქოლოგირი კონფლიქტი
კონფლიქტი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში წარმოიქმნება პიროვნების შინაგანი წინააღმდეგობის არსებობისას.

ფსიქოლოგიური რომანი-იხ. *რომანი*

ფუნაგორია
სალაღობო ლექსი, მიძღვნილი ნაცნობ-მეგობრებისადმი სალაღობით(იხ. *ეპიგრამა).*

ფუნციური სტილების დიფუზია
ერთ ტექსტში სხვადასხვა ფუნქციური სტილის გამოყენება.

ფუტურიზმი
ლიტერატურული მიმდინარეობა; უარყოფდა ტრადივიულ ხელოვნებას და მის პოეტიკას; ცდილობდა, შეექმნა ახალი თანამედროვეობისათვის სესაფერისი სტილი. ფუტურისტები ქმნიან ახალ სიტყვებს, ეს სიტყვები ზოგჯერ წყვეტილია, წინადადებაში ამოვარდნილია ზმნები. სცადეს ახალი ბგერწერის შემორება, სადაც ბგერებს ტრადიციული შინაარსის ნაცვლად უნდა გამოეხატატ ადამიანის შინაგანი ფორიაქი, სტრესული მდგომარეობა. ფუტურიზმისათვის ნიშანდობლივია მიდრეკილება ეპატაჟისა და ლიტერატურული სკანდალისადმი.

=ქ=

ქადაგება- იხ. *ჰომილია*

ქალური რითმა-იხ. *რითმა*

ქალური ცეზურა-იხ. *ცეზურა*

ქარაგმა
ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვის შემოკლებული დაწერა. გადატანითი მნიშვნელობით კი ნიშნავს გადაკრულ თქმას. (მაგ. *„უკაცრავად, ქარაგმით თუ მეუბნები და ჩემს ცხოვრებას ადარებ, ნამეტანია“*).

ქართული ლექსი
ბგერების ზუსტი ორგანიზაციის რიტმული სისტემა, ლექსითი მეტყველების ფორმა ქართულ პოეტურ ენაში. ქართული ლექსთწყობა სილაბურ-ტონურ ლექსთწყობას მიეკუთვნება, რამაც ხელი შეუწყო მის მუსიკალობას. ქართული ლექსის ძირითადი ფორმები და სახეებია: *შაირი, ჩახრუხაული, ბესიკური, დიდბესიკური.* ქართული ლექსი ისაზღვრება რითმის მიხედვითაც. კერძოდ: *მრჩობლედი, შერეული, შავთელური.*

ქება(იგივეა, რაც *შესხმა*)
ძველი ქართული პოეზიის ჟანრი,. ტერმინი განსაკუთრებით დამკვიდრდა ჰიმნოგრაფიასა და სახოტბო პოეზიაში. ქება იწერებოდა პროზადაც(მაგ., იოანე საბანისძის ,,ქებაი წმიდისა მოწამისა აბოისი“), ლექსადაც(მაგ., იოანე ზოსიმეს ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ინისაი“).

ქვაზიმოდო
ჰიუგოს ცნობილი რომანის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, უმახინჯესი სახე მსოფლიო ლიტერატურაში. ამ ცნებას პოეზიაში იყენებენ უშნო და მახინჯი, მაგრამ კეთილი გულის ადამიანის სახის სიმბოლური მინიშნებისათვის.

ქვედასვლა-იგივეა, რაც *ანტიკლიმაქსი*(იხ)

ქვეთემა
საკითხი, რომელიც ნაწარმოების ცალკეულ ნაწილში შუქდება.

ქვეტექსტი
ტექსტის დაფარული აზრი, რაც არ ემთხვევა ტექსტში გაცხადებულ აზრს და რასაც უნდა მიხვდეს მკითხველი. ქვეტექსტი შეიძლება ჰქონდეს მთელ ნაწარმოებს ან მის ცალკეულ ნაწილს.

ქორე-იხ. *ლექსთწყობა*

ქორეული ტერფი
ორმარცვლიანი ტერფი, რომელთაგან პირველი მარცვალი მახვილიანია, ხოლო მეორე – უმახვილო(მაგ., „თრთ**ო**ლვით **ი**ნვევს ც**ი**სფერ ლ**ა**ნდებს...”).
ქორიამბი
4-მარცვლიანი ლექსი ანტიკურ ლექსთწყობაში, რომელიც შედგება ქორესა და იამბისაგან.

ქრონიკა მხატვრული
სადაც ისტორიული შემთხვევა ემოციურადაა წარმოდგენილი ქრონოლოგიური რიგის დაურღვევლად. ამ სფეროში შემოვლენ ზოგი მემუარი და ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებიც.

ქრონიკოსი
საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის თანმიმდევრულად აღმწერი. მწერალი, ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი საერთოდ.

ქრონოს პროტოსი-იხ. *ლექსთწყობა*

ქრონოტოპი
ლიტერატურული სახე დროსა და სივრცეში.

ქცევა
მოქმედება, რომელსაც აღწერს მწერალი პერსონაჟის ხასიათის გასახსნელად.

,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“
1879 წელს დაარსებული კულტურულ-განმანათლებლური ორგანიზაცია, რომელიც XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში მხარში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იღწვოდა ქართველი ხალხის კულტურის დონის ამაღლებისათვის და აქტიურად უპირისპირდებოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. საზოგადოებამ შექმნა სპეციალური ორგანიზაცია ,,წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“. საზოგადოებას დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების აღნუსხვის, შეკრებისა თუ დაცვის საქმეში . საზოგადოებამ იარსება 1927 წლამდე.

=ღ=

ღაზალი
აღმოსავლური ლირიკული ლექსის ფორმა. პირველი ბაითის(იხ. *ბაითი*) პირველ ტაეპში ირითმება ორივე ნახევარტაეპედი; გამოისახება სქემით: aa, ba, ca,da. ღაზალი, ჩვეულებრივ, შედგება 5-16 ბაითისაგან, მიუხედავად თითოეული ბაითის აზრობრივი დასრულებისა, მათი წყვილ-წყვილად დანაწევრება არ შეიძლება. ბოლო ტაეპში გაცხადებულია ავტორის სახელი ან წოდება.

ღარიბი რითმა-იხ. *რითმა*

ღია რითმა-იხ. *რითმა*

ღრმა რითმა-იხ. *რითმა*

=ყ=

ყარაჩოღული პოეზია
თბილისელ წვრილ ხელოსანთა პოეზია მუხამბაზური ლექსთწყობითა და აშუღური შესრულებით. მას ახასიათებდა პროგრესულ-დემოკრატიული იდეები. მისი საუკეთესო წარმომადგენელია საიათნოვა(იხ. *აშუღური პოეზია*).

ყარიბული
ქართული 4-ტაეპიანი ლექსი, საერთო გარეგანი რითმით. ტაეპები 21-მარცვლიანია, 2 ცეზურითა (7/7/7)და შიგა წინაცეზურული რითმით.

ყასიდა
სახოტბო ლექსი არაბულ-ირანულ პოეზიაში.

ყოფითი დეტალი
დეტალი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის პერსონაჟის ხასიათზე, მის განათლებაზე, ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, მორალზე და სხვ.

ყოფითი კონტექსტი-ეპოქის ყოფითი რეალიები, მწერლის ბიოგრაფიული ფაქტები და სხვ.

=შ=

შავთელური-იხ. *ჩახრუხაული*

შავი ბრიტანული ლიტერატურა
მხატვრული ლიტერატურა, რომელიც იქმნება მულტიკულტურული დასავლელი, არაევროპული წარმოშობის მწერლების მიერ ინგლისურ ენაზე.

შაირი
ქართული კლასიკური ლექსის ძირითადი სახე; 16-მარცვლიანი. არესბობს ორი სახის: დაბალი(ჰიმნოგრაფები, ლეონტი მროველი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი) და მაღალი(პირველად ვხვდებით ჩახრუხაძესთან).

შარადა
რთული გამოცანის სახეა. იგი აგებულია სიტყვის ბგერობრივი და შინაარსობრივი გააზრების პრინციპზე. შარადა ემყარება სიტყვების თამაშს და უახლოვდება კალამბურს.

შარჟი
ვისიმე (რისამე) სატირულად ან კომიკურად გამოხატვა საგანგებოდ გაზვიადებული და კარიკატურული ნიშნებით.

შეგონება
იგავის ბოლოს მოკლედ ჩამოყალიბებული მისი მთავარი აზრი.

შედარება
ტროპის მარტივი სახე, რომელიც ეფუძნება საგნების, მოვლენების გარეგნულ, საგნობრივ ან აზრობრივ, სინაგან მსგავსებას.

შედარებითი ანალიზი
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი. მისი საშუალებით მიიღწევა შედარებითი ლიტერატურატმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ლიტერატურული მოვლენის(პროცესის) გენეტიკური და ტიპოლოგიური მხატვრულ-ესთეტიკური არსის დადგენა.

შედარებითი ლიტერატურატმცოდნეობა
ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ეროვნული ლიტერატურების, ცალკეული მწერლების ურთიერთზემოქმედების პრინციპებს, მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის კონტექსტში ლიტერატურათა შედარებითი კვლევის მეთოდებსა და მეთოდოლოგიას.

შედარებით-ისტორიული მიდგომა
მიდგომა, რომელიც შეისწავლის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების სფეროში არსებულ ლიტერატურული მიმდინარეობების ტიპებსა და კომუნიკაციას, მწერალთა უშუალო შემოქმედებით კონტაქტებს, რეცეფციებს

შედარებით-ისტორიული მეთოდი ლიტერატურაში
ლიტერატურათმცოდნეობის განხრა, რომელიც შეისწავლის საერთაშორისო კავშირურთიერთობას მის ისტორიულ პერსპექტივასა და განვითარებაში. ამ მეთოდის ძირითადი მიზანია შესადარებელ ლიტერატურათა ტიპოლოგიური და გენეტიკური არსის დადგენა. ეს მეთოდი ისტორიზმის პრინციპზე დაყრდნობით ადგენს მსგავსება-განსხვავებებს ლიტერატურათა შორის, თვალსაჩინოს ხდის ლიტერატურულ მოვლენათა კანონზომიერებებს, ახდენს ფაქტებისა და ლიტერატურული პროცესების არა უბრალოდ რეგისტრაციასა და აღნუსხვას, არამედ გავლენებსა და კავშირურთიერთობებს განიხილავს საერთაშორისო ისტორიულ კონტექსტში, რაც ლიტერატურის არსის შეცნობის მნიშვნელოვანი საფეხურია.

შედევრი
ლიტერატურაში *შედევრი* აღნიშნავს ბრწყინვალედ შესრულებულს, დიდი ოსტატობის გამოხატულებას, ყველასათვის სამაგალითო თხზულებას მწერლის შემოქმედებაში.

შელამაზებული თარგმანი
მთარგმნელის მიერ სათარგმნი ტექსტის ,,შელამაზება"(ტექსტიდან ამოღება, მთარგმნელის აზრით, უხეირო, წარუმატებელი ადგილებისა; საკუთარი ჩანართების ჩამატემა და ა. შ.).

შელოცვა
ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი ჟანრი. განვიტარების დაბალ დონეზე მდგომი ადამიანის მისნური შინაარსის შელოცვა მიმართული სხვადასხვა ძალებისა და მავნე სულების წინააღმდეგ.

შემეცნებითი ნაკადის" ლიტერატურა
„ლიტერატურულ კრიტიკაში" ტერმინი „შემეცნებითი ნაკადი" გაიგივებულია „შინაგან მონოლოგთან. მისი ცდები ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაში არსებობდა. პლატონის მიხედვით იგი იყო „სულის თავის თავთან საუბარი". იგი ლიტერატურაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით წარმოჩინდა (მაგ. „აღსარება", „ესეი", „აფორიზმები", „მაქსიმები" და სხვა) შემეცნებითი ნაკადი" მისი პირველი წარმომადგენლების შემდეგ იქცა უფრო მხატვრულ პრინციპად, ვიდრე ლიტერატურის ცალკეული ხერხი. მოგვიანებით იგი უახლოვდება მოდერნისტულ, სიმბოლისტურ ლიტერატურას, ის ხელოვნების სხვა დარგებშიც გადადის.

შემთხვევითი რითმა-იხ. *რითმა*

„შემოდგომის აზნაურები"
ეს ტერმინი პირველად დავით კლდიაშვილმა გამოიყენა აზნაურთა სახეების საჩვენებლად. ცნების შინაარსი მეტაფორული ხასიათისაა და დამკვიდრდა, როგორც სიმბოლური გამოხატულება გაღატაკებული აზნაურებისა.

შემოქმედების აქტი-იხ. *შემოქმედების ისტორია*

შემოქმედებითი ფანტაზია-იხ. *გამონაგონი*

შემოქმედების ისტორია
მწერლისეული მხატვრული ჩანაფიქრიდან ნაწარმოების შინაარსისა და ხასიათის ავტორის ცნობიერებაში ჩამოყალიბებამდე, მხატვრულ ლაბორატორიაში გაფორმებამდე გავლილი გზა.

შემოქმედების მეთოდი

სინამდვილისადმი ხელოვნების დამოკიდებულების ძირითადი პრინციპების მხატვრული გამოვლენა, სახეთა შექმნის სისტემა, განზოგადების პრინციპი. ლიტერატურის თეორიაში სინამდვილისადმი დამოკიდებულების ორი ძირითადი მხატვრული მეთოდია წარმოდგენილი: *რეალიზმი* და *რომანტიზმი.*

შემოქმედების მეთოდი და მსოფლმხედველობა

ლიტერატურისა და სინამდვილის ურთიერთობის პრობლემა ძირითადი პრობლემაა მწერლობასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ანტიკური სამყაროდან დღემდე. ლიტერატურისა და სინამდვილის ურთიერთობას უპირატესად ის ფაქტი განსაზღვრავს, თუ რა პოზიციიდან, რა ასპექტიდან უყურებს შემოქმედი სინამდვილეს, როგორია ხელოვანის იდეური მისწრაფება, როგორ აღიქვამს ის სინამდვილეს, როგორ გადატყდება ეს უკანასკნელი მის ცხოვრებაში და გადამუშავდება სამწერლო ლაბორატორიაში. შემოქმედების მეთოდისა და მსოფლმხედველობის მთლიანობითა თუ გათიშვის შემთხვევებით ვლინდება მწერლის იდეური კრედო და მხატვრული ნაწარმოების შინაარსეული გამიზვნის ფუნქცია.

შერეული ლექსი

ლექსი, რომელსაც ტაეპების დასასრულს სხვადასხვა რითმა აქვს(მაგ., „დაჰკრეს ნაღარა, გული შეჰზარა,/და მტერთ საომრად ჯარი შეჰყარა,/ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა,/ვით არ აღგანთებს გმირო, ქართლისა!/მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს/და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

შერეული ლიტერატურული გვარი

აერთიანებს რომელიმე ორი ძირითადი ლიტერატურული გვარის ნიშან-თვისებებს. შერეული ლიტერატურული გვარებია: *ლირო-ეპიკა, ლირო-დრამატურგია* და *ელიკური დრამა.*

შესავალი

ზოგადი ხასიათის ცნობები (მიმოხილვა, განმარტება...), რომელიც წინ უძღვის ამა თუ იმ თხზულებას და არ შეადგენს მის ორგანულ ნაწილს.

შესხმა-იხ. *ქება*

შეტყვება

ჰაგიოგრაფიული ტერმინი,აღნიშნავდა ლექსის მარცვალს. ტაეპში მარცვალთა რაოდენობას დამყარებული იამბიკო შედგებოდა ხუთი სალექსო ტაეპისაგან, თითოეული ტაეპი კი 12 მარცვალს, ანუ შეტყვებას, შეიცავდა.

შეწყვეტა

პოეტური ფიგურა, გამოსახვის სტილისტიკური ხერხი. ადამიანის სულიერი განწყობილება ძირიტადად მეტყველებით მჟღავნდება. განწყობილების გამოვლენას გარკვეული ფორმები გააჩნია; ამ შემთხვევაში საინტერესოა გადმოცემის ფორმა-შეწყვეტა, გაჩუმება, შეჩერება. აღელვებული მწერალი თუ გმირი ვერ ამთავრებს სიტყვას, წინადადებას. თითქოს გული ყელში ებჯინებაო, წყვეტს საუბარს. ავტორი სვამს მრავალწერტილს, მაგრამ აზრი მაინც გასაგებია და განცდა საგრძნობი.

შეწყობილი ლექსი

ყველა ტაეპში ერთგვარი რითმით დაბოლოებული ლექსი(მაგ., „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო,/იკურთხოს მისი მარჯვენა, ვინც გთესა, მოგიყვანაო,/დაპურდი, ჩემო ნუგეშო, იზარდე თანდათანაო,/ზეცამ გიგზავნოს ცვარ–ნამი, მზემ შუქი გფინოს თანაო;/ქარმა გაღელვოს ზღვასავით, მწყერმა მოგძახოს ნანაო,/იზარდე, გაახარევი, ყმაწვილი ჩემისთანაო.”).

შვანკი
შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურის ჟანრი, მცირე ზომის ლექსითი თუ პროზაული სატირული ამბავი, მისი საფუძველია თავშესაქცევი ოხუნჯობა. თემატიკურად ენათესავება ფრანგულ *ფაბლიოს*(იხ).

შვიდტაეპიანი სტროფი-იხ. სტროფი

შთაგონება
მომენტი მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესში, როცა იგი ხანგრძლივი ფიქრისა და დაკვირვების შედეგად მხატვრული წარმოსახვის ძლიერების განსაკუთრებულ სიმაღლეს აღწევს. ეს ის მომენტია, როცა აზრები და სახეები თავისთავად იბადებიან.

შინაარსი
შინაარსი ნაწარმოების ყველა შემადგენელი ელემენტის და ტენდენციის ერთობლიობა.

შინაარსი და ფორმა
მხატვრული ლიტერატურა სინამდვილის შეცნობის სპეციფიკური ფორმაა. ყოველ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში შემეცნებითი და ესთეტიკური მომენტების მთლიანობაა, რაც მაღალიდეურობასა და მხატვრულობას გულისხმობს. სწორედ ამაში ვლინდება ფორმისა და შინაარსის განუყრელი ურთიერთობა.

შინაგანი რითმა-იხ. *რითმა*

შინაგან-გარეგანი რითმა-იხ. *რითმა*

შიქასტა
მაღალი და დაბალი ტონის ნაღვლიანი სიმღერა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ქართულ პოეზიაში ცნობილია აკაკი წერეთლის შიქასტები. (მაგ. „ვით სნეულსა თანაუგრძნობს მისივე მსგავსი სნეული,/ ისე მკვნესარ შიქასტის ხმას ძგერით უგრძნობს ჩემი გული“).

შვიდტაეპიანი სტროფი-იხ. *სტროფი*

შპანუნგი
ადგილი მოქმედების განვითარებაში, რომელიც გამწვავებულ ურთიერთობას გვიხატავს. კულმინაციის გამოყოფა რომ გაგვიადვილდეს წინასწარ უნდა გამოვყოთ დაძაბული მდგომარეობა, რომელსაც გერმანულ პოეტიკაში „შპანუნგი” ეწოდება

შუალობითი კავშირი
კავშირი, როცა კონტაქტი ხორციელდება არა ერთი ლიტერატურის მეორეზე პირდაპირი გავლენის გზით, არამედ მესამე ლიტერატურის საშუალებით.

შუამავალი-იხ. *კომპარატივიზმის შიკრიკი*

=ჩ=

ჩართული ეპიზოდი

მხატვრული ნაწარმოების ის ნაწილი, რომელსაც არ აქვს უშუალო კავშირი მოვლენათა სიუჟეტურ განვითარებასთან. ჩართული ეპიზოდი ზოგჯერ მთელი მხატვრული ნაწარმოების მთავარ იდეას ხსნის.

ჩარჩო-კომპოზიცია
კომპოზიცია, როცა ერთ ამბავში მეორე ამბავია ჩართული.

ჩასტუშკა
რუსული ხალხური პოეზიის ჟანრი. 4-ტაეპიანი გარითმული სიმღერა, აჩქარებული ტემპით შესასრულებელი. ზეპირსიტყვიერი ჩასტუშკების გავლენით შეიქმნა ლიტერატურული ჩასტუშკებიც.
ჩახრუხაული
შინაგანი რითმების მქონე 2- ან 4-ტაეპიანი, 20-მარცვლიანი ქარტული ;ექსი. სტროფი შავთელურია, მაგრამ ჩახრუხაულში დამატებულია სტროფები, რომლებსაც ერთნაირი გარეგანი რითმა აქვთ.

ჩოსერის სტროფი-
მეფური სტროფი, ინგლისურ პოეზიაში გარითმული სილაბურ-ტონური ლექსის 7-ტაეპიანი სტროფი. ინგლისური ლექსის რეფორმატორმა ჩოსერმა მანამდე არსებული ალიტერაციული სილაბური ლექსი შეცვალა გარითმული სილაბურ-ტონური ლექსით. მას ჩოსერის სტროფთან ერთად *მეფური სტროფიც* უწოდეს, რადგან ჩოსერის მიბაძვით მეფე ჯეკობ შოტლანდიელიც ამ სტროფით თხზავდა ლექსებს. იხ. *სტროფი*

=ცა=

ცამეტტაეპიანი სტროფი-იხ. *სტროფი*

ცეზურა
ტაეპის რიტმულ-ინტონაციური პროცესის გამყოფი ბუნებრივი სესვენება, ტაეპის სტრუქტურული ელემენტი. სილაბურ-მეტრულ ლექსთწყობაში ცეზურა ტაეპებში მიჰყვება *ტერფების დაბოლოებას და ყოფს ტაეპს ორ ნაწილად, რომელთაც აქვთ ერთნაირი ხასიათის* რიტმული სვლა. თუ ტაეპი ორ ტოლ)ან თითქმის ტოლ) ნაწილად იყოფა, მაშინ ასეთ ცეზურას **მთავარს** უწოდებენ. დიდი ზომის ტაეპებში მთავარი ცეზურის გარდა არსებობს **მცირე** ცეზურები. ცეზურის სახეებია: **ვაჟური**(მახვილი მოდის წინაცეზურული სიტყვის ბოლო მარცვალზე); **ქალური**(მახვილი მოდის წინაცეზურული სიტყვის მე-2 მარცვალზე); **დაქტილური**(მახვილი მოდის წინაცეზურული სიტყვის მე-3 მარცვალზე).

ცეზურული რითმა-იხ. *რითმა*

ციკლი
ნაწარმოებთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია თემატიკით, ერთიანი სიუჟეტური რკალით, პოეტური ჩანაფიქრის გამოვლენის ფორმით.

ცინიზმი
უხეში პირდაპირობა, აბუჩად ამგდები დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და იმ ზნეობრივი ნორმებისადმი, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია. ცინიზმი მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენებულია როგორც სტილისტიკური ხერხი პოროვნების, მისი სულიერი

სამყაროსა და საერთო განწყობილების გამოსახატავად. ზოგჯერ ეს ტერმინი გადატანითი მნიშვნელობითაც იხარება.

,,ცისფერყანწელები“
ქართველ მწერალთა ჯგუფი, სიმბოლისტური მიმდინარეობის გამომხატველ პოეტთა წრე. მატ სახელმძღვანელო პრინციპად მიიღეს ევროპული სიმბოლიზმის ყველა ძირითადი დებულება(იხ. *სიმბოლიზმი).*

ციტატა
ტექსტის გარკვეული ნაწილი, მოხმობილი წამოყენებული დებულების დასამტკიცებლად. ციტატა უნდა შეიცავდეს დასამტკიცებელი აზრის მკაფიოდ დამადასტურებელ შინაარსს.

ცენტონი
სახუმარო ლექსი, შედგენილი ერთი ან რამდენიმე მწერლის ნაწარმოებიდან ამოღებული ტაეპებით, ციტატებით.

ცენტრალური მოტივი
მოტივი, რომელსაც ამბის განვითარებაზე ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყოველგვარი მოტივი გარკვეულ როლს თამაშობს მოქმედების განვითარებაში და უფრო დამაჯერებელს ხდის მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ მოვლენას, მაგრამ ყველა მათგანს როდი აქვს თანაბარი მნიშვნელობა(მაგ., მთავარი მიზეზი, რამაც ზაქროს მიერ ბატონის მოკვლა და ყაჩაღად გაჭრა გამოიწვია(ი.ჭავჭავაძის ,,კაკო ღაჩაღი“), იყო ზაქროს მამის სიკვდილი როზგის ქვეშ. ეს ფაქტი არის ურთიერთობის უაღრესად გამწვავების მთავარი მიზეზი).

,,ცნობიერების ნაკადი“
ლიტერატურაში მხატვრული ასახვის მეთოდი, რომელიც ცდილობს, სიტყვათა ისეთი განლაგებით ასახოს ადამიანის ფსიქიკური პროცესები, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება, ე. ი. როდესაც ასახული უმალ და ქაოტურად მიმოიქცევა მომავალსა, წარსულსა და აწმყოში და არ ექვემდებარება ლოგიკას. ამას ისიც ემატება, რომ ინდივიდუალური ცნობიერება დატვირთულია გარკვეული გამოცდილებით და შეზღუდულია ინდივიდის ფსიქიკური შესაძლებლობები.

ცრუკლასიციზმი
იმავეს ნიშნავს, რასაც ფსევდოკლასიციზმი, ფრანგული კლასიციზმი, კლასიციზმი, მაგრამ მოძველებული ტერმინია.

ცხოვრება
(ცხოვრებაი) - ეს სიტყვა სხვადასხვა შინაარს გამოხატავდა ისტორიულად: 1.რომელიმე ისტორიული პირის ცხოვრების აღწერა („ცხოვრება კონსტანტი კახისა“); 2. ფართო მნიშვნელობის ისტორია („ქართლის ცხოვრება“); 3. ბიოგრაფია (ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა).

ცხრატაეპიანი სტროფი-იხ. *სტროფი*

=d=

ძაგნაკორული

სალექსო ფორმა. ძაგნაკორული ლექსის ტაეპი 20-მარცვლიანია, სტროფი 4-ტაეპიანი, რითმა მონორითმული, შინაგან-გარეგანი პირველი სტროფის მეოთხე ტაეპი მეორდება ყველა სტროფის ბოლოს.

ძველი პოემა
ახალი პოემისაგან განსხვავდება თხრობის საგნის, გამოსახვის სივრცის, მითიური ელემენტის და თხრობითი კილოს მიხედვით.

ძველი ტრაგედია
ანტიკურ ეპოქაში შექმნილი დრამატული ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებდა შემდეგი თავისებურებები: ა)მოქმედი პირები არ მოქმედებდნენ თავიანთი ნების თანახმად.ისინი „ბედის" ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ. ამიტომ მათი დაღუპვა აუცილებელი იყო; ბ) მოქმედი პირები უმთავრესად მეფეები და გმირები იყვნენ; ისინი განსხვავდებოდნენ როგორც ფიზიკური და ფსიქიკური თავისებური „ზეადამიანობით", ისე არისტოკრატიული ჩამომავლობით; გ) ახასიათებდა ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა(„სამი ერთიანობის" კანონი); დ) გუნდის მონაწილეობა და კომიკური ელემენტის გამორიცხვა. მიუხედავად ამ განსხვავებისა, დღევანდლამდე შექმნილ ყველა ტრაგედიისათვის დამახასიათებელი დარჩა ძველი ბერძნული ტრაგედიის ძირითადი თვისება: მაყურებელში უღრმესი თანაგრძნობის აღძვრა დიდი მიზნისათვის მებრძოლი გმირის მიმართ.

ძიორური-იხ. *ჯიორური*

ძირითადი ამბავი
ნაწარმოების ის ეპიზოდი, რომელშიც, სადაც ავტორი გადმოგვცემს გმირის ცხოვრებას ან რაიმე წინააღმდეგობის შემცველ მოვლენას კვანძის გასკვნიდან კვანძის გახსნამდე, ე.ი. მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ბრძოლის დაწყებიდან მის დამთავრებამდე.

ძლისპირი(*თვითავაჯი*)
საგალობლის საწყისი ტროპარი, რითმულ-მელოდიური მოდელი, რომელიც განსაზშვრავს დანარჩენ ტროპართა კილოსა და ხმას. ქართული ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება: ძალი(სიმი) და პირი(დასაწყისი).

=წ=

წარწერა
პატარა ლექსი, წარწერილი ძეგლზე, სურათზე, სახელმწიფო მნიშვნელობის ბეჭდებზე (მაგ., *,,ამავსებ ღვინით/ აგავსებ ლხინით/ შესვი? გაამოს"*).

წერილი
ლიტერატურის ეპისტოლარული ჟანრი, პროზაული თუ ლექსითი მიმართვა რომელიმე მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწისადმი.

,,წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა"
ქართული წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ორგანიზაცია XIX ს-ის მიწურულსა და XX-ის დამდეგს. დააარსა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ". ამხანაგობა ყოველწლიურად სცემდა ათეული სახელწოდების წიგნს(მხატვრულს თუ მეცნიერულ-პოპულარულს), შეწმნილი ჰქონდა ფართო და მობილური ქსელი, რომლის

მეშვეობითაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ავრცელებდა როგორც საკუთრივ ამხანაგობის, ისე სხვა გამომცემლობათა პროდუქციას.
წიგნის მატიანე - იხ. *მატიანე*

წინაამბავი
ნაწარმოების ის მონაკვეთი, რომელშიც ავტორი გადმოგვცემს მოქმედი პირის წარსულს(პერსონაჟის ხასიათის უკეთ გასაცნობად, მისი ყოფაქცევის ასახსნელად და, საერთოდ, იმ მიზნით, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს მხატვრული ნაწარმოების გმირების შესახებ, ავტორი ხშირად მოკლედ გვაცნობს მოქმედი პირის ცხოვრებას წარსულში, ე.ი. იმ ამბამდე, რაზედაც არის უმთავრესად ლაპარაკი მხატვრულ ნაწარმოებში).

წინასიტყვაობა
ნაწარმოებისათვის წამძღვარებული მოკლე თხრობა, რომლითაც ვიგებთ ნაწარმოების ხასიათს, შინაარსს. წინასიტყვაობა შეიძლება იყოს მხატვრული და მეცნიერული.

წინაცეზურული რითმა-იხ. *რითმა*

წკიპურტი
მწვავე ირონიული გამოთქმა, უახლოვდება ეპიგრამას. ტერმინი შემოღებულია ილიას მიერ (ილიას „საახალწლო წკიპურტები“).

წმინდანთა ცხოვრება-იხ. *მარტვილობა*

წყვილადი რითმა-იხ. *რითმა*

წყობილი
ქართული ლექსის ფორმა. მისი ძირეული ნიშანია ერთრითმიანობა, ამგვარად, იგი შეწყობილის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. წყობილში მარცვალთა რაოდენობა ნებისმიერია, ტაეპი ჩვეულებრივად ორია, ორმუხლედი შეიძლება ოთხი ტაეპიც, მაგრამ ოთხზე მეტი არ არის მღებული.

წყობილსიტყვაობა
ძველი ქართული ტერმინი, იგივე ლექსი. ამავე მნიშვნელობით იხმარება დღესაც.

=ჭ=

ჭაშნიკი
ნიმუში. *ჭაშნიკი* ეწოდება აგრეთვე მამუკა ბარათაშვილის წიგნს „ქართული ლექსთწყობის შესახებ“.

ჭილი
საწერი მასალა. ცნება პაპირუსის შესატყვისი ქართული ტერმინია.

ჭკუის მიღმური(„ზაუმური“)

რუსი ფიტურისტების მიერ შემოღებული ტერმინი. ლექსი, შედგენილი ისეთი სიტყვებისაგან, ნაწილობრივ ან მთლიანად, რომლებსაც ნივთიერი მნიშვნელობა არა აქვთ.

ჭონა
სააღდგომო სიმღერა ძველ საქართველოში. ლექსი იწყებოდა და თავდებოდა „ქრისტე აღდგას“ სიმღერით.

ჭრელი
საეკლესიო გალობის სახე. დადასტურებულია XVII-XVIII სს-ის ლიტერატურულ პრაქტიკაში.

=ხ=

ხალხოსნები-(*,,ტეტიათა მოტრფიალენი“, ,,დიაკვნის შვილები“)*
ეროვნულ-განმათავიდუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები, გლეხობის ინტერესების გამომხატველნი, რომელთა უმთავრეს მიზანს ხალხთან დაახლოება, მის საციცოცხლო ინტერესებთან ღრმად წვდომა, მისი შეგნების გამოღვიძება და ბრძოლისათვის მომზადება წარმოადგენდა. ქართველ ხალხოსნებს იდეოლოგიურად ახალი არაფერი შეუქმნიათ, მათი მსოფლმხედველობა რუსული ,,ნაროდნიკების“ იდეალებით იკვებებოდა. თუმცა, ქართულ ლიტერატურაში მათ შემოიტანეს თავისებური კოლორიტი, ცხოვრების თავისებური ხედვა.

ხალხური ლექსთწყობა
რითმულად ორგანიზებული ზეპირსიტყვიერი პოეტური ტექსტი. ხალხური ლექსის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა გუნდურიდან ინდივიდუალურ შესრულებაზე გადასვლამ, რაც კორიფეს ანუ დამწყების გააქტიურებას მოჰყვა. ამ საფეხურზე სიმღერის დამწყები ლექსის გაუმჯობესებაზე სრუნავდა, საგანგებოდ არჩევდა სიტყვებს, რომლებსაც ან თვითონ თხზავდა, ან სხვებისგან ნათქვამი ტექსტებიდან სესხულობდა. ასე თანდათან ჩამოყალიბდა ხალხური ლექსის მეტრი(საზომი), რომელიც რიტმთან ერთად მის ძირითად კომპონენტს შეადგენს. შემდგომში ხალხურმა ლექსმა შეიძინა რითმა, რომელიც ყველა ხალხის პოეტური ფოლკლორისათვის არ არის დამახასიათებელი. უფრო გვიან კი ხალხურ ლექსში გაჩნდა სტროფი.

ხალხური პოეტური შემოქმედება
ფოლკლორის ცნების შემცველი ქართული ტერმინია. ეს ცნება სინონიმია ხალხური პოეზიისა და ზეპირსიტყვიერებისა.

ხალხური სიტყვიერება-იხ. *ხალხური შემოქმედება*

ხალხური შემოქმედება
ხალხის მიერ შექმნილი და მის ყოფაში გავრცელებული მხატვრული ზეპირსიტყვიერება, მუსიკა, თეატრი, ცეკვა და ა. შ. ხალხური მხატვრული ზეპირსიტყვიერება ჟანრობრივად მრავალფეროვანია. ჯერ კიდევ წერილობითი ლიტერატურის აღმოცენებამდე მასში ჩამოყალიბდა თითქმის ყველაჯანრი-ეპიკური, ლირიკული და დრამატული. ხალხური ზეპირსიტყვიერების ჟანრები გვხვდება როგორც ლექსის სახით(პოეზია, ბალადები და სხვ.), ისე პროზად(ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება...). ზოგი ჟანრი არც წმინდა პროზაა და არც წმინდა პოეზია(შელოცვა, ანდაზა, გამოცანა).
ხუთტაეპიანი სტროფი-იხ. *სტროფი*

ხანა-იხ. *სტროფი*

ხასიათი
ლიტერატურული ნაწარმოების გმირის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობა.

ხატოვანი თქმა
გავრცელებული მახვილგონივრული სიტყვები, ფრაზები,აფორიზმად ქცეული გამონათქვამები, იდიომები.

ხელოვნება
სინამდვილის შეცნობის სპეციფიკური ფორმა. აღნიშნული ფორმა სახეობრივია, ამიტომაც ხელოვნება სახეებით აზროვნებაა.

ხოტბა
1.შექება, ქება-დიდება, შესხმა; 2. სახოტბო ლექსი, ოდა.

ხუმარსწავლა
ხუმრობისა და გართობის კილოთი დაწერილი სასწავლო-სამეცნიერო ნაწარმოები, მისი საუკეთესო ნიმუშია იოანე ბატონიშვილის *„კალმასობა“*. სახელწოდებაც *„ხუმარსწავლა“* მან შემოიღო.

=ჯ=

ჯიორური
სახელწოდება მოდის იაპონური ხალხური ბალადიდან, იაპონური თოჯინების დრამის მონოდიური ჟანრი. ჯიორური ჩამოყალიბებულია საბოლოოდ ორი სახით: რომანტიკულ-ჰეროიკული და მეშჩანური.

ჯვარედინი რითმა-იხ. *რითმა*

=ჰ=

ჰაგიოგრაფია
სასულიერო მწერლობის დარგი, ქრისტიან წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ანდა მათი მოწამეობრივი აღსასრულის აღწერა.

ჰეგზამეტრი
ექვსტერფიანი ტაეპი(მაგ., „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი”).

ჰედონიზმი
ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვით ადამიანის მთავარ მამოძრავებელ საწყისს ტკბობა წარმოადგენს. ჰედონისტური ეთიკის საფუძველში ტანჯვისაგან თავის არიდების, მშვიდი და ბედნიერი მდგომარეობის მიღწევის ინდივიდუალისტური იდეალი ძევს. ჰედონისტური ეთიკის მხატვრული ხორცშესხმის თვალსაჩინო ნიმუშს ანაკრეონტის ლირიკა, ხოლო ფილოსოფიურ პლანში ეპიკურეს მოძღვრება წარმოადგენს.

ჰერმენევტიკა
მოძღვრება ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის შესახებ.

ჰეროიკა
მხატვრული ნაწარმოების გმირული შინაარსი, პერსონაჟთა მოქმედებებისა და ქცევის გმირულად გამოსახვა, მოქმედ პირთა წამახალისებელი იდეები, განწყობილებანი. ჰეროიკა საქმისადმი ამაღლებული განწყობილებით დამოკიდებულებას ნიშნავს. ამ აზრს გამოხატავს ცნებები: რომანტიკული ჰეროიკა, პატრიოტული ჰეროიკა და სხვა.

ჰეტეროიმიჯი-იხ. *ჰეტეროსახე*

ჰეტერომეტრული სტროფი
სხვადასხვასაზომიანი ლექსი, სტროფი, რომელიც შედგება სხვადასხვა ზომის ტაეპებისაგან.

ჰეტეროსახე(ჰეტეროიმიჯი)
სხვისი(სხვა ერის წარმომადგენლის) მხატვრული სახე ეროვნულ ლიტერატურაში.

ჰაიკუ
იაპონური პოეზიის ჟანრი-სამტაეპიანი, 17-მარცვლიანი, ურითმო ლირიკული ლექსი.

ჰიმნი
ემოციური, პათეტიკური ლირიკული ლექსი, რომელიც აქებს და ადიდებს ვინმეს ან რაიმეს.

ჰიმნოგრაფია
სასულიერო პოეზია. არსებობს ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია, რომელიც ქრისტიანული ღვთისმსახურების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია და არალიტურგიკული, ანუ ისეთი პოეზია, რომელშიც გამოხატულია მორწმუნე ავტორის პირადი დამოკიდებულება სხვადასხვა წმინდანის, დღესასწაულის, ისტორიული ფაქტისა თუ საკუთარი განცდებისადმი. ასეთ პოეზიას სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიასაც უწოდებენ.
ჰიპერბოლა-ტროპის სახე, მხატვრული გაზვიადება; ხატოვანი გამოთქმა, რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანის გარეგნული თუ შინაგანი თვისების, ქცევის ან საგნის/მოვლენის გაზვიადება მათი ექსპრესიულობის გაზრდის გზით.

ჰიპერბოლა
საგნის ან მოვლენის გაზვიადებულად გამომხატველი ტროპი,იგივე *გაზვიადება*(მაგ.,,,აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, და იქით გორას ძვრას ვუზამ, ას ლიტრა რკინას დავღეჭავ, კევივითა და ყლაპს ვუზამ”).
ჰიპერდაქტილური რითმა-იხ. *რითმა*

ჰიპერმეტრია
რიტმული ერთეულის ზომა-მეტობა ლექსში.

ჰიპერნიმი
სიტყვა უფრო ფართო მნისვნელობით, რომელიც გამოხატავს ზოგად კონცეფციას, საგნების კლასის(სიმრავლის) სახელს(თვისებები).

ჰიპერტექსტუალობა
ჰიპერტექსტისა და ჰიპოტექსტის ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთი მთლიანი ტექსტი იქცევა მეორის საფუძვლად.

ჰიპონიმი

ცნება, რომელიც გამოხატავს კინკრეტულ ერთეულს სხვა, უფრო ზოგად ცნებასთან მიმართებასი.

ჰიპონიმური თარგმანი
გულისხმობს ჰიპონიმების თარგმნას ჰიპერონიმებით, ანუ სახეობრივი ცნების ამსახველი უცხოური სიტყვის გადმოტანას სიტყვით, რომელიც ასახავს გვარეობით ცნებას.

ჰომილეტიკა
საეკლესიო ქადაგება მორწმუნეთა დასამოძღვრად.

ჰომილია
მორწმუნეთა დასამოძღვრად სამღვდელო პირის მიერ წარმოთქმული მოძღვრება-ქადაგება, რომელსაც ეგზეტიკურ-მორალისტური ხასიათი აქვს.

ჰონორის კაუზა
პატივისცემა, დაფასება. მაგალითად, მეცნიერებაში გარკვეული დამსახურებისათვის დოქტორის ხარისხს ანიჭებენ ღირსეულთ, სადისერტაციო ხარისხის დაცვის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ამბობენ ჰონორის კაუზით მიენიჭა სამეცნიერო მაღალი ხარისხიო. ეს ცნება იხმარება როგორც მეცნიერებაში, ასევე ლიტერატურათმცოდნეობაში.

ჰუმორესკე
პატარა ზომის იუმორისტული ნაწარმოები პროზად ან ლექსად დაწერილი, რომელშიაც სასაცილო სახით არის წარმოდგენილი რომელიმე მოვლენა ან ყოფაქცევა ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, ,,ლიტერატურული ჟანრები“, თბილისი, 2003;

2. ავტორთა კოლექტივი, ,,ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია’, ტ. I-III, თბილისი, 2016;

3. ავტორთა კოლექტივი, ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, ნაკადული, თბილისი, 1966

4. ავტორთა კოლექტივი, ,,ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“,თბილისი, 2012;

5. გაფრინდაშვილი, ნ; ,,შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“, თბილისი, 2012;

6. გაჩეჩილაძე, ს; „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967 წ.

7. გაფრინდაშვილი. ნ; თვალაძე,დ. ,,ქართული ენა, ლიტერატურის თეორია, ქართული ლიტერატურის ისტორია“(წიგნი I), თბილისი, 2015;

8. გაჩეჩილაძე, ს. ,,სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია’ : IX-X კლ. სახელმძღვ.. - მე-2 გადამუშ. და შევს. გამოც.. - თბ. : განათლება, 1977;

9. ,,ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდობისთვის’, თბილისი, 2014;

10. მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბილისი, 2012წ.

11. სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის ლექსიკონი

http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=43

12. ,,უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი“(შეადგინა ალ. ელერდაშვილმა), თბილისი, 2006;

13. ,,უცხო სიტყვათა ლექსიკონი“(შეადგინა მ. ჭაბაშვილმა), თბილისი, 1989;

14. ქეგლ, ტ. I-VIII, თბილისი, 1950-1964;

15. ,,ქართული მწერლობა(ლექსიკონი-ცნობარი“), თბილისი, 1984;

16. ქსე, ტ. I-XI, თბილისი, 1975-1987;

17. ჩაჩანიძე, მ. ,,პარაფრაზი“(,,ახალი განათლება“, სექტემბერი, 2023).

18. ჭილაია, ა; „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971წ.

19. ჭილაია, ა; ჭილაია, რ; „ლიტერატურისმცოდნეობის ცნებები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984 წ.